დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან ღურწკაია - ზოგადიგანათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ნანა ღაჭავა - ზოგადიგანათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
მარინა ჯალიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თამილა თამაზაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ზურაბ ურიადმყოფელი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნანა ჩხიკვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მეგი კაპანაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო კოვზიაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	212708453

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქუთაისი
იურიდიული მისამართი	ახალგაზრდობის გამზირი N60
ფაქტობრივი მისამართი	ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N60
საფოსტო ინდექსი	4600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://33skola.blogspot.com/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kutaisi33@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577277533

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება N710454-19/06/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 10-11 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანამანთლებლო საფეხური	ქართული	ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N60
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანამანთლებლო საფეხური	ქართული	ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N60
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანამანთლებლო საფეხური	ქართული	ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N60

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლაში ყველა საფეხურზე დაინერგა შეფასების ჰიბრიდული მოდელი. რაც გულისხმობს განმსაზღვრელი შეფასების ნაწილობრივ ამოღებას და განმავითარებელი შეფასების გამოყენებას. კერძოდ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით ფასდება მხოლოდ კომპლექსური დავალება, ხოლო საკლასო და საშინაო დავალებები განმავითარებელი შეფასებით. სკოლა აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს როგრც სასწავლო პროცესში ასევე სკოლის ადმინისტრირებისას, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შექმნილი ელექტრონული პორტფოლიო.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება **+ მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება **+ მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება **+ მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება **+ მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4	☐ შეესაბამება **+ მეტწილად შეესაბამება**

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	+ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	+ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

მოსწავლეთა რაოდენობა: 1200	☒ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N.*3.1.2.3.*	3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას	*2023 წლის 30 სექტემბერამდე სკოლამ უნდა წარმოადგინოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა.*
ინდიკატორი N.*3.4.1.1.*	3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა	*2023 წლის 10 ნოემბრამდე სკოლამ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან უნდა გამოითხოვოს სკოლის შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.*
ინდიკატორი N.*3.4.1.1.*	3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა	*2024 წლის 20 აგვისტომდე სკოლამ უნდა განახორციელოს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2023 წლის 26 ივლისს დამტკიცებული სახანძრო სიგნალიზაციის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების საინჟინრო პროექტები.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.2.1.4.	**1.2.1.** სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	**სასურველია სკოლამ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ცხრილს დაამატოს რესურსების გრაფა**
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი *3.1.2.4.*	**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**	*სასურველია ყავდეს შტატით განსაზღვრული მეორე ექიმი*
ინდიკატორი *3.4.1.1.*	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**	*სკოლას მიეცა რჩევა, რათა გაფორმდეს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითის კურიკულუმი)	*რჩევა*

ინდიკატორი 2.1.1.1		
	კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს	**სახელმწიფო ენა (დაწყებითი საფ.)** სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან სკოლამ დაგეგმოს რემედიაციულ სწავლება, რათა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა უზრუნველყოს.
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	**სახელმწიფო ენა (დაწყებითი. საფ.)** 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე როგორც დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კათედრამ გაწეროს გრძელვადიანი მიზნები და იზრუნოს შესაბამისი თემატური მატრიცების დამუშავებაზე.
ინდიკატორი 2.1.2.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	**სახელმწიფო ენა (დაწყებითი. საფ.)** კათედრამ შეფასების რუბრიკები, განსაკუთრებით განმსაზღვრელი შეფასება, მესამე თაობის სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს. განსაკუთრებით, დაწყებითი საფეხურის V-VI კლასებში. კომპლექსური დავალება უნდა ემსახურებოდეს განმავითარებელ შეფასებას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება მეორე მოდელის ამოქმედება, მოითხოვს შესაბამის კრიტერიუმების შემუშავებას, რაზეც სკოლას სამომავლოდ აქტიურად სამუშაო აქვს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.1.1		
	კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს	**სახელმწიფო ენა (საბაზო საფ.)** სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან სკოლამ დაგეგმოს რემედიაციულ სწავლება, რათა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა უზრუნველყოს.

ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	**სახელმწიფო ენა (საბაზო საფ.)** 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კათედრამ გაწეროს გრძელვადიანი მიზნები და იზრუნოს შესაბამისი თემატური მატრიცების დამუშავებაზე. საბაზოს საფეხურზე გასათვალისწინებელია სავალდებულო ნაწარმოებების საკითხი.
ინდიკატორი 2.1.2.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	**სახელმწიფო ენა (საბაზო საფ.)** კათედრამ შეფასების რუბრიკები, განსაკუთრებით განმსაზღვრელი შეფასება, მესამე თაობის სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა მოუყვანოს. კომპლექსური დავალება უნდა ემსახურებოდეს განმავითარებელ შეფასებას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება მეორე მოდელის მიხედვით მოითხოვს შესაბამის

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.1.1		
	კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს	**სახელმწიფო ენა (საშუალო საფ.)** სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან სკოლამ დაგეგმოს რემედიაციულ სწავლება, რათა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა უზრუნველყოს.
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	**სახელმწიფო ენა (საშუალო საფ.)** 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კათედრამ გაწეროს გრძელვადიანი მიზნები და იზრუნოს შესაბამისი თემატური მატრიცების დამუშავებაზე.
ინდიკატორი 2.1.2.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	**სახელმწიფო ენა (საშუალო საფ.)** კათედრამ შეფასების რუბრიკები, განსაკუთრებით განმსაზღვრელი შეფასება, მესამე თაობის სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა მოუყვანოს. კომპლექსური დავალება უნდა ემსახურებოდეს

		განმავითარებელ შეფასებას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება მეორე მოდელის მიხედვით მოითხოვს შესაბამის კრიტერიუმების შემუშავებას.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას 3.1.2.3. და 3.4.1.5 ინდიკატორებთან დაკავშირებით, ვინაიდან მათ მიერ მოწოდებულ, დამატებით გამოთხოვილ და ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ მტკიცებულებებში აღნიშნული დოკუმენტაცია (ღია კონკურსის კომისიის დამტკიცების კომისიის ბრძანება და პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება) არ წარმოუდგენიათ.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ქ. ქუთაისის N33 საჯარო სკოლას (შემდგომში სკოლა) შემუშავებული აქვს სკოლის მისია, რომელიც არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი და შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლამ ასევე შეიმუშავა ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

შეესაბამება.

2. სსიპ- ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლა სკოლის მისიიდან გამომდინარე, წარმოადგენს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს და მაქსიმალურად ზრუნავს ამ სივრცის გაუმჯობესებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ის ზრუნავს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე ასევე შექმნილია პიროვნების განვითარებისათვის საჭირო სოციო-კულტურული სივრცე, სკოლა თანამშრომლობს მანდატურის სამსახურთან, სკოლას ჰყავს სპეც. მასწავლებელი, რომელიც ზრუნავს სსსმ მოსწავლეთ სოციო-კულტურულ განვითარებაზე.მოსწავლეთ სოციო-კულტურულ განვითარებაზე ზრუნავენ საგნის მასწავალებლები და კლასის დამრიგებლბები, რომელთა ფუნქცია- ვალდებულებები გაწერილია, როგორც სკოლის შინაგანაწესში, ასევე სადამრიგებლო პროგრამაში.

შეესაბამება.

3. სკოლის მისია, რომელიც გაწერილია 2022-23 სასწავლო წლის სასკოლო საასწავლო გეგმაში, შემუშავებულია ადმინისტრაციისა და საგნობრივი კათედრების ჩართულობით. ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც განხილულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია პედაგოგიურ სხდომაზე, შესაბამისად, სკოლის მისია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, **სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა მისია, ხედვა და ღირებულებები რომელიც შეიმუშვა სასკოლო საზოგადოებისა (მშობელთა სათათბირო, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო) და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის ჩართულობით.**

შეესაბამება.

4. სკოლის მისია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების, რადგანაც ის გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე,

შეესაბამება.

5. სკოლის მისია არის სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი, რომელიც საჯაროა და ისა გამოკრულიაა სკოლის სტენდზე, ასევე ელექტრონულად სკოლის ბლოგზე, სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში კლასის დამრიგებლები შობელთა კრებებზე აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას

   შეესაბამება.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დ აწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა სკოლის სახელწოდება და შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს-სსიპ-ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლა.

   შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2018 -2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
4. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
5. ბრძანება N 448
6. სპეც. მასწავლებლის სწლიური ანგარიში
7. სადამრიგებლო პროგრამა
8. სკოლის ბლოგი 33skola.blogspot.com

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, მათ სკოლის ბლოგზე წარმოდგენილი აქვთ გეგმის პროექტი,რომელიც არის ზოგადი და საჭიროებს დაკონკრეტებას. სკოლა არის ადგილობრივი

თვიმმართველობის და თემის უკუკავშრის მოლოდნში, რადგანაც სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები.

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა დირექტორის ბრძანება 2-246-1 სკოლის ფილოსოფიის შექმნის მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას.

შეესაბამება.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ფუნქციონიებდა 2018-2022 სასწავლო წლებში არ არის შვიდწლიანი. სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტში შემუშავებული აქვს მისია, მაგრამ არ არის განსაზღვრული ხედვა და ღირებულებები.

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა რომელიც შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და დამტკიცდა პედაგოგიურ საბჭოზე,

შეესაბამება.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა შემუშავებული სკოლის თვითშეფასების საფუძველზე (SWOT ანალიზი), მისი შემადგენელი ნაწილებია : განსახორციელებელი აქტოვობები, განსაზღვრულია ვადები და პასუხისმგებელი პირები, ის ეფუძნება 2018-2022 წლის სრატეგიული განვითარების გეგმას.

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა სკოლის ერთწლიანი (2023-2024) სამოქმედო გეგმა რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სკოლის თვითშეფასებას (SWOT ანალიზს), რომლიც დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით N2-339.

შეესაბამება

4. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022-2023 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სადაც გაწერილია თვეების მიხედვით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები (სკოლის შინაგანაწესის და სხვა საქმიანობის მომწესრიგებელი აქტების განახლება, ახალი რედაქციით დამტკიცება; სკოლის მატრეიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, საინფორმაციო

არხების გამართვა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მშობელთა ჩართულობის გააქტიურება, არაფორმალური განათლება, ტრედიციული ღონისძიებები) და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები.

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სკოლის თვითშეფასებას (SWOT ანალიზს), რომლებიც დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით N2-339. სასურველია სკოლამ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ცხრილს დაამატოს რესურსების გრაფა
შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა,
2. ბრძანება 2-246-1,
3. ბრძანება N2-339,
4. 2023-30 წლის Swot ანალიზი
5. 2023-30 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტით (პროექტი) სკოლა 2023 -2024 სასწავლო წლისათვის გეგმავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზიის სამოქმედო გეგმის შექმნას და მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შერჩევას, სადაც განსაზღვრული იქნება სკოლის ფილოსოფიის რევიზიის, გაზიარებისა და გასაჯაროების პროცესის მონიტორინგი და შეფასება.
   სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის შექმნის მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემას. დამტკიცდა ბრძანება N2-246.

   შეესაბამება

2. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავებაში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება (სამეურვეო საბჭო, პედსაბჭო, კათედრები და მოსწავლეთსა თვითმმართველობა), ასევე უკუკავშირს ელოდება მშობელთა სათათბიროსგან, ადგილობრივი თვითმმართველობისაგან და თემისგან, რომლის საფუძველზე სამომავლოდ სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას.

   შეესაბამება

3. სტრატეგიული განვითარებისა (პროექტი) და სამოქმედო გეგმების (მოქმედი) განხორციელების შედეგები მოცემულია სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმებში. სკოლას გეგმები გაზიარებული აქვს ბლოგზე და ვებ-გვერდის შექმნის შემდეგ, განახორციელებს მათ გადატანას ხსენებულ სივრცეში.

   შეესაბამება

4. სკოლამ სტრატეგიული განვითარებისა მეთოლოგია (პროექტი) და სამოქმედო გეგმა (მოქმედი) განიხილა სასწავლო წლის ბოლო შემაჯამებელ პედსაბჭოზე სადაც წარმდგენილ იქნა ადმინისტრაციისა, კათედრების და დამრიგებლების წლიური ანგარიშები, რომლსაც სკოლა სამომავლოდ გამოიყენებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების გაუმჯობესებისათვის

   შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება;
- ფილოსოფიის შექმნის მეთოდოლოგია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საქმიანობის დაგეგმვისა და პასუხისმგებლობის განაწილებას ახორციელებს ერთიანი დოკუმენტის საშუალებით, სახელწოდებით - „სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის სტრუქტურა“, რომელშიც გაწერილია და აღწერილია ორგანიზაციის თითოეულ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები

სტრუქტურული ერთეულებია:

1. სამეურვეო საბჭო
2. დირექტორი
3. დირექტორის მოადგილე ბუღალტერი დისციპლინური კომიტეტი
4. პედაგოგიური საბჭო
5. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი

6. საგნობრივი კათედრები
7. მოსწავლეთა თვითმმართველობა
8. უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო მშობელთა სათათბირო საშტატო ნუსხა
9. მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი
10. საქმისმწარმოებელი
11. ბიბლიოთეკარი
12. ინფო-მენეჯერი
13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი
14. სკოლის ექიმი
15. ფსიქოლოგი

ნაწილი ამ სტრუქურული ერთეულებისა სკოლაზე მორგებული დებულებების მიხედვით საქმიანობენ. სტრუქტურულ ნაწილებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულება საერთო საქმის მიმართ ინტერესი ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას. აღსანიშნავია, **რომ სკოლას არ ყავს ფსიქოლოგი, რადგან მათ მიერ დამოცხადებული კონკურსი ჩაიშალა (რადგან ვერ გამოვლინდა კონკურსანტები).**

სამეურვეო საბჭო - შედგება 13 წევრისაგან, აქედან 6 მასწავლებელია, 6 მშობელი (ორ-ორი სწავლების თითოეული საფეხურიდან) და 1 საშუალო საფეხურის მოსწავლე. მასწავლებლებსა და მშობლებს ხმის მიცემის უფლება აქვთ. მოსწავლე, რომელიც არ სარგებლობს ხმის უფლებით, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეა.
სკოლის დირექტორი, მისი მოადგილე და ბუღალტერი წარმოადგენს **სკოლის დირექციას;** სკოლის დირექტორის ფუნქციებია - სკოლის მართვა, სკოლის წარმომადგენლობა მესამე პირთან ურთიერთობაში, სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად სკოლის შინაგანაწესის და სკოლის ბიუჯეტი წარდგენა, საშტატო განრიგის შემუშავება, მოწვეული მასწავლებლისა და შემცვლელი მასწავლებლისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა.
პედაგოგიური საბჭო - წარმოადგენს სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის ერთობას. პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებია - ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სასკოლო სასწავლო გეგმების დამტკიცება.
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი შედგება სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისაგან. ჯგუფის მიზანია: მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფის გზით სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და სკოლის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის ჩამოყალიბებით მისი ავტონომიურობის გაძლიერების ხელშეწყობა; სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება.
ჯგუფის მუშაობის მიმართულებებია: საგნობრივი კურიკულუმის, ინკლუზიური განათლება, სადამრიგებლო პროგრამები, კათედრების მუშაობა, სასწავლო პროცესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი, არაფორმალური განათლება და მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ორი წლით ირჩევს **ნომინაციების კომისიას,** რომელიც წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით ადგენს **წლის საუკეთესო მასწავლებელს,** მოსწავლეს, დამრიგებელს და კათედრას. ხოლო წლის საუკეთესო კლასს ამტკიცებს მოსწავლეთა თვითმართველობის წარდგინების საფუძველზე, რომელსაც თვითმართველობა განსაზღვრავს სკოლაში დანერგილი სარეიტინგო სისტემის შედეგების საფუძველზე. სარეიტინგო სისტემის დებულება თვითმართველობის დებულების განუყოფელი ნაწილია. ხარისხის ჯგუფი ახორციელებს შიდა სასკოლო დაკვირვებას, მონიტორინგს და შეფასებას შვიდი მიმართულების მიხედვით მიმდინარე პროცესში, სემესტრის ბოლოს და წლიური:

1. საგნობრივი კურიკულუმი;
2. ინკლუზიური განათლება;
3. დამრიგებლების მუშაობა;
4. კათედრების მუშაობა;
5. სასწავლო პროცესი;
6. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი;
7. არაფორმალური განათლება და მოსწავლეთა თვითმმართველობა.

სკოლაში ფუნქციონირებს **დისციპლინური კომიტეტი,** რომელიც დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით სამეურვეო საბჭოს მიერ მტკიცდება. კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობის 3 მასწავლებელი, 3 მშობელი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურიდან წარმომადგენელი) და საშუალო საფეხურის 3 მოსწავლე. მშობლების წარმომადგენლებს წარადგენს სკოლის მშობელთა სათათბირო, პედაგოგებს წარადგენს პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეებს წარადგენს სკოლის თვითმართველობა.

სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლაში მოქმედებს **უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო,** რომლის შემადგენლობა განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით, და მისი ფუნქცია-მოვალეობები შეესაბამება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის ბრძანებას №06/ნ - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. სკოლაში სასკოლო ცხოვრებისათვის და მართვის კოლეგიალური სისტემის ჩამოყალიბებისათვის ფუნქციონირებს **მშობელთა სათათბირო,** რომელიც აერთიანებს ყველა კლასიდან ორ-ორ წარმომადგენელს. წევრები ჯერ სადამრიგებლო კლასში ირჩევა, ხოლო სათათბიროს სხდომაზე აირჩევა საფეხურის წარმომადგენელი. მშობელთა სათათბიროს მოვალეობებია: განიხილოს სკოლისათვის აქტუალური და პრიორიტეტული საკითხები, მონაწილეობა მიიღო სკოლის კურიკულუმის განვითარებაში, ადმინისტრაციაში შემოიტანოს თავის მოსაზრებები, შენიშვნები, გააზიაროს სკოლის სიახლეები.

სკოლაში შექმნილია **7 საგნობრივი კათედრა:** ქართული ენისა და ლიტერატურის (ქართული ენა); ზუსტი მეცნიერების (საგანი მათემატიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები); საბუნებისმეტყველო მეცნიერების (საგნები ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ბუნება); საზოგადოებრივი მეცნიერების (ისტორია, სამოქალაქო განთლება, მე და საზოგადოება, მოქალაქეობა, გეოგრაფია, უსაფრთხოების წესები, საგზაო ნიშნები); უცხო ენის (ინგლისური, რუსული გერმანული); ესთეტიკისა და სპორტის (ხელოვნება, მუსიკა, სპორტი); დაწყებითი სწავლების (მათემატიკა, ქართული, ბუნება ინტეგრირებული), რომელთა შემადგენლობა და ფუნქციები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

სკოლის **ადმინისტრაციაში** შედის: მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი,

ინფო-მენეჯერი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია სკოლის ექიმი, 4 დამლაგებელი, დღის კარის გუშაგი, ცეცხლფარეში. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტში.

შეესაბამება

2. სკოლის ადმინისტრაცია ეფექტიანი სწავლა-სწავლების განხორციელებას სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებითა და აქტიური თანამშრომლობით აღწევს. დირექცია უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლაში სასწავლო პროცესის ძირითადი წარმმართველი არის პედაგოგიური საბჭო, სხდომებზე სისტემატურად ხდება მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი გზების ძიება. სასწავლო პროცესში გამოკვეთილ გამოწვევებს აქტიურად განიხილავენ საგნობრივი კათედრების წევრები და ფიქრობენ პრობლემების გადაჭრის გზებზე. დასტურდება (მტკიცებულებები): სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებისას სკოლა იაზრებს, რომ მნიშვნელოვანია გაანალიზოს, როგორ შეუწყობს ამგვარი მოწყობით ხელს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევას და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას და გაუმჯობესებას. სამოქმედო გეგმაში სკოლის ძირითადი მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მონიტორინგისა და ხარისხის მართვის მექანიზმების გამოყენებით, რომელიც გაწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, სკოლა პერიოდულად აფასებს თავისი ორგანიზაციული მოწყობის რელევანტურობას საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისთვის და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელებს ცვლილებებს სკოლის სტრუქტურაში, რათა უფრო მეტად განავითაროს ის.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანებები;
2. აღრიცხვის ფორმები;
3. პედაგოგირი საბჭო ოქმი;
4. თვითმმართველობა;
5. ხარისხის მართვა;
6. სამეურვეო;
7. კათედრები;

8. მშობელთა სათათბირო;
9. სკოლის სტრუქტურა;
10. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შექმნა სკოლის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სკოლის შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს და ითვალისწინებს შინაგანაწესის გაცნობას. სკოლა უზრუნველყოს პერსონალისთვის შინაგანაწესისა და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების გაცნობას ელექტრონულ სივრცეებში მათი განთავსებით, სამეურვეო თუ პედაგოგიური საბჭოზე განხილვით და დამტკიცებით. თანამშრომლები ხელშეკრულების გაცნობას ხელმოწერით ადასტურებენ. სკოლში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტისა და შინაგანაწესის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, ჩარჩო დოკუმენტი აყალიბებს კვალიფიციური პერსონალის შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების არსებით საფუძველს და აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს. დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა, რათა ეფექტიანად და კანონთან შესაბამისობით სკოლში შეიქმნას სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული და პროფესიული უნარ- ჩვევები.

შეესაბამება

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა, რომელიც ეხმარება ადამიანური რესურსის საჭიროების დროული ანალიზის გაკეთებაში. ადამიანური რესურსების საჭიროებების პროგნოზირება იწყება მოთხოვნის დადგენით. ადამიანური რესურსების მოთხოვნა ჩნდება, როდესაც: ხორციელდება შიდა გადაადგილება, ხდება კადრების გადინება, იცვლება კანონმდებლობა ან ჩნდება ახალი მიზნები ან გამოწვევები. პროგნოზირების შემდეგ განსაზღვრავს კონკრეტულ სამუშაო პოზიციას. სკოლა ჩართულია მერიის სოციალური სამსახურის დასაქმების პროგრამის შესაძლებლობები და ამ პროგრამის ფარგლებში დაასაქმა სოციალურად დაუცველი 4 დამლაგებელი. პერსონალის ინტერვენციული მართვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს მისი ფუნქციების სხვებზე გადანაწილება, ისე, რომ არ დაზარალდეს სასწავლო პროცესები. საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებელი წარმართისათვის და პერსონალის საჭიროებების გათვალისწინებისათვის პრევენციისათვის და დროული ინტერვენციისათვის სკოლაში მოქმედებს მობილური და მოქნილი ელექტრონული საგაკვეთილო ცხრილი. რომელიც შექმნილია გაზიარებულ ექსელის ფაილში, ხელმისაწვდომია სასკოლო პერსონალისათვისა და მოსწავლეებისათვის, განთავსებულია თვალსაჩინო ადგილებში კომპიუტერების მონიტორებზე. ცხრილი არის მოქნილი, ცვალებადი, ადვილად აღსაქმელია სასკოლო საზოგადოებისათვის პირობითი აღნიშვნების გამოყენებით.

შეესაბამება

3. სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის წესი. როდესაც სკოლას არ აქვს შიდა რესურსი, ასეთ შემთხვევაში აცხადებს ღია კონკურსს ვებგვერდზე pedagogi.ge. პორტალზე თავსდება სამუშაოს აღწერა და შერჩევის კრიტერიუმები. კანდიდატურა ირჩევა კანონმდებლობის სრული დაცვით, “ღია და შიდა კონკურსის დებულების” მიხედვით და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით **საკონკურსო კომისია** შედგება: გარე პირები (სამინისტროს, რესურსცენტრის, მასწავლებელთა სახლისა და პროფკავშირის წარმომადგენლები), შესაბამისი საგნობრივი კათედრის თავმჯდომარე ან წევრი, პედ. საბჭოს თავმჯდომარე, დირექტორი და მისი მოადგილე. კონკურსის შეფასების კრიტერიუმებია: დოკუმენტაციის შესაბამისობა, გასაუბრება, საცდელი გაკვეთილის ჩატარება, კომპიუტერული ტექნოლოგიების ფლობა. საუკეთესო კანდიდატის შერჩევის შემდეგ იდება შრომითი ხელშეკრულება, იწერება დანიშვნის ბრძანება, ივსება პირადი საქმე. მასწავლებელთა ნაწილს არ ქონდათ **სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა** იქმნება პედაგოგის ელექტრონული პორტფოლიო და პედაგოგის ელექტრონული დღიური. **ვერც გადმოგზავნილ და ვერც დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში და ვერც ვიზიტის პერიოდში ვერ მოვიძიეთ საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების ბრძანება. აღნიშნული ბრძანება გადმოგზავნილ იქნა შესაბამისობის გეგმასთან და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად**

შეესაბამება

4. მასწავლების დასაქმებასთან დაკავშირებული პროცესები დარეგულირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. სკოლის სხვა პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმება ხორციელდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად. **სკოლის ექიმის დასაქმებასთან** დაკავშირებული პროცესები დარეგულირებულია 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ნ41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების საქართველოს ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს დასაკავებელი ვაკანტური ადგილის მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის დადგენის პროცედურებს. შესაბამისად სკოლის ექიმი დასაქმებულია ამ კანონის გათვალისწინებით, მას აქვს ექიმ-თერაპევტის კვალიფიკაცია. ***გამომგინარე იქიდან, რომ სკოლას აქვს 1200 ბავშვის მოთხოვნა, სასურველია ყავდეს შტატით განსაზღრული მეორე ექიმი***

შეესაბამება

5. სკოლა აღიარებს გუნდური და თანამშრომლობითი პრინციპების უპირატესობას სასკოლო საქმიანობაში და მუშაობას წარმართავს სწორედ ამ პრინციპების დაცვით. პერსონალის მართვის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გაზიარებულ და გუნდურ მუშაობის პრინციპებს. ნებისმიერი სამსჯელო საკითხი განიხილება შესაბამის ჯგუფთან ერთად, მაგალითად, საათების გადანაწილება სასწავლო წლის დასაწყისში მტკიცდება ჯერ კათედრის სხდომაზე, შემდგომ სამეურვეო საბჭოზე და პედაგოგიურ საბჭოზე. მიღებული გადაწყვეტილებებიც საერთოა, საზიარო და აქედან გამომდინარე მისი შესრულებაც გათავისებულია ავტორთა მიერ. სკოლას მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია უზრუნველყოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა, რათა ეფექტიანად და კანონთან შესაბამისობით სკოლში შექმნას სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევები. სკოლაში წახალისებულია კათედრების ურთიერთთანამშრომლობა (პროექტები), ინტეგრირებული პროექტები, კომპლექსური დავალებები. თანამშრომლების აქტიური კომუნიკაციით იქნება სამომავლო გეგმები. სკოლის მონაწილეობითი მართვის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია მუშაობის აღიარება და უკუკავშირი.

შეესაბამება

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ეფექტიანი მექანიზმი. ნებისმიერი თანამშრომლის წარმატება აღიარებული და მხარდაჭერილია სკოლის მიერ, მადლობის გამოცხადებით დირექტორის ბრძანებით სასკოლო საზოგადოების წინაშე შესაბამისი მადლობის სიგელის გადაცემით. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასკოლო ნომინაციების კრიტერიუმები (საუკეთესო მასწავლებელი, დამწყები მასწავლებელი, დამრიგებელი, კათედრის თავმჯდომარე, თანამშრომელი), რომლის საფუძველზე პედაგოგიურ საბჭოთი არჩეული ნომინაციების კომისია ახდენს შერჩევას. მასწავლებლის თვითშეფასების ფორმის, მიხედვით ხდება მასწავლებელთა შეფასება. ეს ინფორმაცია იდება სკოლის ბლოგზე და ზიარდება სოციალური ქსელებით. მასწავლებელთა ეროვნულ ჯილდოზე წარდგენილი იყო სამი პედაგოგი, აქედან ორი გახდა ჯილდოს ფინალისტი. სკოლას ჰყავს USAID-ის საბაზისო განათლების დამწყები საუკეთესო მასწავლებელი, რომელიც წარდგენილი იყო კათედრის მიერ.

შეესაბამება

დასტურდება

(მტკიცებულებები):

1. ბრძანებები;
2. პედაგოგირი საბჭო;
3. ხელშეკრულებები;
4. მრჩეველთა საბჭო;
5. შეფასების ფორმები;
6. შინაგანაწესი,
7. წესდებები;
8. წახალისება;
9. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
10. შიდა კონკურსები,ვაკანსიები;
11. ბლოგები;
12. ექიმიი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარების მიზნობრივი გეგმა, რომლის ამოცანაა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ერთიანი სისტემის ამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო კადრების შენარჩუნებას, არსებული მასწავლებლების მოტივაციისა და სტატუსის ამაღლებას. წარმოდგენილ გეგმაში გაწერილია სკოლის დამოკიდებულება მასწავლებლის პროფესიული განვითარების მხრივ, სტატუსის შენარჩუნებისა თუ შეცვლის პროცედურები, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივისა და ინოვაციური იდეების რეალიზაციის მექანიზმები. სკოლას ასევე აქვს შემუშავებული ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფების ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა. დებულება შეიცავს ჯგუფის საქმიანობის მიზანს და ამოცანებს, სამოქმედო პრინციპებს, წევრთა შემადგენლობას, მათ მოვალეობებს, შეხვედრების სიხშირესა და ფორმატს.

შეესაბამება

2. სკოლაში ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას სკოლის პედაგოგთა მუშაობის პროცესზე დაკვირვება და საჭიროებების გამოვლენა წარმოადგენს. ჯგუფის წევრები აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესს, სადამრიგებლო პროგრამების შესრულების ხარისხს, ავსებენ დაკვირვებისა და ანალიზის ფორმებს. ადგენენ საჭიროებებს და ეხმარებიან კოლეგებს, თუ რა მხრივ სჭირდებათ მათ პროფესიული განვითარება. ამის შემდეგ მასწავლებლები საჭიროებიდან გამომდინარე შესაბამის ტრენინგ-კურსზე რეგისტრირდებიან. მიღებულ გამოცდილებას ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. ასევე სკოლაში არსებობს თვითშეფასების კითხვარი, რომლის ანალიზის საფუძველზე მასწავლებელი გეგმავს საკუთარი პროფესიული განვითარების გზას. ამ მოთხოვნას სკოლა ხშირშემთხვევაში სკოლის ადამიანური რესურსებით უმკლავდება, ურთიერთსწავლების სახით. სხვა შემთხვევაში ვუკავშირდებით აკრედიტებულ, კომპეტენტურ ორგანიზაციებს.

შეესაბამება

3. სკოლის მასწავლებელთნაა ტრანზიციის მხარდაჭერის მექანიზმის შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს N169/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესისა და გაცემის წესის შესაბამისად. აღნიშნული მექანიზმი განსაზღვრავს სკოლის დირექტორის, მაძიებლის და ტუტორის ვალდებულებებს.

სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო პერსონალის კარიერული ზრდის კუთხით. სკოლის თანამშრომლები საუკეთესო გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ და ხელს უწყობენ მიღებული ცოდნის დანერგვაში. სკოლა „ახალი სკოლის მოდელში" ჩართულია პირველივე წლიდან. სკოლის მასწავლებლები, რომლების ამავდროულად არიან პროექტის ექსპერტები, აქტიურად უზიარებენ გამოცდილებას კოლეგებს და ისინიც ცდილობენ თანამედროვე და ინოვაციური მეთოდებით, საინტერესო დაა შინაარსიანი კომპლექსური დავალებები დანერგონ სწავლების პროცესში. ამას მოწმობს მასწავლებელთა სახლის მიერ, როგორც რეგიონალურ ასე ეროვნულ დონეზე ჩატარებული კონფერენციებში მათი მონაწილეობა (სულ 14 მასწავლებელი). ასევე თანამშრომლობითი კულტურის საფუძველზე გაზიარებული ლიდერობით, სკოლის მასწავლებლებმა მიიღეს მენტორისა და წამყვანი ქალაქის წლის საუკეთესო მასწავლებლების სტატუსი.

შეესაბამება



4. სკოლას აქვს მასწავლებლობაში ადაპტაციის/ინტეგრაციის მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც გაწერილია სკოლის "ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" (დანართი 29), დოკუმენტის მე- 11 მუხლში "ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაცია". ინტეგრაციის პროცესის მიზანია ხელი შეუწყოს ახალდანიშნული თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას, სასწავლებლის მიზნების, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების, ორგანიზაციული პროცედურების და წესების შესახებ ინფორმირებას და სკოლაში ადაპტაციას. ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხიმგებელია საგნობრივი კათედრის თავმჯდომარე, ტექნიკური პერსონალის შემთხვევაში - დირექტორის მოადგილე; საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორის მოადგილე და უშუალო კათედრის თამჯდომარე, ერთობლივად ადგენენ კონკრეტულ ტრენინგ-პროგრამას ახალი თანამშრომლისთვის, სადაც მითითებულია რა დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს თანამშრომელმა, შემდგომი მუშაობისთვის. აღსანიშნავია, სკოლა მზად არის მაძიებელი მასწავლებლის მიღებისათვის, რადგან მათი ინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობს ყოველთვის წარმატებულად.

შეესაბამება

5. სკოლა ქმნის სივრცეს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივისა და ინოვაციური იდეების რეალიზებისთვის. სკოლაში მხარდაჭერილი და წახალისებულია მასწავლებლების ნებისმიერი ინიციატივა თუ ინოვაციური იდეა. (მატერიალური, ადამიანური მხარდაჭერა) განხორციელებულ იდეის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებენ საჯაროდ სკოლის ბლოგზე, სოციალურ ქსელში და უცხადებენ მადლობას იდეის განხორციელებისათვის. ამ ბოლო დროს, მასწავლებელთა ინიციატივებით დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მაგალითად, მასწავლებელმა ტრენინგზე მიღებული გამოცდილება გაუზიარა შიდა სასკოლო ტრენინგის სახით, სკოლის ბლოგზე მოთავსებულია ჩატარებული შიდა სასკოლო ტრენინგების ვიდეო ჩანაწერები, როგორ გამოვიყენოთ ეს თუ ის ელექტრონული ინსტრუმენტი სასწავლო პროდუქტის შესაქმნელად, ან მოვახდინოთ კომპლექსური დავალების ადაპტაცია სსსმ მოსწავლეთათვის. სკოლის სპეციალური მასწავლებლის ინიციატივით მოხდა რეგიონალური ფორუმის "ინკლუზია ნიშნავს" ორგანიზება და ჩატარება. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის ინიციატივით სკოლაში დაინერგა Minecraft Education პროგრამა, როგორც სასწავლო რესურსი. ამ პროექტის ფარგლებში შიდა სასკოლო ტრენინგებით გადამზადდა სკოლის 6 მასწავლებელი, რომლებმაც შემდგომ დანერგეს ეს პროდუქტი სხვადასხვა საგნის სასწავლო პროცესში, გამოცდილება გაზიარდა კონფერენციის სახით საქართველოს სხვადასხვა კუთხის დაინტერესებული პედაგოგებისათვის.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასკოლო პროექტები;

2. ხარისხის მართვა;
3. შიდა ტრენინგები;
4. შეფასების ფორმები;
5. შინაგანაწესი, წესდებები;
6. წახალისება;
7. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
8. კონფერენციები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო პროცესის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიასა და მიზნებს. საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მკაფიოდ გაწერილი და საჯარო (სასკოლო საზოგადოებასა და თემთან გაზიარებული) ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ შემოშავებული დოკუმენტის საფუძველზე. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს, სამეურვეო საბჭოსთან შეათანხმებს და პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაფუძნებული სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმის მიხედვით განხორციელდა დაგეგმილი ღონისძიებები: მოსწავლეთა საგანმანათლებლო უნარების განვითარების დინამიკის-დადგენა და რეიტინგის განსაზღვრა, შემაჯამებელი წერების მონიტორინგი, განმავითარებელი შეფასებების გაზიარება მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის, ისგ ჯგუფების შექმნა და ისგ გეგმების შემუშავება.

შეესაბამება

2. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით (ადმინისტრაცია, არჩეული სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და კათედრები), ძირითად (დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები), ასევე დამხმარე პროცესებს, რომელიც აღწერილია სკოლის მიერ შედგენილ სასკოლო კურიკულუმში, სკოლის შინაგანაგანაწესში. სკოლა თანამედროვე მეთოდოლოგიის (სწავლა კეთებით, პრობლემაზე დაფუძნებული და პროექტებით სწავლებით, ინოვაციური კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ცდილობს განუვითაროს მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და აკადემიური წერის უნარ-ჩვევები, გაუღვივოს მათ მსჯელობის, გუნდთან ერთად მუშაობისა და პრეზენტაციის უნარები. აღნიშნული პროცესები ხელს შეუწყობს სკოლის მისიისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიზნების მიღწევას.

შეესაბამება

3. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური და გამოცდილი სისტემა. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია, როგორც სხვადასხვა სახის დისციპლინური გადაცდომები, ასევე ამ გადაცდომების შესაბამისი სახდელები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც არჩეულ იქნა სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში და განისაზღვრა თანაბარი ოდენობის მოსწავლით, მასწავლებელით და მშობელით. რაც შეეხება მასწავლებელთა დისციპლინურ გადაცდომას, სკოლის დისციპილინური კომიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბერის №167/ნ ბრძანების „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“- ის შესაბამისად.

შეესაბამება

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმები. პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებების დაცვის შესახებ პუნქტობრივად არის გაწერილი შინაგანაწესი. ასევე სკოლას ჰყავს ოთხი მანდატური, რომლებიც მოქმედებენ კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სემესტრში არანაკლებ ორჯერ იკრიბება, განიხილავს სკოლის საჭიროებებს და სკოლის დირექტორს მიმართავს რეკომენდაციებით. მათი რეკომენდაციით სკოლაში ტრენინგები „პოზიტიური აღზრდა" ჩატარდა მშობლებისათვის.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

1. გეგმები;
2. ბრძანებები;
3. მრჩეველთა საბჭო;
4. ხარისხის მართვა;
5. სამეურვეო;
6. დისციპლინარული;
7. შიდა ტრენინგები;
8. შეფასების ფორმები;
9. წახალისება;
10. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტებს მუშაობის პროცესი ხშირად ესაჭიროება ცვლილებებს შეტანა, რადგან სკოლა ცოცხალი ორგანიზმია და ითვალისწინებს სკოლის, მოსწავლეების, თანამშრომლების, გარემოს საჭიროებებს. ყველა დებულებას/დოკუმენტს აქვს მუხლი ცვლილებების შემუშავებისა და შეტანის პროცედურების შესახებ. დოკუმენტის შემქმნელი ჯგუფი განიხილავს ცვლილებებს საჭიროებისამებრ, გააქვს ეს ცვლილები სამეურვეო თუ პედაგოგიურ საბჭოზე განსახილველად ან დასამტკიცებლად. ივსება დასწრებისა და გაცნობის უწყისები. შესაბამისი დოკუმენტი იდება სკოლს ბლოგის სამართლებრივი აქტების გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

შეესაბამება

2. სკოლის მართვის კოლეგიალური ორგანოები, სადაც შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოების წევრები, გარდა პედაგოგებისა, არის: სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, მშობელთა სათათბირო. ეს უკანასკნელი აერთიანებს ყველა კლასიდან ორ-ორ წარმომადგენელს. მშობელთა სათათბიროს მოვალეობებია: განიხილოს სკოლისათვის აქტუალური და პრიორიტეტული საკითხები, ადმინისტრაციაში შემოიტანოს თავის მოსაზრებები, შენიშვნები, სკოლიდან გაიტანოს სიახლეები. მშობელთა სათათბირო წარადგენს დისციპლინური კომიტეტის და სამეურვეო საბჭოს წევრობაზე მშობლების კანდიდატებს.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პედაგოგირი საბჭო;
2. სასკოლო პროექტები;
3. მშობელთა სათათბირო;
4. ბლოგები;
5. ფესიბუქ გვერდი;
6. სამეურვეო საბჭოს სხომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია და მანდატური. სკოლას შემუშავებული აქვს პრობლემათა აღმოჩენის და გადაწყვეტის პოლისი, საგანგებო სიტუაციების (ეპიდემიის) სამოქმედო გეგმა. საევაკუაციო გეგმები განთავსებულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას. მასწავლებლებში და მოსწავლეებში საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, სკოლაში ჩატარდა ხანძრით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის იმიტაცია შშს საგანგებო სიტუაციების სამმართველოს დახმარებით. სკოლის საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ნომერი, სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეო სათვალთვალო სისტემით. **სკოლამ მიმართა განათლების სამინისტროს დაფინანსებისთვის,** რათა დარჩენილი ტერიტორია აღიჭურვოს ვიდეოკამერებით; სკოლა მდებარეობს ცენტრალურ გზაზე, ამიტომ სკოლა მუდმივად აკონტროლებს

მოსწავლეთა სკოლიდან გადინების პროცესს, დღის კარის გუშაგი მაქსიმალურად ზღუდავს მოსწავლეთა სკოლიდან გადინებას შესვენებებზე. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია მოწყობილია მხოლოდ პირველ სართულზე და მეორე სართულის კომპიუტერულ კლასში. **სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის** რეკომენდაციით სკოლაში უნდა შეივსოს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, რის შესახებ სკოლამ მიმართა განათლების სამინისტროს დამატებითი დაფინანსების გამოყოფის მიზნით. სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის და მოთავსებულია ექიმის კაბინეტში. სკოლის ექიმი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სრულყოფილი განვითარებისათვის შესაბამის ღონისძიებებს. ექიმი აწარმოებს შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს. შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილ იქნა **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 14 ივლისს და შეთანხებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. 2023 წლის 6 სექტემბერს სკოლასა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმდა ხელშეკრულება რომლის თანახმად 2023 წლის 11 ნოემბრამდე სკოლას უნდა წარმოუდგინონ შენობის ტექნიკური მდგომარეობის დასკვნა. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 26 ივლისს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დამტკიცებული სახანძრო სიგნალიზაციის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების საინჟინრო პროექტები, რომლებიც გადაეგზავნა სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს რათა მოხდეს აღნიშნული პროექტის განხორციელება/დაფინანსება.**
სკოლას მიეცა რჩევა, რათა გაფორმდეს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.

მეტწილად შეესაბამება

2. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელიც ზრუნავს სკოლაში უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. სკოლას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის ჟურნალი რომელიც ინახება ერთი წლით. სკოლაში გამოვლენილი დარღვევები აისახება ერთიან ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში (ელექტრონული ჟურნალი). სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დარღვევების სახეები და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები/დისციპლინარული სახდელები.

შეესაბამება

3. სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა სასკოლო კულტურის გაძლიერება, რაც გულისხმობს თავისთავად სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებას. ყოველივე ეს თვალნათლივ ჩანს სკოლის კურიკულუმის ზოგად ნაწილის მისიას, მიზანსა და ერთწლიანი გეგმის მიზნებში და განხორციელების გზებში. კვირაში ერთხელ სადამრიგებლო საათის ფარგლებში სკოლის ყველა საფეხურის კლასებში დამრიგებლები უთმობენ დროს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოების თემატიკას. ასევე სკოლას ჰყავს სამი მანდატური, რომლებიც კანონის შესაბამისად მოქმედებს. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სემესტრში არანაკლებ ორჯერ იკრიბება, განიხილავს სკოლის საჭიროებებს და სკოლის დირექტორს მიმართავს რეკომენდაციებით. მათი რეკომენდაციის სკოლაში ჩატარდა მშობლებისათვის ტრენინგები "პოზიტიური აღზრდა". სკოლებში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნისათვის ხორციელდება პედაგოგიური და არაპედაგოგიური კოლექტივის გაძლიერება ბავშვთა საჭიროებების ამოცნობასა და მათზე ჯეროვნად რეაგირებისათვის.

შეესაბამება

4. სკოლას ჰყავს სკოლის ინფრასტრუქტურის დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები - დამლაგებლები, რაც დასტურდება მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით სამუშაო აღწერილობით, და იცავენ სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმს. დასუფთავების გრაფიკის დადგენილია, გათვალისწინებულია ყოველდღიური, ყოველკვირეული და გენერალური დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნები, რომლებიც გაკრულია სველ წერტილებში. ყოველივე ზომოთაღნიშნულს მონიტორინგსა და კონტროლს უწევს სკოლის ექიმი. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ სკოლის შენობის პროფილაქტიკური დამუშავებას, რისთვისაც სადეზინფექციო სამუშაოების მწარმოებელ სამსახურთან მუდმივად აქვს გაფორმებული ხელშეკრულება. სკოლაში ფუნქციონირებს ადაპტირებული საპირფარეშოები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სანიტარული კვანძები აღჭურვილია ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციით. სკოლას გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

შეესაბამება

5. სკოლას აქვს პერსონალური მონაცემების და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის ეფექტიანი მექანიზმი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი. მიუხდევად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სკოლის მიერ შექმნილია დოკუმენტი (სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის ინფორმაციული უსაფრთხოების ლოკალური პოლისი) რითაც დაცულია სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცემები და მიმდინარეობს აღნიშნული მონაცემების დამუშავება.

ვერც გადმოგზავნილ და ვერც დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში და ვერც ვიზიტის პერიოდში ვერ მოვიძიეთ პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება. აღნიშნული ბრძანება გადმოგზავნილ იქნა შესაბამისობის გეგმასთან და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად

შეესაბამება

6. სკოლას გააჩნია ინფორმაციის დაცვის მექანიზმი (სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის ინფორმაციული უსაფრთხოების ლოკალური პოლისი), ასევე განსაზღვრული ყავთ პასუხისმგებელი პირები (საქმის მწამოებელი და ინფომენეჯერი). სკოლა მოქმედებს საქმის წარომების ერთიანი წესის შესაბამისად. სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ელექტრონულ პლატფორმაზე (Eschool) სადაც პერსონალური მონაცემები დაცულია არაავტორიზებული წვდომისგან. სკოლის ელექტრონულ ჟურნალში მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ მხოლოდ სკოლის დირექტორს, მოადგილეს, შესაბამისი კლასის დამრიგებელსა და საგნის მასწავლებლებს.

შეესაბამება

7. სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებთან დაკავშირებით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. კერძოდ, სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებისთვის აქტიურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს, რომლებსაც აგროვებს სხვა დასხვა არხებით: ყუთით „ჩემი ხმა”, ღია სოციალური ქსელში შექმნილ ჯგუფში “სკოლის მეგობრები”.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართთები:

1. ბრძანებები;
2. აღრიცხვის ფორმებ;

3. პედაგოგირი საბჭო;
4. ხელშეკრულებები;
5. სასკოლო პროექტები;
6. მრჩეველთა საბჭო;
7. ინფრასტრუქტურა;
8. შიდა ტრენინგები;
9. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლისი;
10. წახალისება;
11. ბლოგები;
12. ექიმი;
13. სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის შენობა განთავსებულია ახალგაზრდობის გამზირის N60-ში, საკადასტრო კოდი N03.06.25.405, მიწის ფართობია 7483 კვ. მ, აქედან შენობის ფართობია 5268.04 კვ. მ. (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან). სკოლა უზრუნველყოფილია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების თანამედროვე ლაბორატორიებით, თავისი აღჭურვილობით, ორი კომპიუტერული ლაბორატორიით (30 პერსონალური კომპიუტერი და 22 ლეპტოპი). ნარატიული და ელექტრონული ბიბლიოთეკით, რესურს ოთახით შესაბამისი ავეჯით, ორი სპორტული დარბაზით, კლუბით, სანიტარ-ჰიგიენური ნორმების დაცვით აღჭურვილი 14 სველი წერტილი. თითქმის ყველა საკლასო ოთახში დამონტაჟდა პროექტორი და განთავსდა პერსონალური ბუკი. ყოველწლიურად მიმდინარეობს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ინვენტარიზაცია. სკოლაში ფუნქციონირებს 45 პერსონალური კომპიუტერი და 38 ლეპტოპი. სამუშაო სივრცე მოსწავლეებისათვის არის ორ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სადაც მოსწავლეები პირველივე გაკვეთილზე ეცნობიან ლაბორატორიაში მუშაობის წესს. მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეებში განლაგებულია 6 კომპიუტერი: ციფრულ ბიბლიოთეკაში (1 სართულზე 2 პერსონალური კომპიუტერი); მე-3 სართულზე სამასწავლებლოში 2 პერსონალური კომპიუტერი; რესურს ოთახში 1 პერსონალური კომპიუტერი და მეორე სართულის ფოიეში 1 პერსონალური კომპიუტერი. საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლების მხარდასაჭერად საკლასო ოთახებშია 10 ბუკი და 12 ლეპტოპი, ქიმიის ოთახში 1 პერსონალური კომპიუტერი და 15 პროექტორი. ადმინისტრაციული საჭიროებისათვის გამოიყენება 8 პერსონალური კომპიუტერი და 2 ლეპტოპი, მანდატურის; ექიმის, ბუღალტერიაში 3 პერსონალური; დირექტორი 1 პერსონალური, ლეპტოპი; დირექტორის მოადგილე 1 ლეპტოპი; ტოკენი 1 პერსონალური; საქმემწარმოებელი - 1 პერსონალური. შემუშავებულია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა. სკოლას აქვს ქიმიის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, ლაბორატორიული მოწყობილობებით და ჭურჭლით. უსაფრთხოების წესებს მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს პირველივე გაკვეთილზე და აფორმებს შესაბამის გაცნობის აქტს. სკოლას გააჩნია მხატვრული წიგნადი ფონდი და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკის საცავში. არსებობს მკითხველთა დარბაზი, სადაც განთავსებულია საკატალოგო და საენციკლოპედიო მასალები, მეთოდური ლიტერატურა, ელექტრონული ბიბლიოთეკა. ყოველივე ეს მუშაობს ბიბლიოთეკის მუშაობის წესის თანახმად.

შეესაბამება

2. სკოლაში არსებულ ლაბორატორიებთან განთავსებულია სარგებლობის/მოხმერების წესები, ასევე გამკრულია განრიგი რომლის მიხედვითაც სასკოლო საზოგადოებას შეუძლია არასაგაკვეთილო პროცესის დროს ისარგებლოს აღნიშნული სივრცეებით (საბუნებისმეტყველო და კომპიტერული ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, სპორტული დარბაზითა და მოედნით).

შეესაბამება

3. სკოლა ათასწლეულის გამოწვევის პროექტის ფარგლებში სრულად რეაბილიტირებული იქნა. დაცულია და შექმნილია ინკლუზიური გარემო კერძოდ, პირველ სართულზე განთავსებულია ორი ადაპტირებული საპირფარეშო, სამი შესასვლელი პანდუსი. ადაპტირებული საკლასო ოთახი. რესურს ოთახში განთავსებულია ჯგუფური მუშაობის ადაპტირებული მერხი, ინდივიდუალური მერხები, შექმნილია რეკრეაციული სივრცე, ასევე სკოლის საერთო სივრცეში (მეორე სართულზე) გამოყოფილია რეკრიაციული ზონა.

შეესაბამება

4. სკოლაში არის სააქტო დარბაზი, სადაც ტარდება პედაგოგიური საბჭოები, მშობელთა სათათბიროს კრებები, ტრენინგები. სხვადასხვა თემატური ღონისძიებები. სკოლაში ფუნქციონირებს ორი სპორტული დარბაზი სხვადასხვა საფეხურის კლასებისათვის. დარბაზებში ტარდება სპორტის გაკვეთილები, სპორტული ოლიმპიადები. მოქმედებს სპორტული- კალათბურთის და ქორეოგრაფიული წრეები. სკოლაში ბიბლიოთეკასთან ფუნქციონირებს სამკითხველო, სადაც არის წიგნების კატალოგი, ციფრული ბიბლიოთეკის კომპიუტერები, მეთოდური ლიტერატურა, ატლასები და კლასიკური ლიტერატურა. ბიბლიოთეკის სივრცე მისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, განკუთვნილია როგორც ღონისძიებებისათვის, ასევე კლუბური მუშაობისათვის. სკოლის შენობის ყველა სართულზე არის სარეკრიაციო ზონები, სადაც მოთავსებულია სკოლის მიერ შეძენილი პუფები, კომპიუტერი და დეკორატიული ყვავილებით. თითოეულ ზონაში მოთავსებული სხვადასხვა საინფორმაციო დაფები. სკოლის ეზოში ასევე არის მოწყობილი ღია საკლასო სივრცე, რომელმაც განსაკუთრებული დატვირთვა მიიღო პანდემიის დროს. აქ ტარდებოდა ღია სივრცეში მშობელთა კრებები, გაკვეთილები აქტივობები.

შეესაბამება



5. სკოლის საბუნებისმეტყველო და კომპიტერულ ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, რესურს ოთახში განთავსებულია ყველა ის კურიკულუმით გათვალისწინებული თვალსაჩინოება და რესურსი რომელიც ხელს უწყობს ესგ მიზნების მიღწევაში (ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებაში);

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):
დანართები:

1. სახანძრო,
2. საკადასტრო გეგმა,
3. კლუბები-წრეები,
4. შინაგანაწესი,
5. წესდებები,
6. პროფორიენტაცია,
7. ბლოგები,
8. მოსწავლეების მხარდაჭერა,
9. ექიმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია ორი კომპიუტერული ლაბორატორიით, ერთ კომპიუტერულ ლაბორატორიაში საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებისათვის განთავსებულია 29 პერსონალური კომპიუტერი. ხოლო მეორე კომპიუტერულ ლაბორატორიაში, რომელიც განკუთვნილია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის განთავსებულია 24 ლეპტოპი. ასევე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში განთავსებული 2 პერსონალური კომპიუტერი და მეორე სართულზე ფოიეში განთავსებული 1 პერსონალური კომპიუტერი. მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეებში განლაგებულია 6 კომპიუტერი: ციფრულ ბიბლიოთეკაში 2 პერსონალური კომპიუტერი, მე-3 სართულზე სამასწავლებლოში 2 პერსონალური კომპიუტერი; რესურს ოთახში 1 პერსონალური კომპიუტერი და მეორე სართულის ფოიეში 1 პერსონალური კომპიუტერი. საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლების მხარდასაჭერად საკლასო ოთახებში ხელმისაწვდომია 10 ბუკი და 12 ლეპტოპი, ქიმიის ოთახში 1 პერსონალური კომპიუტერი. სკოლას აქვს 17 პროექტორი, მათი გამოყენება შესაძლებელია საგაკვეთილო პროცესში. პროექტორები გადანაწილებულია სართულების მიხედვით და ხელმისაწვდომია ყველა საფეხურისათვის. ადმინისტრაციული საჭიროებისათვის გამოიყენება 8 პერსონალური კომპიუტერი და 2 ლეპტოპი: მანდატურის, ექიმის, ბუღალტრისათვის 3 პერსონალური კომპიუტერი; დირექტორისათვის 1 პერსონალური კომპიუტერი და ლეპტოპი; დირექტ. მოადგილე 1 ლეპტოპი; ტოკენი 1 პერსონალური; საქმის მწარმოებლისათვის - 1 პერსონალური კომპიუტერი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. აქვს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი, სკოლაში არის უკაბელო ინტერნეტი (Wi- Fi). მასწავლებლებლებს, მოსწავლეებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ინტერნეტით სარგებლობა შეუძლია სკოლის შენობის ნებისმიერ სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას, სკოლას გაწერილი აქვს ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა, დასახული აქვს მომდევნო სასწავლო წელს განსახორციელებელი აქტივობები, რომლებიც პასუხობს როგორც სწავლა - სწავლების, ასევე სკოლაში არსებულ ადმინისტრაციულ პროცესების მართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

შეესაბამება

2. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის და სკოლის ადმინისტრაციის წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა, ამასთანავე, სკოლას ჰყავს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერულ ლაბორატორიაში ქცევის წესები, რომელიც განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიებში თვალსაჩინო ადგილას. ფოიეში განლაგებული კომპიუტერები ხელმისაწვდომია სამუშაო დღეებში 8:30-დან 17:00 საათამდე, როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის. სკოლის ციფრული განვითარების გეგმაში გაწერილია გრაფიკი. მომდევნო სასწავლო წლისათვის სკოლის ფოიეში განთავსდება 12 პერსონალური კომპიუტერი, თითო სართულზე 2 ცალი საერთო თავისუფალი მოხმარებისათვის.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. გეგმები,
2. ხელშეკრულებები,
3. მოსწავლეების მხარდაჭერა

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის როგორც შიდა ასევე გარე დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ერთიანი ელექტრონული სისტემის eflow საშუალებით. სკოლაში დოკუმენტების აღრიცხვა ხდება საქმისწარმოების ერთიანი წესის მიხედვით. სკოლის საქმის წარმოებელი პასუხისმგებელია დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებზე, დოკუმენტების ფორმებზე და ტიპებზე, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირებაზე, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესის დაცვაზე, დოკუმენტების შედგენაზე, გაფორმებაზე, დავალებების შესრულების კონტროლზე და გაგზავნაზე, ინფორმაციის გაცემის წესზე, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვაზე.

შეესაბამება

2. სკოლა მართვას ახორციელებს ერთიანი ელექტრონული სისტემის eflow და Eschool - ის საშუალებით, ასევე სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა kutaisi33@mes.gov.ge. სადაც ხდება ინფორმაციის მიღება და შემოსულ წერილებზე პასუხის დაბრუნება. თანამშრომლები იყენებენ შიდა ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის პლატფორმას eflow ანგარიშების, ოქმების, აქტების, განცხადებების ადმინისტრაციაში წარსადგენად. სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად იყენებს ღრუბლოვან სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფილია Office 365-ით. ასევე ადმინისტრაციაიყენებს შიდა ქსელს, სადაც ერთობლივ გამოყენებაშია ბუღალტრული მონაცემები, მნეს, ინფო-მენეჯერის, დირექტორის მოადგილის საქაღალდეები.

შეესაბამება

3. სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eSchool. სადაც სრულყოფილად არის სკოლის მონაცემები შევსებული, მაგალითად: სკოლის ბარათი, პირველკლასელთა ლიმიტი, საგნების განაწილება, პროფესიული განვითარების ჩანართი, სკლის პერსონალთა კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია, გრიფირებული სახელმძღვანელოები, საათებისა და საგანთა განაწილება, საშტატო განრიგი. კლასის დამრიგებლებს აქვთ წვდომა, თავისი პირადი პროფესიული პორტფელიოსთან და ასევე სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების პირად ინფორმაციასთან. და ვალდებული არიან საჭიროებისამებრ შეიტანონ ცვლილებები მათ პირად მონაცემებში.

შეესაბამება

4. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორს ეკისრება ვალდებულება ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარსდგეს და გააცნოს ანგარიში ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო

პროცესის შესახებ. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკუთარი ანგარიშით წარსდგება სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე და აბარებს როგორც ფინანსურ, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სამეურვეო საბჭო უკუკავშირის სახით აძლევს გაწეული მუშაობის შეფასებას, რეკომენდაციას საჭიროებისამებრ. ასევე შესაბამის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებაზე სკოლა აგზავნის ყოველწლიურად მაცნეში.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ბრძანებები,
2. საქმისწარმოება,
3. eflow,
4. eSchool.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ გააჩნია ოფიციალური ვებ გვერდი, თუმცა ბლოგისა და საკომუნიკაციო არხების საშუალებით ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას. სკოლის ბლოგზე 33skola.blogspot.com. იტვირთება მიმდინარე სიახლეები. ყველა გვერდს თუ პოსტს აქვს უკუკავშირის ველი. სკოლას აქვს facebook გვერდიც „ქუთაისის ოცდამეცამეტე საჯარო სკოლა“, სადაც აქტიურად იტვირთება სკოლაში მიმდინარე აქტივობები. ინფორმაციის გაცვლისათვის, შეტყობინების გაგზავნისათვის და სწრაფი რეაგირებისათვის შექმნილია დახურული საკლასო ჯგუფები, რომლებშიც გაერთიანებულია იმ კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. ამ ჯგუფების არსებობამ ძალიან გაადვილა სკოლასა და მშობლებს შორის კომუნიკაცია. ასევე სკოლა Teams-ს პლატფორმას აქტიურად იყენებს. ჯგუფებს მოსწავლეებისათვის დავალებების გასაგზავნად, შესაფასებლად, უკუკავშირების გასაგზავნად, მშობელთა კრებების ჩასატარებლად ან ინდივიდუალური შეხვედრებისათვის. სხვადასხვა გამოკითხვისა და კვლევის ჩასატარებლად სკოლა აქტიურად იყენებს forms. სკოლის შენობაში განთავსებულია საინფორმაციო დაფები: ადმინისტრაციისათვის და მასწავლებლებისათვის, ცალკე მოსწავლეებისათვის სხვადასხვა ინფორმაციის განსათავსებლად. **სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა შექმნილი ვებ-გვერდი.**

შეესაბამება

2. სკოლისათვის განკუთვნილ ნებისმიერ პლატფორმაზე ინფორმაცია ქვეყნდება კანონმდებლობის შესაბამისად. რაზეც პასუხისმგებელია სკოლის ინფო-მენეჯერი.

შეესაბამება

3. სკოლა საკომუნიკაციო არხებიდან იყენებს ოფიციალური სოციალურ ქსელის Facebook გვერდს, დახურულ ჯგუფს „სკოლის მეგობრები“, სკოლაში განთავსებულ ყუთს „ჩემი ხმა საზოგადოებაში“. შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში გამოიყენება მიღებული სკოლის საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას. სკოლა სხვადასხვა პროექტებისა თუ აქტივობის შეფასებისათვის ხშირად იყენებს მშობლების გამოკითხვის ელექტრონულ ფორმატს, მაგალითად, განმავითარებელი შეფასების შესახებ, საგანმანათლებლო რესურსების შესახებ და ა.შ.

შეესაბამება

4. სკოლას არ ჰქონდა მოქმედი ვებ გვერდი. **შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა შექმნილი ვებ-გვერდი, აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია სტანდარტით განსაზღვრული ყველა ინფორმაცია ქართულ ენაზე, ვინაიდა სკოლაში სწავლება მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე.**

შეესაბამება

5. სკოლას არ ჰქონდა მოქმედი ვებ გვერდი, **სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა შექმნილი ვებ-გვერდი, აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია სტანდარტით განსაზღვრული ყველა ინფორმაცია** (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია.).

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ინფრასტრუქტურა,
2. ბლოგები,
3. ფესიბუქ გვერდი.
4. ვებ-გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, ფინანსურ საქმიანობას აწარმოებს ფაქტობრივი ბიუჯეტით, სადაც მუხლობრივად არის გაწერილი როგორც შემოსავალი, ასევე ხარჯი. ბიუჯეტის პროექტის შექმნის დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წარმოჩენილი პრიორიტეტები სკოლის ფინანსური რესურსების ფარგლებში. ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიურია. შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა და გადამტკიცება; სკოლის წლიური სამოქმედო გეგმაში ასახულია მატერიელურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, საბიბლიოთეკო ფონდის შევსება, საოფისე მასალების შეძენა და სარემონტო სამუშაოების განხორციელება

შეესაბამება

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) ეფექტიანი სისტემა სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე, რომელსაც აკეთებს სკოლის ბუღალტერი და წერილობით eflow-ის საშუალებით აწვდის დირექტორს. საჭიროების შემთხვევაში ინდ. აქტით შედის ცვლილებები. ყოველი კალენდარული წლის ათ დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნილ ვადებში წარუდგენს ინფორმაციას ფინანსური რესურსების განკარგვისა და მოძრაობის შესახებ.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):
სამეურვეო საბჭოს N1 ოქმი
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 31 ოქტომბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული შინაგანაწესით. შინაგანაწესში არის მუხლები, რომლებიც არეგულირებენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და უზრუნველყოფს მათ გარანტიებს. ასევე განთავსებულია დისციპლინური წარმოების წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმების და ა.შ. სკოლაში ფუნქციონირებს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლისი, სადაც აღწერილია არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვის, გასაჯაროების წესი. მათ შორის: ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის გავრცელების, ძალადობის მსხვერპლი ბავშვთა ინფორმაციის გასაჯაროების, სსსმ მოსწავლეების ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები და ა.შ. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა. სტრუქტურა ხელმძღვანელობს თვითმართველობის არჩევის წესით და დებულებით, სადაც სადამრიგებლო კლასების მოტივაციის გაზრდისა და სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღების ხელშესაწყობად შექმნილია სკოლაში არსებული აქტივობების შეფასების სარეიტინგო სისტემა. სკოლაში თვითმმართველობის არჩევნები იმართება ყოველი წლის ოქტომბრის თვეში. სკოლაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელიც

უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის მანდატურის სკოლასთან კოორდინირებულ მოქმედებას, რომლის შემადგენლობა კანონის მიხედვით მტკიცდება სკოლაში დირექტორის ბრძანებით. სკოლაში მანდატურის სამსახური წარმოდგენილია სამი პირით, რომელიც მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად.

შეესაბამება

2. სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს სასკოლო საზოგადოებას შინაგანაწესს მშობელთა კრებებსა და კლასის საათის დროს. ასევე, როდესაც მშობელს შემოყავს მოსწავლე სკოლაში აწერს ხელს მშობელსა და სკოლას შორის დადებულ ხელშეკრულებას, რითაც ადასტურებს, რომ გაეცნო სკოლის შინაგანაწესს. სკოლის ადმინისტრაციის საინფორმაციო დაფაზე. და მშობელთა კლუბის ბლოგის ჩანართში, განთავსებულია: სკოლის შინაგანაწესი, საჭირო ცხელი ხაზების ნომრები, ასევე დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტისა და ადამიანთა უფლებების ცენტრის საინფორმაციო ფურცელი უფასო იურიდიული დახმარების შესახებ ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის, საჯაროდ განთავსებულია "ჩემი ხმა" - ყუთი, რომელშიც გროვდება მოსწავლეთა შეტყობინებები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფაქტებთან, სურვილებთან, ინიციატივებთან დაკავშირებით__ განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე, ცენტრალურ შემოსასვლელში თანდართული ინსტრუქციით სკოლას შექმნილი აქვს დახურული Facebook ჯგუფი "33 საჯარო სკოლის მეგობრები". სადაც გაერთიანებულია სკოლის მოსწავლეების მშობლები. მათ აქვთ შესაძლებლობა მოსწავლეების უფლებების დაცვის მიზნით პირდაპირ ეკონტაქტონ სკოლის ადმინისტრაციას. აღნიშნულ გვერდს სკოლა ასევე იყენებს საჭირო ინფორმაციის გაზიარების მიზნით. სკოლა ინფორმაციის გავრცელებისათვის აქტიურად იყენებს ელექტრონულ ბლოგს 33skola.blogspot.com,

შეესაბამება

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას. რომლის ვადა განისაზღვრა მოსწავლის მიერ სწავლის დასრულებამდე, ასევე ხელშეკრულების აღნიშნულმა მუხლმა დაარეგულირა ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტის საფუძვლები. ხელშეკრულების შინაარსში გათვალისწინებულია მოსწავლეთა კონფიდენციალურობის საკითხიც. ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მშობელი გამოხატავს თანხმობას შვილის ფოტო/ვიდეო მასალის გასაჯაროების შესახებ, თუ ეს ემსახურება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სექტემბრის თვეში პირველ მშობელთა კრებაზე ხდება ხელშეკრულების შინაარსის გაცნობა და მშობელი ხელისმოწერით ადასტურებს თანხმობას ხელშეკრულების პირობებზე და სკოლის შინაგანაწესის გაცნობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებების ერთი ორიგინალი ეგზემპლარი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. N33 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
2. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N 3;
3. დისციპლინარული კომიტეტის სხდომის ოქმი N7;
4. შინაგანაწესი, წესდებები;
5. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლისი.
6. პედაგოგირი საბჭოს სხდომის ოქმი N7;
7. ხელშეკრულებები;
8. ინფრასტრუქტურა;
9. ფესიბუქ გვერდი.
10. ხელშეკრულებები;
11. ბლოგები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესი, რომელიც შემუშავებულია და გაწერილია სსგ-ში, რაც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. ინფორმაცია პირველკლასელთა მიღების წესისა და ვადების შესახებ განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, სკოლის შემოსასვლელში, განთავსებულია სკოლის facebook გვერდზე, დამრიგებლები დახურულ ჩატში აწვდიან ინფორმაციას მშობლებს. სკოლა თანამშრომლობს თემში არსებულ N 1 საბავშვო ბაღთან. **მოსწავლის სკოლაში მობილობის შემთხვევაში, სკოლის დირექტორის განკარგულების საფუძველზე, იქმნება კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 3 მასწავლებლისგან (ქართული, მათემატიკა, უცხო ენა); მობილობის დროს, ტესტირების საშუალებით, სკოლა ამოწმებს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს.** ტესტირების შედეგები მშობელს მიეწოდება არაუგვიანეს ერთი დღისა. დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, ტესტირებაში დაბალი შეფასების დროს **სკოლა ვალდებულია** ჩართოს მოსწავლე რემედიაციულ პროგრამაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, ხოლო საშუალო საფეხურის მოსწავლისათვის, მშობელთან გასაუბრების საფუძველზე სკოლა იტოვებს უფლებას, **მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, განიხილოს უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა და მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიული განათლების მიღების მხარდასაჭერად.**

შეესაბამება

2. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა პროცედურის დაცვით, პირველკლასელი სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ვადებითა და რეგულაციით, სტატუსის დადგენის შემდეგ მოსწავლე ბრძანების საფუძველზე ირიცხება პირველ კლასში, ხოლო უარყოფის შემთხვევაში, მოსწავლეს უუქმდება რეგისტრაცია და ეტაპის შესაბამისად რეგისტრირდება თავიდან. სკოლაა ამ ეტაპზე არ ჰყავს უცხოეთიდან აღიარების დოკუმენტით ჩარიცხული მოსწავლე.

შეესაბამება

3. სკოლა მე-4 კლასის დასრულების შემდეგ, მშობლებს სთავაზობს მეორე უცხო ენის არჩევანს. უცხო ენის კათედრის წარმომადგენელები ხვდებიან შესაბამის კლასის მოსწავლეების მშობლებს, აწვდიან ინფორმაციას სკოლაში დანერგილი უცხო ენის პროგრამების შესახებ (რუსული/გერმანული). მშობელი არჩევანს ადასტურებს განცხადებით ან დამრიგებელი წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას სამსახურეობრივ ბარათ, რის საფუძველზეც ხდება უცხო ენების განაყოფების დაკომპლექტება. სასწავლო სასკოლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია რა სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს სწავლების პროცესი. სსგ გაზიარებულია სკოლის ბლოგზე, საინფორმაციო დაფაზე. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბი. მათ

ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია სკოლაში არსებული კათედრები. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრების მხრიდან პედაგოგიურ საბჭოზე ხორციელდება იმ აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაჟღერება, რომლის განხორციელება იგეგმება სასწავლო წელს. აღნიშნული კლუბები არის უფასო და ხელმისაწვდომია ყველასათვის. სკოლა დამატებითი შემოსავლის მოზიდვის მიზნით, განათლების სამინისტროსა და ქონების სამმართველოს თანხმობით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, იჯარით გასცემს ფართებს, რაც უზრუნველყოფს სკოლაში დამატებითი მომსახურეობის განხორციელებას.

შეესაბამება

4. სკოლის ბლოგზე თავსდება სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია. კლუბებისა და წრეების მუშაობის ამსახველი მასალები, სასკოლო კვლევები, სასკოლო და სასწავლო პროექტები, სამართლებრივი აქტები, სკოლის სტრუქტურა, თვითმმართველობის საქმიანობა, მშობელთა კლუბის აქტივობები, სკოლაში არსებული მომსახურეობის შესახებ ინფორმაცია და ა.შ. ყველა გვერდს თუ პოსტს აქვს უკუკავშირის ველი, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ან მოსაზრება. სკოლა ინფორმაციის გასაჯაროებისათვის იყენებს facebook გვერდს ქუთაისის ოცდამეცამეტე საჯარო სკოლა". ბლოგსა თუ facebook გვერდზე განთავსებული მასალა არის კანონმედბლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არა დისკრიმინაციული. სკოლას აქვს თემთან მუშაობისა და განხორციელებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგი პრაქტიკა. 2023 წელს სკოლაში ჩატარდა ფესტივალი, სახელწოდებით "STEAM-2023", სადაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საინჟინრო, სახელობო და ტექნოლოგიურ სფეროების მიმართულებით, განხორციელდა მოსწავლეების მიღწევების, ნაშრომების, კომპლექსური დავალებების პროდუქტების გასაჯაროება. სხვადასხვა უწყებიდან მოწვეული სტუმრების გარდა, ფესტივალს ესწრებოდნენ მშობლები, თემის წარმომადგენლები, დაინტერესებული პირები, რომელთაც ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ სკოლაში არსებულ წარმატებულ პრაქტიკას, ინფორმაცია მიეღოთ თავად მოსწავლეებისგან. მსგავსი ტიპის კომუნიკაცია თემთან განხორციელდა კვირეულის „ინკლუზია ნიშნავს", სასწავლო პიკნიკის, საერთაშორის სპორტის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებების ფარგლებში.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანებები;

2. აღრიცხვის ფორმები;
3. ინფრასტრუქტურა;
4. სკოლის ბლოგი;
5. ფესიბუქ გვერდი.
6. ხელშეკრულებები;
7. საქმისწარმოება.
8. კლუბები-წრეები,
9. სასკოლო პროექტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეთა სასკოლო გარემოში ადაპტირებას ახორციელებს სადამრიგებლო პროგრამით, მოსწავლის მიღების წესით და შინაგანაწესით. ის ჩართულია საქართველოს განათლებისა და სამინისტროს და ორგანიზაცია „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისათვის“ პროექტში „ტრანზიციის პრაქტიკის მდგრადი ინტეგრირება ადრეული და დაწყებითი განათლების სისტემაში“ პროექტის ფარგლებში, მოსწავლის ტრანზიციის შესახებ მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები და მიღებული გამოცდილება გაუზიარეს სასკოლო საზოგადოებას. ტრანზიციის ხელშემწყობი რეკომენდაციები განთავსებულია სკოლის ბლოგის “მშობელთა კლუბის” გვერდზე და დამრიგებელი აცნობს ამ გვერდს და მასში მოთავსებული ინფორმაციას მშობლებს. ადაპტაციასთან გამოხატული სირთულეების შემთხვევაში, არასრულწლოვნებთან მუშაობას იწყებენ სპეციალური მასწავლებლები. სკოლას აქვს პრაქტიკა, ადაპტაციის კუთხით გამოხატული სირთულეების დაძლევის მიზნით, მოსწავლის გადამისამართების, მანდატურის სამსახურის ფსიქო–სოციალური მომსახურების ცენტში. სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის უკუკავშირის საფუძველზე კი დამრიგებელმა განახორციელა აქტივობები მოსწავლის კლასთან ინტეგრაციის ხელშესაწყობად. ასევე სკოლას აქვს რემედიაციის პროგრამა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. სადამრიგებლო პროგრამა, მოსწავლის მიღების წესი, შინაგანაწესი

შეესაბამება

2. სკოლა ხელმძღვანელობს ტრანზიციის მხარდაჭერის ზოგადი სახელმძღვანელოთი. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებამდე წინასწარ გეგმავენ მომავალ მოსწავლეებსა და მშობლებთან როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური საორიენტაციო შეხვედრებს. ბავშვებს ეძლევათ შესაძლებლობა, წინასწარ გაეცნონ და შეეგუონ მომავალ დამრიგებელს, ისევე, როგორც მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა, წინასწარ გაიცნოს ბავშვები, გაეცნოს მათ საჭიროებებს, ძლიერ მხარეებსა და განსაზღვროს სასწავლო პროცესში მათი ჩართვის ხელშეწყობის გზები;

შეესაბამება



3. სკოლას გააჩნია მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს და Teams-ის პლატფორმას. ელექტრონულ ჟურნალში, გარდა განმსაზღვრელი შეფასებისა მოსწავლეს და მშობელს შესაძლებლობა აქვთ წელიწადში სამჯერ მიიღონ **ჰოლისტური** განმავითარებელი უკუკავშირი მოსწავლის პროგრესთან მიმართებით. Teams-ის პლატფორმაზე ატვირთულია კომპლექსური დავალებების პირობა და შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეს და მშობელს აძლევს შესაძლებლობას კიდევ ერთხელ გაეცნონ კომპლექსური დავალების შინაარსს, ხოლო მასწავლებლებს დროული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გაცემისას სკოლას აქვს მექანიზმი მიიღოს მშობლის უკუკავშირი მასწავლებლის მიერ გაცემულ შეფასებაზე. მშობელს უზიარდება ფაილი, რომლის საშუალებითაც მას აქვს შესაძლებლობა გააზიაროს საკუთარი მოსაზრება. აკადემიურიად შედარებით დაბალი მაჩვენებლის მოსწავლეებისათვის, მშობლის თანხმობით ხორციელდება რემედიაციული პროგრამა.

შეესაბამება

4. სკოლაში არსებობს სასწავლო პროგრამების ექსტერნის ფორმით დაძლევის პრაქტიკა. ექსტერნის ვადებისა და სკოლის მხრიდან მხარდაჭერის შესახებ წინასწარ ინფორმირებულია მოსწავლე, მშობელი, კანონიერი წარმომადგენელი. დირექტორის ბრძანების თანახმად, მასწავლებელი ატარებს შესაბამის საკონსულტაციო შეხვედრებს, როგორც დისტანციურად, ასევე პირისპირ. სკოლაში ყოველწლიურად იმართება სემესტრული (ნიშნის ასამაღლებელი) და წლიური გამოცდები სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გამოცდებზე რეგისტრაციის წესი, ჩატარების ვადები და პირობები. სასკოლოს სასწავლო გეგმა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, ასევე დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში. სკოლაში არსებობს შინ სწავლების პრაქტიკა. მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, დირექტორის ბრძანებით იქმნება ჯგუფი, რომლის ფარგლებში გაწერილია საგნის მასწავლებლის და დამრიგებლის ვალდებულებები. მშობელს/მოსწავლეს წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია სასწავლო განრიგისა და შეხვედრის ფორმის შესახებ. შეხვედრები ძირითადად იმართება დისტანციურად, თიმსის პლატფორმის გამოყენებით.

შეესაბამება

5. სკოლის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს არაფორმალური განათლების მხარდაჭერა. ამ კუთხით 2022-2023 სასწავლო წელს სკოლაში ფუნქციონირებდა 24 კლუბი/წრე: ჟურნალისტიკის კლუბი, ახალგაზრდა მკლევართა კლუბი, English Speaking Club, რუსული ენის კლუბი, Code პროგრამირების კლუბი, კოდინგის კლუბის მოსწავლეებმა შექმნეს სკოლის 3d-მოდელი, რომელიც საშუალებას მიცემს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დაათვალიეროს სკოლის სივრცე სკოლაში შეუსვლელად, უცხო ენის (ინგლისური) English Time Team, რობოტოტექნიკის კლუბში შექმნილია ოთახის მცენარეების ავტომატური მორწყვის სისტემა, რომელიც განთავსებულია ოთახის მცენარეების სანერგეში, სოციალურ საწარმოში, ფუნქციონირებს არტ-კლუბი. სკოლაში, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ფუნქციონირებს

ქორეოგრაფიული, კალათბურთის, უშუს, სამბოს, მუსიკალური და საგუნდო სიმღერის წრეები. სკოლაში ხორციელდება პროექტები, როგორიცაა მაგალითად, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის Milenium-ის ფონდი, USAID -ის საბაზისო განათლების პროგრამა, PH Internetional, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაცია “გვირილა”, განათლების კოალიცია EFA – Georgia, გუდავაძე პატარკაციშვილის ფონდი, Microsoft Georgia, Mindwork, "ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს", “წიგნებით მეს ძიებაში“. სკოლის თვითმართველობა არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, ადმინისტრაცია ახალისებს მათ ინიციატივებს. აღნიშნულ კლუბებს კანონმდებლობის გათავლისწინებით ხელმძღვანელობს სკოლის მაღალკვალიფიციური კადრი.

შეესაბამება

6. სკოლას აქვს პრაქტიკა კურიკულუმის რევიზიის, რომელშიც ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. მშობელთა კრებებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაინერგა კომპლექსური დავალებების საკლასო სივრცეში შესრულების პრაქტიკა. მნიშვნელოვანი იყო მშობელთა უკუკავშირის სისტემის დანერგვა, მასწავლებლის მიერ გაცემულ განმავითარებელ შეფასებასთან მიმართებით. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს “Forms” კითხვარების გამოყენებით სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას და უკუკავშირის შესაბამისად ფორმალური და არაფორმალურ მომსახურების გაუმჯობესებას.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. აღრიცხვის ფორმები;
2. ბლოგები.
3. სასკოლო პროექტები;
4. შეფასების ფორმები;
5. მოსწავლეების მხარდაჭერა.
6. კლუბები, წრეები;
7. სიპ ქალაქ ქუთაისის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.
8. პედაგოგირი საბჭოს სხდომის ოქმი N7;
9. მშობელთა სათათბირო.
10. ვებ-გვერდი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით, ყოველწლიურად ტარდება პროფორიენტაციის გაკვეთილები მე-9 და მე-11 კლასებში, ასევე გასვლითი ექსკურსიები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში (კოლეჯი “იბერია”) ამ გაკვეთილებიდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს მეცხრე კლასამდე მეტი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ სპეციალობებზე, რომ საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ შეძლოს მართებული გადაწყვეტილების მიღება პროფესიული თვალსაზრისით. ამიტომ სკოლაში, გარდა გაკვეთილებისა, სხვადასხვა პროექტის სახით, ხორციელდება მოსწავლეთა მხარდაჭერა. მაგალითად, მილენიუმის ათასწლეულის გრანტის ფარგლებში სკოლაში დაინერგა ოთხი პროფესიის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროგრამები: მკერავი, ავეჯის დიზაინერი, სოკოს გამომყვანი, კომპიუტერის ოპერატორი. სკოლაში ასევე განხორციელდა განათლების სამინისტროს დაფინანსებით, პროექტი “პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სკოლის მოსწავლეებში”, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა შეძლეს დაუფლებოდნენ გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების, ტანსაცმლის დიზაინერის პროფესიის საწყის უნარებს. სკოლაში 9 კლასის სსსმ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მხარდასაჭერად შემუშავებულია ტრანზიციის გეგმა. გეგმაში გაწერილი აქტივობები, პოზიტიური დისკრიმინაციისა და სტიგმისაგან თავის არიდების მიზნით, ხორციელდება მე–9 კლასის ყველა დაინტერესებული მოსწავლესთან. ტრანზიციის გეგმის ფარგლებში გაფორმდა მემორანდუმი რესტორან „სანაპიროსთან“ და სილამაზისა და ესთეტიკის ცენტრ „FASHION“ , მემორანდუმის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება მიეცათ მოერგოთ სხვადასხვა პროფესია: მაგ: სტილისტი, ვიზაჟისტი, მენეჯერი, დიასახლისი, მიმტანი, მზარეული და ა.შ. სკოლაში 2019 წლიდან ტრადიციულად იმართება ღონისძიება „EDU-PARK“ მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისთვის. მოსწავლეები თანამშრომლობენ საგნის მასწავლებლებთან, ირჩევენ მათთვის საინტერესო საგანს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და ირგებენ მასწავლებლის როლს.

შეესაბამება

2. სკოლა მუდმივად ცდილობს, მიაწოდოს მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. რისთვისაც მიმართავს სხვადასხვა მექანიზმებს: სადამრიგებლო საათები, გასვლითი ექსკურსიები. მიმდინარე წლის აპრილის თვეში განხორციელდა საბაზო საფეხურის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისა და მშობლების ვიზიტი კოლეჯ "იბერიაში". სადაც დაინტერესებულ პირებს თავად დაწესებულების თანამშრომლებისაგან მიეწოდათ ინფორმაცია კოლეჯში არსებული პროფესიების, ჩარიცხვის ვადების, კურსის ხანგრძლივობის შესახებ. სსსმ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შეხვდა კოლეჯის ინკლუზიური განათლების კოორდინატორი და გააცნო დამატებითი მომსახურებები.

შეესაბამება

3. სკოლაში თვითმართველობის ინიციატივით ხორციელდება პროექტი "სკოლის მატიანე", სადაც გროვდება ინფორმაცია სკოლის კურსდამთავრებულებზე პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით. 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება შეიმუშავოს ,,კმაყოფილების კითხვარი". რომლის საფუძველზე სკოლა გამოიკვლევს დაეხმარა თუ არა სკოლის მიერ გაწეული მომსახურება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით მომავალი პროფესიის არჩევაში და რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო პროექტები,

სსსმ მოსწავლეთა რეგულაციები,

პროფორიენტაცია.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო წლის დასაწყისში სპეც. და საგნის მასწავლებლების ჩართულობით იქმნება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. რომელშიც გაწერილია აქტივობები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია, სსსმ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაცია, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, სსსმ მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების შეძენა, საგნის მასწავლებლების მხარდაჭერა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმებისა და მეთოდების გაცნობის კუთხით, სპეციალური მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლაში არსებული შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სასკოლო საფეხურის საგნის მასწავლებლები და განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით. დირექტორის ბრძანებითვე განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი, რომელიც გასაჯაროებულია სკოლის ბლოგის გამოყენებით, ჩანართში სამართლებრივი აქტები.

შეესაბამება

2. სასწავლო წლის დასაწყისში, სსსმ მოსწავლეებისათის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. გეგმის შექმნის პროცესში საგნის მასწავლებლები თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებლებთან, მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნასთან ერთად ეცნობიან სპეციალური მასწავლებლის შეფასებას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სსსმ მოსწავლის აკადემიური და კოგნიტური უნარების აღწერის, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შესახებ. საგნის მასწავლებლები საგანში არსებული ცნებების კონტექსტში აფასებენ მოსწავლის მიღწევებს და ეროვნული სასწავლოს გეგმის მიზნების ადაპტაციით, განსაზღვრავენ სსსმ მოსწვალის გრძელვადიან/მოკლევადიან სასწავლო მიზნებს. სპეციალური მასწავლებლები ატარებენ ტრენინგებს/საინფორმაციო შეხვედრებს საგნის მასწავლებლებთან ინკლუზიური განათლების არსის, განვითარების დარღვევების, სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების, სათანადო ტერმინების გაცნობისა და სსსმ მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში თუ არაფორმალურ აქტივობებში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით. სპეციალური მასწავლებლების ინიციატივით, დაინერგა შეხვედრების პრაქტიკა „მასწავლებლები ერთმანეთის მხარდასაჭერად“. შეხვედრა განხორციელდა ქუთაისის სკოლების დაინტერესებულ საგნისა და სპეციალურ მასწავლებლებთან. სკოლაში 9 კლასის სსსმ მოსწავლეთა

პროფესიული ორიენტაციის მხარდასაჭერად შემუშავებულია ტრანზიციის გეგმა. 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება საშტატო განრიგის ცვლილება, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, კერძოდ: სპეციალური მასწავლებლის, ასისტენტის და ფსიქოლოგის შტატის დამატება. სსსმ მოსწავლეების რაოდენობის ზრდასთან ერთად ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დამატება უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებას და სათანადო ინტერვენციის დაგეგმვას.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო პროექტები,
2. სსსმ მოსწავლეთა რეგულაციები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სავალდებულო საათობრივ ბადეში წარმოდგენილი დისციპლინების გარდა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა არასავალდებულო ხასიათის სერვისებსაც: გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, შემოქმედებითი წრეები (მუსიკალური სტუდია, ქორეოგრაფიული წრე), სპორტული წრეები (კალათბურთი, სამბო, უშუ) და კლუბები. სკოლის სერვისების შეთავაზება ხდება სამეურვეო საბჭოს თანხმობის საფუძველზე. კვების ბლოკის იდეა, რომელიც შეიცავს ბუფეტს და საცხობს. განხორციელდა მოსწავლეების სურვილების და ინტერესების შესაბამისად. გახანგრძლივებული ჯგუფი და საკვები ბლოკი სკოლაში საქმიანობენ იჯარის საფუძველზე, რომელიც შეთანხმებულია განათლების სამინისტროსთან და სახელმწიფო ქონების სააგენტოსთან.

შეესაბამება

2. განხორციელებული არასავალდებულო ხასიათის სერვისები: გახანგრძლივებული ჯგუფი, მუსიკალური სტუდია, ქორეოგრაფიული წრე, სპორტული წრეები (კალათბურთი, სამბო, უშუ) ხორციელდება იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია დაგეგმილი მომსახურების განხორციელების შესახებ საინფორმაციო რეკლამებით, ელექტრონული ბლოგის მეშვეობითა და სადამრიგებლო კლასების დახურული ჩატებით. მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს ეძლევა საშუალება ბავშვის პრიორიტეტის მიხედვით აირჩიონ სასურველი მიმართულება, რომელიც ნებაყოფლობითა, აღნიშნულ მომსახურებაზე მოსწავლე ირიცხება მშობლის განცხადებისა და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

შეესაბამება

3. სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლების სერვისების განმხორციელებელი პირები დადებული ხელშეკრულების ფარგლებში ადასტურებენ, რომ ითვალისწინებენ უსაფრთხოების ყველა იმ ნორმის დაცვა, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული. საიჯარო ხელშეკრულების თანახმად მეიჯარეს უფლება აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ ირღვევა ბავშვთა უსაფრთხოებასთან და უფლებებთან დაკავშირებული რეგულაციები.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხელშეკრულებები,
2. სამეურვეო საბჭოს N1 ოქმი,
3. ვებ-გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას. საზოგადოების ჩართულობის, მათი ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარებისთვის სკოლაში ტარდება SWOT ანალიზი, რის საფუძველზეც გამოიკვეთება საჭიროებები და პრობლემები. სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში სკოლა ცდილობს მაქსიმალურად გაააქტიუროს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეები და მშობლები რამდენჯერმე ავსებენ კითხვარებს, რითაც აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, ხოლო მასწავლებლები კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე მუდმივად უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს. პედაგოგები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ ავსებენ კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმას, სადაც ისინი აანალიზებენ მუშაობის პროცესში წამოჭრილ პრობლემებს თუ დადებით მხარეებს. სასწავლო წლის დასასრულს პედაგოგები ავსებენ თვითშეფასების ფორმას, მიმართავენ მშობლებს უკუკავშირისთვის და ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით იქმნება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი. სკოლაში შექმნილია “მშობელთა სათათბირო”, რომელიც დირექციასა და მშობლებს შორის პირდაპირი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფადაა ჩამოყალიბებული. “მშობელთა სათათბიროს” შეხვედრების ფარგლებში მშობლების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს კურიკულუმის ფორმირების პროცესში.

მათემატიკა :

დაწყებითი საფეხურის კურიკურუმი შედგება იმ ძირითადი მიმართულებებისგან, რომელიც მასწავლებელს სასწავლო პროცესში დაეხმარება იყოს ორიენტირებული მოსწავლის მიღწევებსა და წარმატებაზე, როგორც გასაუბრებაზე აღინიშნა, შედგენის პროცესში მონაწილეობას იღებდა სასკოლო საზოგადოების წევრები, თითოეული მასწავლებელი წარადგენდა წინადადებას რათა ის პრიორიტეტული თემები არ ყოფილიყო გამორჩენილი რაც, სწავლა-სწავლების პროცესში გახდებოდა იმ იდეის და შინაარსის მატარებელი რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ზრდას და ჩართულობას სასწავლო პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილია სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტაციის მეთოდოლოგია, საკოლო კურიკულულუმები, რომელიც ითვალისწინებს სკოლის შესაძლებლობებს, ინტერესს, პრიორიტეტებს.

სახელმწიფო ენა

სკოლამ სასკოლო დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია (დრაფტ-ვერსია) აღნიშნული დოკუმენტის სათანადო გახილვა კათედრის დონეზე ჯერჯერობით არ მომხდარა. ამ სახის ინფორმაცია იკითხება წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტში. მაგ; სასკოლო გეგმაში, ხარისხის მართვისა და განვითარების და კათედრის ოქმებში. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აფიქსირებს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას. ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში სკოლა ცდილობს მაქსიმალურად გააქტიუროს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. წლის განმავლობაში მოსწავლეები და მშობლები რამდენჯერმე ავსებენ კითხვარებს, რითაც აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, ხოლო მასწავლებლები კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე მუდმივად უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს. ასევე, პედაგოგები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ აწარმოებენ კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმას. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი შედარებით დაბალია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. გეგმავენ წაახალისონ მათი ჩართულობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას და ამისთვის გამოიყენონ საგნობრივი ექსპერტებისა და ქოუჩების ჩართულობა. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობას, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტნაკლებად გამოკვეთა, ვინ, რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. მასწავლებლები საუბრობდნენ ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე.

ესთეტიკური აღზრდის კათედრა:

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმასა და კათედრის ოქმებში იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწავლა-სწავლება ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს. სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, ითვალისწინებენ რა მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. როგორც პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, ზემოხსენებულის გათვალისწინებით იგეგმება კურიკულუმის შემდგომი დახვეწა-განვითარება. ასევე, მიმდინარე ეტაპზე, სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობაც საკმაოდ გამოხატულია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება,

პროცესებზე დაკვირვება და თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება, კიდევ უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობა, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, ვინ რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. მასწავლებლები საუბრობდნენ ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე.

შეესაბამება;

2. ბუნებისმეტყველება:

სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია. მოსწავლეებთან და სწავლის დაწყებამდე მშობლებთან პირისპირ შეხვედრის დროს საუბრისას არკვევენ მათ ინტერესებს, სურვილებს და ასახავენ კურიკულუმში. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ყველა ის საკითხი, რომელიც კურიკულუმის მონიტორინგს და განვითარებას უზრუნველყოფს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

2019-20 სასწავლო წლის შედეგების ანალიზმა დღის წესრიგში დააყენა შეფასების სისტემის ცვლილების აუცილებლობის საკითხი. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა V-VI კლასებთან. პრობლემის აქტუალურობას დაემთხვა ისიც, რომ სამინისტროს მიერ შემოთავაზებული იქნა მოსწავლის შეფასების ორი მოდელი. სკოლის ადმინისტრაციამ მიმართა სასკოლო თემს (მშობლებს, მასწავლებლებს), რათა გაეკეთებინათ არჩევანი ამ ორ მოდელს შორის. მშობელთა სრული თანხმობითა და პედაგოგიური კოლექტივის მაქსიმალური მხარდაჭერით სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით აირჩია საქართველოს განათლების სისტემისთვის ინოვაციური შეფასების სისტემა, რაც პასუხობდა სკოლის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტს. ცვლილება აისახა როგორც სასწავლო გეგმაში, ასევე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში. დამრიგებლებმა მშობელთა დეტალური ინფორმირების მიზნით დაგეგმეს შეხვედრები და სადამრიგებლო საათები, სადაც ყურადღება გაამახვილეს განმავითარებელი შეფასების დადებით და უარყოფით მხარეებზე. სკოლის ინტერესებში შედის სასკოლო კურიკულუმში

ასახოს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები და საჭიროებები. ამდენად, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების აზრის გასაგებად დირექცია პერიოდულად ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ამდენად, კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლეებს მიეწოდება მათთვის გასაგებ ენაზე. მოსწავლეებს ეძლევა საშუალება, ნამუშევარი მათთვის მისაღები ფორმით წარმოადგინონ (მაგალითად: პრეზენტაციით, მაკეტით, პლაკატით, Minecraft, Scratch და ა.შ.). საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა. 2022-23 სასწავლო წლიდან სკოლაში შეიქმნა „მშობელთა სათათბირო“, რომელშიც ჩართულია სამივე საფეხურის ყველა კლასის 2 მშობელი.

„მშობელთა სათათბიროს“ შექმნის მიზანია, გაიზარდოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, დირექციასა და მშობლებს ჰქონდეთ პირდაპირი საკომუნიკაციო ადგილი, სადაც ისინი ღიად შეძლებენ არსებული პრობლემებისა და ინიციატივების განხილვას.

მათემატიკა :

კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება კერძოდ კათედრა აქტიურად იღებდა მონაწილეობას, მათ შეიმუშავეს ჩარჩო დოკუმენტი სადაც გაწერეს ის მიგნებები რომელიც წინა წლის სამუშავო პროცესებიდან გამოიკვეთა, ის მიგნებები რომელმაც ხელი შეუწყო სასწავლო აღმზრდელობით სამუშაოების წაროებას გათვალისწინებულ იქნა 2023-2024 წლის სამუშაო დოკუმენტში, მასში გაწერილია ის კომპლექსური დავალებები რომელიც დამუშავებულია სკოლაში და მოსწავლეთა მხრიდან აქვთ უკუკავშირები მიღებული, აქვე უნდა აღინიშნოს რომ გასაუბრებაზე აღინიშნა, სასკოლო საზოგადოება ზრუნავს ახალი სასწავლო ლიტერატურის დამუშავებას სადაც თანამედროვე მიდგომებზე სწავლებაზე არის საუბარი და მის დანერგვას სასწავლო პროცესში, სხვადასხვა ტრენინგებიდან მიღებული ინფორმაციის გაზიარება ხდება კოლეგებისთვის და შესაბამისად ასახვა კურიკულუმში მათგან გამოვყოფთი STEAM პროექტებს რომელიც ურთიერთ თანამშრომლობით მიმდინარეობს და იხვეწება წლიდან, წლამდე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტეს წარმოადგენენ დანართის სახით და გასაუბრების დროსაც დაადასტურეს.

სახელმწიფო ენა

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია, თუმცა ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივ კათედრის რამდენიმე წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, მასწავლებლები ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები,

რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას დამრიგებლების მეშვეობით ახდენს. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც.

ესთეტიკური აღზრდა:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მოტივაცია, პასუხისმგებლობა გადანაწილებულია საგნობრივი კათედრის წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლური პროცესია და მასში მაქსიმალურად ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. მასწავლებლები ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად, აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. ხოლო მასწავლებლები კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს.

შეესაბამება

3. ბუნებისმეტყველება

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დრაფტ-ვერსია, რომელშიც გაწერილია, როგორ უნდა იყოს ჩართული სასკოლო საზოგადეობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, ხდება უკვე არსებული კურიკულუმების ახლებურად გადააზრება, პარალელური კლასის პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარება და ოპტიმალურ ვერსიებზე შეჯერება. შედეგად იკვრება კურიკულუმის ახალი ჩარჩო, ძველ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ახლებური იდეებით. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია ის შედეგები, რომლებიც მშობელთა და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით მიიღეს სასაწავლო წლის განმავლობაში დირექციის მიერ ინიცირებულ გამოკითხვებში მონაწილეობით. 2022-23 სასწავლო წლიდან სკოლაში შეიქმნა „მშობელთა

სათათბირო“, რომელშიც ჩართულია სამივე საფეხურის ყველა კლასის 2 მშობელი.„მშობელთა სათათბირო“ შექმნილია იმ მიზნით, რომ გაიზარდოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, დირექციასა და მშობლებს ჰქონდეთ პირდაპირი საკომუნიკაციო ადგილი, სადაც ისინი ღიად შეძლებენ არსებული პრობლემებისა და ინიციატივების განხილვას. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ბლოგი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

მათემატიკა :

კურიკულუმი ეფუძნება იმ მიგნებებს რაც სასკოლო საზოგადოების წინ დგება და ანალიზდება სწავლების პროცესში, რამ იმუშავა კარგად, რა იყო გამოსასწორებელი, ასევე იდენტიფიცირდება გამომწვევი მიზეზები მოსწავლის მხრიდან, ანალიზი ეფუძნება ასევს მოსწავლეთა თვითშეფასებას, მასწავლებლის დაკვირვებას, შემაჯამებლის ანალიზებს და სხვა. შესაძლოა. ამ პროცესებში ჩართული იყოს მშობელი რომელიც უზიარებს მასწავლებელს იდეებს, რადგან მასწავლებლის ვალდებულებაა მოუსმინოს მშობელს და გააცნოს კურიკულუმის მოქმედი ვერსია. გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელად აუცილებელია შუალებური მიზნების იმ ფორმით წარმოდგენა რომელიც მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას შეუწყობს ხელს, ამასთან საგნობრივ საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში დაეხმარება, ამისათვი იქმნება ერთობრივი შეჯერებული დოკუმენტი რომელიც ასახავს მოსწავლის განვითარების გზას. ამ საკითხებზე მკაფიოდ აღინიშნა გასაუბრების დროს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმი შემუშაავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ დირექციის,კათედრის თავჯდომარის და საგნობრივი საგნის მასწავლებლების მიერ.

სახელმწიფო ენა

სასკოლო გეგმაში, პედასბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. ამდენად, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წარმოდგენილ V-VI კურიკულუმებში ჩაშენებულია შუალედური მიზანები. პარალელის

მოქმედმა მასწავლებელებმა გასაუბრებისას აღწერეს მუშაობის ეტაპები და აქვს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშავოს შუალედური მიზნებით.

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები .

ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომობისთვის სკოლა იყენებს ღრუბლოვან საცავს „OneDrive" და ბლოგებს. სკოლის ბლოგზე (33skola.blogspot.com) ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს სკოლაში განხორციელებული ღონისძიებები, სასკოლო კურიკულუმი, სადამრიგებლო საათები, კლუბების/ წრეების შესახებ ინფორმაცია და სხვა. სადამრიგებლო საათების პროგრამა თითოეულ დამრიგებელს განთავსებული აქვს პირად პორტფოლიოში. შექმნილია Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის. Teams-ის საგნობრივ ჯგუფებში მოსწავლეებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების რუბრიკა და შემდეგ ინდივიდუალური უკუკავშირი, რომელსაც შეუძლია გაეცნოს, როგორც მოსწავლე, ასევე მშობელი. წელიწადში სამჯერ, პირველად 1-ლი სემესტრის დასასრულს, ხოლო ორჯერ მეორე სემესტრში მოსწავლეები თითოეულ საგანში იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს მათი მიღწევების შესახებ, რომელიც ელექტრონულ ჟურნალში აისახება და მარტივად ხელმისაწვდომია მშობლისათვის. სკოლის ღრუბლოვან საცავში შექმნილია მოსწავლეთა ინდივიდუალური პორტფოლიოები, სადაც პედაგოგები საგნების მიხედვით საქაღალდეებში ათავსებენ კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების ნამუშევრებს. აღნიშნული პორტფოლიო ხელმისაწვდომია, როგორც პედაგოგებისთვის, აგრეთვე მშობლებისთვის.
სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები მშობლებს უზიარებენ სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობებსა და სასწავლო მიზნებს. ისმენენ მათ მოსაზრებებს და ითვალისწინებენ პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის. გარდა სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები რამდენჯერმე მიმართავენ მშობლებს, რათა გაუზიარონ მათ დაგროვილი გამოცდილება და მიიღონ უკუკავშირი.

მათემატიკის კათედრა

დაწყებით საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლის მათემატიკის შემუშავებული კურიკულუმი, ამ ეტაპზე, გაზიარებულია მასწავლებელთათვის. თუმცა სკოლა გეგმავს სხვადასხვა წყაროების გამოყენებას რათა უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ის სასკოლო საზოგადოების მიერ, ყველა სტრუქტურული ერთეული რისგანაც შედგება კურიკულუმი იყოს დაინტერესებული პირებისათვის დეტალურად გაცნობილი, ახსნილი თუ რას მოიაზრებ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, ცნებების პედაგოგიკაზე დაფუძნებით სწავლება. სკოლა გეგმავს, მას შემდეგ, როცა მომდევნო სასწავლო წლის სექტემბრიდან სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმი იქნება ის გაზიარდება სასკოლო

საზოგადოებაში, იგი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, გასაჯაროვდება სკოლის ღრუბლოვან საცავებით და განთავსდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა (დაწყებითი საფეხური)

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის.

სახელმწიფო ენა (დაწყებითი საფეხური')

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დამატებით წარმოდგენილ დრაფტ დოკუმენტის სახით არის წარმოდგენილი, თუ რა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით. გასაუბრებისას დაწყებითის კლასებში დადასტურდა აღნიშნული.

ესთეტიკური აღზრდის კათედრა:

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სასწავლო სასკოლო გეგმის დოკუმენტებიდან, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მიზნით სკოლაში შექმნილია ,,მშობელთა სათათბირო'' რომელშიც ჩართულია სამივე საფეხურის მშობელი, რაც ზრდის მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას მისი განხორციელების პროცესში. თითოეულ წევრს გათავისებული აქვს, იგი როგორც მნიშვნელოვანი და აუცილებელი პროდუქტი. სკოლაში სისტემატიურად ხორციელდება ინფორმაციის გაზიარება, მოსწავლეებისა და მშობლების მხრიდან უკუკავშირის მიღება, გაანალიზება და გათვალისწინება.

შეესაბამება;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კლასების კურიკულუმი;
4. სახელმწიფო ენისა და ლიტერატურის კათედრების სხდომის ოქმი ;
5. ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის დებულება
6. საშუალო საფეხურის კურიკულუმები,
7. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
8. მშობელთა კრების ოქმი;
9. შეფასების ფორმები;
10. კლუბები და წრეები;
11. მშობელთა სათათბირო;
12. *USD საგაკვეთილო დაკვირვება .*
13. სასკოლო პროექტები,
14. სასწავლო პროექტები,
15. სსმ მიმართულებით,
16. კონფერენციები,
17. სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბუნებისმეტყველების კათედრა

სკოლის მიერ წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების კურიკულუმების ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. შუალედურ მიზნებად განისაზღვრება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას და საგნობრივი საკითხის ღრმად გააზრებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას მას სჭირდება შემოქმედებითობა, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. კომპლექსურ დავალებამდე მისასვლელ გზაზე გაკვეთილებს გეგმავენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. წინარე ცოდნის გამოვლენისა და გააქტიურების მიზნით, მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა საშუალებას, როგორიცაა მედია რესურსები, პრეზენტაციები, ვიდეოფილმები, ხმოვანი წიგნები, პირადი გამოცდილება და სხვა. მრავალფეროვანი საშუალებების შეთავაზებით, უფრო საინტერესო და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო იქმნება. მოსწავლეს საშუალება ეძლევა თავად ააგოს ცოდნა გამოცდილებაზე დაყრდნობით. ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანი განხილვა ხდება განსხვავებულ კონტექსტებში. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ -მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეზე და ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას შესასწავლი საკითხებით. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შეთავაზებულია მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა

განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვსაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. წარმოდგენილი მაგალითები შედარებისთვის ხელს შეუწყობს საკითხის ღრმად გააზრებას. ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობის მიზნით იყენებენ სხვადასხვა მეთოდს/საშუალებას როგორიცაა ,,სასწავლო მენიუ", ვიზუალური სქემები, მოლოდინების ბარათები, მართული კითხვის აქტივობებს და ა.შ. მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შეთავაზებით მოსწავლის შინაგანი მოტივაცია მაღლდება და იზრდება მოსწავლეთა ინტერესები და ჩართულობა. კურიკულუმის შედგენისა და განხორციელებისას გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა და სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთა ინტერესები. მასწავლებლები მათთვის ქმნიან სხვადასხვა სახის რესურსს, ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებას , საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და მჭიდროდ თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებლებთან. დაწყებით საფეხურზე ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი და წრე, როგორც არაფორმალური განათლების ხელშემწყობი სივრცე, რაც კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და დაიკმაყოფილოს ინტერესები. შესრულებულ კომპლექსურ დავალებაზე იწერება ანალიზი, რასაც ითვალისწინებენ კურიკულუმის რევიზირებისას.

მათემატიკა

დაწყებით საფეხურზე მათემატიკის შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. I - VI კლასების მათემატიკის ჩარჩო ცხრილებში შევსებულია როგორც სავალდებულო ველები: თემები, სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები, ტექსტი/ტექსტები , სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე არასავალდებულო ველები: მაგალითი შედარებისთვის, კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალებების იდეა. კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლება. წარმოდგენილი აქვთ თემატური მატრიცა იქ პროცესები იმდაგვარად არის გაწერილი, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაზლებლობების გათვალისწინებით ხდება, დიფერენცირებული სწავლების მეთოდის გამოყენება სწავლა-სწავლების მიმდინარეობისას. მოწოდებული კურიკულუმი წარმოადგენს, მოსწავლეთა პროცესების დაგეგმვის ღონისძიებების ერთობლიობას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეებზე ორიენტირებული პროცესის დგეგმვას, სადაც მოსწავლეები არიან აქტიურ შემოქმედებით პროცესში, რასაც ადასტურბს წარმოდგენილი ნამუშევრები.

სახელმწიფო ენა

დაწყებითი საფეხურის *I -IV* კლასების კურიკულუმის ჩარშოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. *V-VI კლასებში შედარებით მკრთალად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა.* ავტორიზაციის თვითშეფასების

კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ დაწყებით საფეხურზე თითეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს.

უცხო ენა

მოცემული კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად, კურუკულუმი ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნებზე. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში, გრძელვადიანი მიზნები ძირითადად სათანადოდ არის წარმოდგენილი, სამიზნე ცნებების სახით. სამიზნე ცნებები უმეტესად განვრცობილია იმ თემებთან, რომლებზეც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. მთლიანობაში, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სკოლის მასწავლებლები ფლობენ უცხო ენების სტანდარტებში წარმოდგენილ, შესაბიმის სამიზნე ცნებებზე ორიენტირების უნარს.

იმისთვის, რომ კურიკულუმი წარმოადგენდეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მასში მითითებული უნდა იყოს შუალედური სასწავლო მიზნები. სკოლის მიერ წარმოდგენილ, როგორც პირველ, ისე მეორე უცხო ენების, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, შუალედური მიზნების სახით, გარკვეული პერიოდულობით, მოცემულია კომპლექსური ტიპის დავალების პირობები. სკოლა, უცხო ენების საგნობრივ ჯგუფში, ორიენტირებულია, შუალედური სასწავლო მიზნების დასახვით, გრძელვადიან სასწავლო მიზნების მიღწევაზე. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კომპლექსური ბუნების დავალებების სასწავლო პროცესში გამოყენება, სკოლას გააზრებული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო კურიკულუმის შემადგენელ ნაწილად.

მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმი უნდა იყოს პროცესზე ორინეტირებული. სკოლის მიერ შედგენილ კურიკულუმებში, კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენება, უფრო მეტ ყურადღებას სასწავლო პროცესზე ამახვილებს, მოსწავლეს კი აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას, მაღალი სააზროვნო უნარებისა და შესრულებული სამუშაოს თვითრეფლექსიის უნარის განვითარებას.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი, დაწყებითი საფეხურის პირველი და მეორე უცხო ენების (რუსული, გერმანული) კურიკულუმები, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სპორტი;

საგან სპორტის შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ყველა კლასის კომპლექსური დაბალება გულისხმობს სასკოლო ფეტივალის ჩატარებას სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. ასევე შიდა კედლის გაზეთის შექმნას და ნაშრომის პრეზენტაციას.

წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.

მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი.

ესთეტიკური აღზრდა :

სკოლი მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციით ვლინდება, რომ საშუალო საფეხურზე პროქტული სწავლება შერჩეულია ხელოვნებაში. კურიკულუმი ხელოვნებაში შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურ ჩართვას. საგნობრივი კურიკულუმის, სასკოლო სასწავლო გეგმის საფუძველზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგებზე. შემუშავებულ კურიკულუმებში ჩანს რომ პედაგოგს მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული აქვს ერთი პროექტი ერთი პირველ სემესტრში . აღნიშნულ კურიკულუმზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მასწავლებლები სწავლა სწავლების პროცესში მოიაზრებენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ორიენტირებული არიან გრძელვადიან მიზნებზე .

შეესაბამება;

2. **ბუნებისმეტყველება**

წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. ყველა თემის ფარგლებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. წარმოდგენილია, რომელი ქვეცნებები მუშავდება სხვადასხვა თემის კონკრეტული საკითხების შესწავლისას. თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. კურიკულუმებში ნათლად იკითხება, თუ რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. მაგ. მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება, რომ იგეგმება ორ ძირითად თემაზე მუშაობა: „ჩემი ქვეყნის ბუნება“, „მზის სისტემა“. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ხუთი

სამიზნე ცნება: „სხეული“, „მოვლენა“, „სივრცეში ორიენტირება“, „ორგანიზმი, საარსებო გარემო“, „გარემოს დაცვა“. თითოეული თემის ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები და საკითხთა კლასტერი, ძირითადი და დამატებითი რესურსები. თემის „ჩემი ქვეყნის ბუნება“ შესწავლისას მოსწავლეები გაეცნობიან საკითხებს: საქართველოს გეოგრაფიული გარემო, საქართველოს ფლორა, საქართველოს ფაუნა საქართველოს ჰავა (სეზონები), ბუნებრივი და სტიქიური მოვლენები. მოცემულია რესურსები, რომლებიც საჭიროა ამ საკითხების გასაზრებლად. მე-4 კლასში ისწავლება სავალდებულო თემები: „დედამიწა“, „ციკლური პროცესები ბუნებაში;“ თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, გამოკვეთილია ძირითადი საკითხები,საკითხთა კლასტერი, საჭირო რესურსები.

მათემატიკა

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი შედგება იმ თემებისგან რომელსაც სასწავლო წლის განმავლობაში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად უნდა გაიაროს კლასმა, კერძოდ დაწყებით საფეხურზე. დანართის სახით მოწოდებული თემატური მატრიცა აჩვენებს იმ გრძელვადიანი მიზნის მისაღწევი ღონისძიებების (ეტაპების გავლა), შეკითხვების ერთობლიობას რაც უნდა მიაღწიოს მასწავლებელმა, პარალელურად კი იზრუნოს კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში გლობალური ფუნქციური უნარები; კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა და ხასიათია და ნებელობის განვითარებაზე. ასევე სხვადასხვა საკლასო აქტივობებიც გახდეს ფუნქციურად დატვირთული ხელი შეეწყოს მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების გააქტიურებას. ყველა უნარის ეტაპობრივი განვითარება კი პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებია რადგან ნებისმიერი სწავლის პროცესში მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს შემოქმედებითად მიუდგეს პრობლემის გადაჭრას, იაზროვნოს კრიტიკულად, იმუშაოს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ისწავლოს დამოუკიდებლად, მოუსმინოს სხვებს, შეაფასოს და გადააფასოს თავიანთი მიგნებები, დაამყაროს კავშირები მათემატიკასა და გარემომცველ სამყაროს შორის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. სასწავლო კურიკულუმები წარმოდგენილია საგნოვრივი სტანდარტის სახით და მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას და წინარე ცოდნას.

სახელმწიფო ენა

დაწყებითი საფეხურის, განსაკუთრებით, *I -IV* კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური

დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს რა კავშირია. კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს, შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებს შორის, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა და ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს.

უცხო ენა

დაწყებითი საფეხურის, განსაკუთრებით, *I -IV* კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს.

სპორტი;

კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემრთება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი.
კურიკულუმების ჩარჩოები აჩვენებს, რომ სპორტის საგანი უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. განვიხილოთ თითოეულ გლობალურ ფუნქციურ უნართან შესაბამისობა.

- ✓ **შემოქმედებითობა** - შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ნასწავლ მასალის მაქსიმალურად თავისუფლად მათი შეხედულებისამებრ გამოყენების საშუალებას, რაც ზრდის და ანვითარებს მათ სემოქმედებით უნარს. მაკალითად სასკოლო ფესტივალი, რომელიც ერთერთი საუკეთესო

საშუალებაა მოსწავლის შემოქმედებითობის განსავითარებლად. ასევე კედლის გაზეთის მომზადება და ლაშქრობის დაგეგმვა სადაც მოსწავლე თავისუფალია მისი შეხედულებით იქჩევს სასურველ თამას/მარშუტს მისი შეხედულებისმებრ აგებს თემას და წარუდგენს აუდიტორიას.

- ✓ **კრიტიკული აზროვნება** - მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, კომპლექსური დავალება შიდა სასკოლო ფესტივალი მოიაზრებს ვიდეოების ყურებასა და განხილვას რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას ასევე სასკოლო კედლის გაზეთისზე მუშაობა გულისხმობს ინფორმაციის მოძიებეასა და გადარჩევას რაც კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
- ✓ **კომუნიკაცია** - მოიაზრებს ინფორმაციის ნათლად და შინაარსიანად გამოხატვას, მეტყველების ტიპის შერჩევას, აღწერას, მსჯელობას, კონტექსტუალიზებას და გამოხატვის რელევანტური საშუალების შერჩევას (ვერბალლური/არავერბალური). წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას კომპლექსური დავალების (კედლის გაზეთი, ლაშქრობის დაგეგმვა) ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან დიალობი, მსჯელობა, შეთანხმება. მაგალითად სასკოლო კონფერენციის დროს მას შემდეგ რაც მოსწავლე შეარჩევს თემას მნიშვნელოვანია ის ისე წარმოადგინოს, რომ გაითვალისწინოს აუდიტორია. თავისი აზრი გამოხატოს რელევანტური საშუალებით.
- ✓ **კოლაბორაცია** - მოიაზრებს ჯგუფში მუშაობის წესების ფლობას, პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება - სასკოლო ფესტივალი, რომელიც მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ. ამ დავალებაში მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა. კომპლექსური დავალების მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას მიზნის მისაღწევად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად. ყველაფერი აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებას.
- ✓ **მოქალაქეობა** - გულისხმობს მსჯელობას და მოქმედებას თემის ინტერესების გათვალისწინებით. მოცემული კომპლექსური დავალებები სწორედ ამ უნარის განვითარებას ემსახურება. მაგალითად ლაშქრობის დაგეგმვა სწორედ ამ მიზანზეა ორიენტირებული. მოსწავლეებში ხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც

ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ და კომპლექსური დავალების ფარგლებში ხდება თემისთვის აქტუალური პრობლემების გაანალიზება.

- ✓ **ხასიათი/ნებელობა** - ხასიათი და ნებელობა მოიაზრებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებას თვითრეალიზაციისთვის, მიზნების დასახვას, დაგეგმვას, თვით ეფექტურობის განცდას, სწავლის სტრატეგიებს, მონიტორინგსა და შეფასებას. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოგგენილი კომპლექსური დავალებები, როგორიცაა სასკოლო ფესტივალი, ლაშქრობა, კედლის გაზეთი მოსწავლისაგან მოითხოვს მიზნის შერჩევას, ამ მიზნისკენ მიმავალი აქტივობების დაგეგმვას, შესრულების პროცესის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მის ჩანაცვლებას სხვა უფრო რელევანტური აქტივობით.

კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი.

შეესაბამება

3. ბუნებიმეტყველება

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმში ჩანს, რომ ძირითადი პრინციპები და სტრატეგიები ორიენტირებულია სასწავლო გარემოს მოქნილობაზე. ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნების, სიახლეების შეტანის, ინტერესების გაზრდის, დიფერენციერებული და ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობის მიზნით გაკვეთილებზე იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს/მეთოდებს, როგორიცაა ,,სასწავლო მენიუ", ვიზუალური სქემები, მოლოდინების ბარათები, მართული კითხვის აქტივობები, მულტიმედიური რესურსები და ა.შ. გამოყენებულია მრავალფეროვანი ინსტრუმენტები: „შუქნიშანი" გამოსაძახებელი ჩხირები, გასასვლელი ბილეთები, ,,თეთრი დაფები" და სხვა. ეს ყველაფერი ამაღლებს მოსწავლის შინაგან მოტივაციას ,იზრდება მოსწავლეთა დაინტერესება და ჩართულობა. ინფორმაცია ინკლუზიური მიდგომების სესახებ განთავსებულია სკოლის ბლოგზე:http://33skola.blogspot.com/2023/06/ck-12.html. ჩანს, რომ სსსმ მოსწავლეთა იმდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. აქტიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებლებთან. საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის სწავლება ხორციელდება ინდივიდუალური ან/და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის მეშვეობით.მასწავლებლები ქმნიან სხვადასხვა სახის რესურსს, ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებას.
სკოლაში ჩატარდა STEAM ფესტივალი, მოსწავლეებმა წარადგინეს შესრულებული კომპლექსური დავალებები, როგორც

ელექტრონული, ასევე ხელით შესრულებული დიორამები, ნახატები, აპლიკაციები და ა.შ. ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ სსსმ მოსწავლეებიც.

22 ივნისს განათლების კოალიციამ ჩაატარა შემაჯამებელი კონფერენცია „CK-12 ინკლუზიური და ხარისხიანი განათლებისათვის“.კონფერენციის მიზანია საქართველოში საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12-ის გავრცელების გამოცდილების შეჯამება და Ck-12 სკოლების ქსელის მუშაობის კარგი პრაქტიკების გაზიარება.კონფერენცია ჩატარდა განათლების კოალიციის ინიციატივით, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, CK-12-ის საერთაშორისო პლატფორმასთან თანამშრომლობით და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით. ქუთაისის N33 საჯარო სკოლა წარდგენილი იქნა, როგორც კარგი პრაქტიკის მქონე სკოლა და შევიდა სკოლების ხუთეულში. გამარჯვების ნიშნად სკოლას გადაეცა პროექტორი და სადემონსტრაციო დაფა, პროექტში ჩართული პედაგოგები დაჯილდოვდნენ სამკერდე ნიშნებით და სერტიფიკატებით.

მათემატიკა

სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო კურიკულუმი 1-6 კლასი მათემატიკა, მოწოდებული თემატური მატრიცის სანიმუშო დოკუმენტიდა იკვეთება, რომ სასწავლო პროცესშ გათვალისწინებულია ინკლუზიური სასწავლო გარემოს პირობები უფრო კონკრეტულად: კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე წარმოდგენილი თემატური მატრიცა და კომპლექსური დავალება, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, კერძოდ, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას, რაც კათედრის შეხვედრის ოქმებში ინკლუზიური მიდგომის პროგრესის განსაზღვრის საჭიროებებში ამოიკითხება. სკოლა ასევე ზრუნა სსსმ მოსწავლეთა განვითარებისათვის შექმნას ხელშემწყობი გარემო, მოახდინოს მკვიდრი წარმოდგენების მოდიფიცირება კომპლექსური დავალების მოსწავლის საჭიროებისდა მიხედვით გამარტივება, ამ ღონისძიებების ერთობლიობამ მოსწავლე უნდა მიიყვანოს მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების; მათემატიკური მოდელი, კანონზომირერება, ლოგიკის შეძლებისდაგვარად დაძლევამდე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა დიფერენცირებულ ინკლუზიურ მიდგომას.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესი მეტნაკლებად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება. ასევე ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, მსგავსი ტიპის გამოცდილება დოკუმენტის სახით დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებში მაგ; ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები.

უცხო ენა

უცხო ენების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სკოლას ჩადებული აქვს კომპლექსური დავალების პირობები, რომლეთა ფარგლებშიც მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ სხვადასხვა პროდუქტი. ეს კი მათ საშუალებას აძლევს გააკეთონ არჩევანი თუ რა უადვილდებათ და როგორ, რა გზებით შეუძლიათ შეასრულონ ეს დავალებები. ასეთი ტიპის დავალებები, მოსწავლეზე ორიენტირებულ ბევრ სტრატეგიას მოიცავს, რომლებიც დიფერენცირებული სწავლების გამოყენების შესაძლებობას იძლევა.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები, როგორც პირველი ისე მეორე უცხო ენების მაგალითზე. ეს დოკუმენტები მიუთითებს, რომ სკოლა, საჭიროების მიხედვით, სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს და აღნიშნული წარმოადგენს სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკას.

უცხო ენის მასწავლებლებს განხორციელებული აქვთ საკუთარი სასწავლო პრაქტიკის კვლევები, რომლებიც მიზნად ისახვდა კლასის საჭიროებების დადგენას სხვადასხვა მიმართულებით (მაგ: გაწაფული წაკითხვის პრობლემა) და სწავლების მეთოდების დიფერენცირებას.

ავტორიზაციის პროცესში, გასაუბრების დროს, უცხო ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეების შესაძლებლობასა და მზაობას, რის საფუძველზეც მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს. ასევე საჭიროების მიხედვით ადაპტირებას უკეთებენ კომპლექსურ დავალებებს მოსწავლეების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სპორტი;

ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა, განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები.
წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კედლის გაზეთი, ლაშქრობა, პრეზენტაცია.
პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. ასევე, 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.

ესთეტიკური აღზრდა:

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში წარმოდგენილ განხორციელებულ პროტებში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. კურიკულუმებში მასწავლებელს განხორციელებული აქვს ერთი პროექტი სასწავლო წლის განმავლობაში, ვლინდება , რომ საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები და სურვილები.

შეესაბამება.

4. ბუნებისმეტყველება

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს სტანდარტის დაძლევის ტაქსონომიით გათვალისწინებული კრიტერიუმები, რომელსაც ეცნობა მშობელიც. მოსწავლეს კი მათთვის გასაგებ ენაზე განემარტება კრიტერიუმების არსი, ამით პროცესი გამჭვირვალე, ობიექტური ვალიდური და უფრო სანდოა. თვითშეფასება და ურთიერთშეფასებაც სახალისო ხდება. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში, უწყვეტად გაკვეთილების მიმდინარეობისას. ხოლო წლის განმავლობაში 3-ჯერ ელექტრონულ ჟურნალში წერილობით გაიცემა განმავითარებელი შეფასება, რომელსაც ეცნობა მშობელი. შეფასების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის სკოლაში დანერგილია განმავითარებელი შეფასების ელექტრონული (PearDeck, LiveworkSheets, Wheelofnames, Teams Rublic) და მატერიალური ინსტრუმენტები (თეთრი დაფები, გამოსაძახებელი ჩხირები, რამაც, მასწავლებლების ინფორმაციით, გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია და აამაღლა მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართვის ხარისხი.

მათემატიკა

დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორც საგაკვეთილო თემის შესაბამისად, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მომავალი სასწავლო წლიდან განმავითარებელი შეფასება მოხდება კომპლექსური დავალებების შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. სანიმუშოდ გადმოგზავნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ემიზნება გრზელვადიან მიზნებს რომელიც გამომდინარეობს მკვიდრი წარმოდგენებიდან და თემის ფარგლებში აკონკრეტებს საკითხის მისაღწევი ღონისძიებების ერთობლიობას.

საზოგადოებრივი

სასწავლო პროცესისისთვის დაგეგმილი კურიკულუმები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (პროცედურულ,პირობისეულ და დეკლარატიული)

სახელმწიფო ენა

დაწყებითი საფეხურის, განსაკუთრებით, I -IV კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; V-VI კლასების დონეზე ბუნდოვანი დარჩა განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. რაც შეეხება V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. არ არის მითითებული როგორ შეიმუშავებს კათედრები განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და ეფუძნება თუ არა იგი გრძელვადიან მიზნებს. ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადში სკოლა აცხადებს, რომ 2019-20 სასწავლო წლის შედეგების ანალიზმა შეფასების სისტემის ცვლილების აუცილებლობლობა დაანახა. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა V-VI კლასებთან. სამინისტროს მიერ შემოთავაზებული იქნა მოსწავლის შეფასების ორი მოდელი. სკოლის ადმინისტრაციამ მიმართა სასკოლო თემს (მშობლებს, მასწავლებლებს), რათა გაეკეთებინათ არჩევანი ამ ორ მოდელს შორის. მშობელთა სრული თანხმობითა და პედაგოგიური კოლექტივის მაქსიმალური მხარდაჭერით სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით აირჩია საქართველოს განათლების სისტემისთვის ინოვაციური შეფასების სისტემა. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლეებს განმსაზღვრელი შეფასებით აფასებენ კომპლექსურ დავალებაში. ბუნდოვანი დარჩა, როგორ და რა კრიტერიუმებით ხდება განმსაზღვრელი შეფასება.

უცხო ენა

უცხო ენების კათედრას, წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნულ რუბრიკაში მითითებულია, რომ მისი ფორმა ზოგადია და მისი გამოყენება შესაძლებელია უცხო ენებში(ინგლისური, რუსული და გერმანული ენები), ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო), ნებისმიერი კომპლექსური დავალების შესაფასებლად. განმავათარებელი შეფასების რუბრიკაში, მოცემულია უცხო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებები, (მაგ: ჟანრი, სამეტყველო ქმედება და სხვა) თავისი შედეგებით, ასევე ჩადებულია ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებსაც მოსწავლემ უნდა უპასუხოს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძლევადიან მიზნებს.

სკოლას, იგივე საგნებში, ასევე წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც, შეფასების კრიტერიუმების სახით, მოცემულია სამიზნე ცნებები და თემასთან დაკავშირებული მოსალდნელი შედეგები შესაბამის ქულებთან ერთად. აღნიშნული რუბრიკაც ზოგადია და გამოიყენება კომპლექსური დავალების შესაფასებლად.

მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, დაწყებით საფეხურზე. რუბრიკები მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს, ვინაიდან მათში, შეფასების კრიტერიუმების სახით, წარმოდგენილია, უცხო ენების სატნდარტების, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები შესაბამის შედეგებთან ერთად. სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

სპორტი

კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს.

2023-24 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაშიც და იგი მიჩნეულია მოსწავლის სწავლის პროცესის განვითარების ხელშემწყობ და მისი შედეგების გასაუმჯობესებელ მექანიზმად.

ესთეტიკური აღზრდა:

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარში იკითხება, რომ სკოლაში შეფასების სისტემები ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია შეფასების მეორე მოდელი, რომელიც გულისხმობს როგორც თავად სკოლა აღნიშნავს ,,განმავითარებელი შეფასების გაძლიერებასა და განმსაზღვრელი შეფასების ნაწილობრივ ამოღებას''. ასევე კათედრის მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში რომელშიც ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული კრიტერიუმები, გვაფიქრებს იმას, რომ განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწვლებლებთან გასაუბრები დროს დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით. მოსწავლეს ეძლევა სიტყვიერი და წერილობითი უკუკავშირი, რომელიც მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ჩარჩოებს და სასკოლო გეგმაში გაწერილია თუ მოსწავლის რა შედეგების მიხედვით ხდება მისი შესაბამისი შეფასება.

შეესაბამება.

5. **ბუნებისმეტყველება**

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობები ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. პედაგოგების მუშაობის ანგარიშისა და კომპლექსური დავალებების ანალიზის საფუძველზე ხდება ახალი, რევიზირებული კურიკულუმის შედგენა, სადაც განსაკუთრებული ყურადღებას ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. ჩატარებული კომპლექსური დავალებები ფასდება (SOLO) ტაქსონომიაზე დაფუძნებული რუბრიკის მიხედვით.

მათემატიკა

წინარე ცოდნის გააქტიურება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი და არსებითია, რადგან ის ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში რათა აქტიური შემოქმედებითი მსვლელობას ჰქონდეს ადგილი ამისთვის სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებასა და მის ანალიზზე დაფუძნებით, არსებული გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, იგი თვლის, რომ კურიკულუმების დანერგვისას შექმნას 2023–2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. აქვე ავღნიშნავ, რომ გასაუბრებაზე გამოიკვეთა მოსაზრება, ახალ მასალაზე გადასასვლელად მათემატიკის მასწავლებელი იკვლევს მოსწავლის წინარე ცოდნას, სხვადასხვა საშუალებით ეს შეიძლება იყოს ქვიზი, ზეპირი გამოკითხვად და სხვა გასავითარებელი საკითხების დადგენის შემდეგ აქცენტი მის დაძლევაზე კეთდება რადგან გააზრებული აქვთ რაოდენ მნიშვნელოვანია მათემატიკაში ახალი ცოდნის კონსტუირებისათვის მოსწავლის ჩართულობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასება გათვალისწინებულია დიაგნოსტირების საფუძველზე.

სახელმწიფო ენა

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც

ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

უცხო ენა

მომავალი სასწავლო წლისთვის, უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში, სკოლას გაანალიზებული აქვს წინა წლის კურიკულუმები და ამის საფუძველზე არის შედგენილი ახალი კურიკულუმი. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების დროს, გამოირკვა, რომ სანამ დაიგეგმება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები, მოსწავლეებს უტარდებათ სადიაგნოსტიკო წერა, იმის გამოსარკვევად თუ რომელი სასწავლო თემა დაძლიეს და რაში აქვთ გამოწვევები. ასევე, ხდება მოსწავლეების გამოკითხვა ონლიან ფორმით და მათი უკუკავშირი გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებლები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით, აანალიზებენ თუ როგორ გაართვეს თავი მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებს და საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით არჩევენ კომპლექსური დავალების პირობებს კურიკულუმში შესატანად.

სპორტი

ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგი ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი.

სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში მაფიქრებინებს, რომ სკოლკას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა.

ესთეტიკური აღზრდა

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის ესთეტიკის კათედრის კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იქნა წარმატებული გამოცდილების პრაქტიკა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო

საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგებისა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
2. კათედრების სხდომის ოქმები
3. შეფასების ფორმები
4. USAID საგაკეთილო დასწრების პროგრამა.
5. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მოსწავლეთა შეფასების სისტემა,
6. პროფ ორიენტაცია (მოსწავლეთა პროფესიული არჩევანის გაკეთების მიზნით)
7. მოსწავლეთა ნამუშევრები
8. კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
9. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
10. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
11. კათედრის ოქმი, გადაწყვეტილება
12. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
13. პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
14. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
15. საგნობრივი კურიკულუმები.
16. სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
17. სკოლის სასკოლო პროექტები
18. სკოლის მასწავლებლთა პორტფოლიო;
19. განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები (ინგლისური, რუსული, გერმანული)
20. ადაპტირებული კომპლექსური დავალებები (ინგლისური, რუსული, გერმანული)
21. კონფესიასწავლო რესურსები საგანი - “ მე და საზოგადოება “

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები დიდი ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. ქმნიან მოსწავლეზე ორიენტირებულ სასავლო გარემოს, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება - შენება. პედაგოგი ამ პროცესში ასრულებს ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სწავლა-სწავლების პროცესს ამდიდრებენ რესურსებით, კოგნიტური სქემებით, ასოციაციური რუკებით და ა.შ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკითხის კრიტიკულად გააზრებაში და ასევე შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. სთავაზობენ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი. მაგალითად, მოიფიქროს ამოცანა ან რიცხვითი გამოსახულება, აქ შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. აქტიურად იყენებენ kargiskola.ge და chemiskola.ge -ს რესურსებს. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. კურიკულუმებში

წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (მაგ.“გარემო ტყის მაკეტის/პოსტერის შექმნა - წითელქუდას მოგზაურობა ტყეში“, „საინფორმაციო ბუკლეტის: „შტორმისა დაწყალდიდობის დროს უსაფრთხო ქცევა და მისი მნიშვნელობა“ შექმნა, „მოგზაურის დღიურის შექმნა“ და ა.შ.), რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

მათემატიკა

სასწავლო პროცეცის აქტიურ და შემოქმედებით პროცესებში წარსამართავად მასწავლებელი იყენებს მრავარფეროვან აქტივობებს სადაც მოსწავლე არის ჩართული კვლევა ძიების პროცესში, ახალი იდეების შემუშავების საფუძველზე ხვეწს მიღებულ შედეგს, შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს მისი და თანატოლის ნამუშევარი. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები მათ სასწავლო შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. კომპექსური დავალების შინაარსიდან გამომდინარე იკვეთება რომ მასწავლებლები ხედავენ თუ რა პროცესები უნდა წარმართონ იმისათვის რომ მოსწავლე კეთებით სწავლების პროცესებში ჩაერთოს. ინტერვიუზე გამოითქვა მზაობა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესსი ჩართულობის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესი დაგეგმილი აქტივობები, ისე რომ ეფუძვნება, სწავლა -სწავლების კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.

სახელმწიფო ენა

კათედრის მიერ საფეხურის დონეზე წარმოდგენილი კურიკულუმები ჩარჩოების გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას მასწავლებლები გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ავტორიზაციის თვითშევასების კითხვარში მიუთითებენ, რომ ამისთვის დაწყებით საფეხურზე გეგმავენ პროექტული სწავლების გაძლიერებას.

უცხო ენა

მოსწავლის ჩართულობისა და მოტივაციის გაზრდის უზრუნველყოფისთვის, ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები. უცხო ენების კურიკულუმებში, ჩადებულია კომპლექსური დავალების პირობები. მოსწავლეებს მოეთხოვებათ სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა, როგორიცაა, მაგალითად, პოსტერის დახატვა, ვიდეო რგოლის და პრეზენტაციის მომზადება, საოჯახო ალბომი, ლეპბუქი და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები ამაღლებს

მოსწავლეების მოტივაციას და ხელს შეუწყობს მათ ჩართულობას უცხო ენების შესწავლის პროცესში. მოსწავლეები ასევე გამოიყენებენ შემოქედებით უნარებს.

კომპლექსური დავალებების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. ამის თქმის შესაძლებლობას ის ფაქტიც იძლევა, რომ სკოლას, უცხო ენებში, განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები, რომელთა ნიმუშებიც მტკიცებულების სახით აქვს წარმოდგენილი და, როგორც გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეები დიდი ინტერესითა და ხალისით იღებდნენ მონაწილეობას კომპლექსური დავალებების შესრულებაში. მათ შექმენს არაერთი საინტერესო პროდუქტი, რის დასტურადაც უცხო ენების კათედრამ წარმოადგინა მოსწავლეთა ნამუშევრები.

სკოლას ასევე აქვს სასწავლო კლუბები უცხო ენებში (რუსულსა და ინგლისურში), რომელიც საწრეო მუშაობის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შემოქმედებითად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. ზემოთ აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

სპორტი:

საგნობრივ ჩარჩოებში განხილული თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები (მაგ: პრეზენტაცია, სასკოლო ფესტივალი), აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები დადგეგმილია იმგვარად, რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობა მოსწავლისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. მაგალითად სასკოლო კონფერენცია სადაც მოსწავლემ თვითონ უნდა შეარჩიოს თემა, მოიძიოს ინფორმაცია დაახარისხოს და შემნას პრეზენტაცია. ეს ყოველივე მოსწავლისგან ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა თავისთავად მოიაზრებს შემოქედებითობის გამოვლენას. მასწავლებელბმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ შემოქმედებითი თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება, უქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას.

ესთიკური აღზრდა:

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის ესთეტიკის კათედრის კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იქნა წარმატებული გამოცდილების პრაქტიკა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების

ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგებისა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

შეესაბამება;

2. ბუნებისმეტყველება

კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. მაგ.მასწავლებელი მე-2 კლასელ მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებას „წერილი ადამიანს -წყლის დაბინძურება და მისი შედეგები“, რომელიც ეყრდნობა კონტექსტ-მაგალითს: „რწყილი და ჭიანჭველა“. არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იღრმავებენ ცოდნას და ასრულებენ კომპლექსურ დავალებას.
წინარე ცოდნის გამოსავლენად პედაგოგები იყენებენ გრაფიკულ მაორგანიზებლებს, შესასვლელ ბილეთებს, სიტყვის ვერბალურ და ასოციაციების რუკას, ვარაუდების ღრუბელს და სხვა. ამგვარად დაგეგმილი სასწავლო პროცესი მასწავლებლებს ეხმარება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გამოვლენაში, მიღებულ ინფორმაციას იყენებენ მომდევნო ნაბიჯების დასაგეგმად.

მათემატიკა

ახალი ცოდნის გადასაცემა მასწავლებელი მუშაობს იმისატვის რომ მოიპოვოს ინფორმაცია თუ რა მიღწევიდ დონეს აჩვენებენ იმისთვის შედეგი იყოს უფრო უკეთესი და მოსწავლეების შემოქმედებითი პროცესებში ჩართვა ეფექტური. მოწოდებული კურიკულუმების პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგნობირივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა

ვიზიტის დროს ისაუბრეს რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, ,,გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე და იმის მიხედვით დანერგონ სასწავლო პროცესი, საჭიროების შემთხვევაში ისევ შეჩერდენ გავლილი მასალის განსამტკიცებელი სამუშაოების წარმოებაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილ კურიკულუმებში. კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ,მასწავლებლების მიერ არის მოდიფიცირებული.

სახელმწიფო ენა

მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სარეკომენდაციო თემების ფარგლებში. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით.

უცხო ენა

უცხო ენების საგნობრივ კურიკულუმებში, სამიზნე ცნებების მისაღწევად, გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების პირობები. კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლის წინარე ცოდნას აქტიურებს. მართალია, კურიკულუმში არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა სკოლას გააჩნია ამგვარი სწავლების გამოცდილება, ვინაიდან იგი ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და მას განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები. სკოლას გადმოგზავნილი აქვს აქამდე განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები ნიმუშების სახით, რომლებშიც ჩანს, წინარე ცოდნის გასააქტიურებლად გამოყენებულია მეთოდები.

ვიზიტის დროს, უცხო ენების კათედრის მასწავლებლებმა, ინგლისური ენის მაგალითზე, წარმოადგინეს სხვადასხვა რესურსი, რომლებსაც იყენებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნის გასააქტიურებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა, უცხო ენების სწავლების პროცესს აფუძნებს მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და, შესაბამისად, სკოლა გამოიყენებს კონსტრუქტივისტული სწავლების ამგვარ მიდგომას დაგეგმილი კურიკულუმების განხორციელების დროს.

სპორტი:

საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ ახალი ცოდნის დამუშავება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ ჩარჩოში მოცემული თემატური საკითხები ლოგიკურადაა დალაგებული. ყოველი მომდევნო საკითხი/თემა ითვალისწინებს/მოითხოვს წინა თემის/საკითხის დამუშავებას.
წარმოდგენილ მატრიცებზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგალითად კომპლექსური დავალება, სასკოლო კონფერენციაზე პრეზენტაცია მოიაზრებს ნასწავლი მასალიდან მოსწავლისთვის საინტერესო თემის შერჩევას და მის საფუძველზე ახალი ინფორმაციის მოძიებას. მოსწავლეები ახდენენ თემის ფარგლებში ნასწავლი მასალის მობილიზებას, ადგენენ გეგმას და ტექსტის პირველად ვარიანტს, კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებენ პირველად ვარიანტს და სახავენ მისი გაუმჯობესების გზებს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება ძველ ცოდნაზე დაყრდნობით და ეტაპობრივად. მსგავსადაა აგებული და დაგეგმილი ყველა სხვა დანარჩენი კლასების მატრიცებიც.

ესთეტიკური აღზრდა:

კათედრის მიერ შემუშავებული კურუკულუმის ჩარჩო იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სავალდებულო თემების ფარგლებში.. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით. შუალედური მიზნები პროქტულ სწავლებაში იმგვარად ააქვთ დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის თანდათანობით და მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. გასაუბრების დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ წინარე ცოდნის გააქტიურებაში მათ ეხმარებათ შეკითხვები, მრვალფეროვანი რესურსები და სხვადასხვა აქტივობები;

შეესაბამება;

3. ბუნებისმეტყველება

თემატურ მატრიცებში წარმოდგენილია კითხვები: რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან? ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარები. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობენ ხარვეზების გამოსწორების გზებზე.

მათემატიკა

მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განსავითარებლად მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა აქტივობებს, რათა მოსწავლემ თავად შეიმეცნოს ახალი იდეები, შეძლოს მოცემული ინფორმაციის დახარისხება საჭირო მონაცემების ამოკრება და სწორი გადაწყვეტილების გამოტანა, ამ პროცესებში მასწავლებელი თვალყურს ადევნებს რათა მოსწავლემ არ გადაუხვიოს სწორ მიმართულებას და არასასურველი შედეგი არ მიიღოს, უნდა აღინიშნოს, ეომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესები წორედ სწავლის-სავაზე არის ორიენტირებული რათა გათვალისწინებულია მოსწავლი შინაგანი მოტივაციის ზრდის აქტივობები, ამ პროცესებში ხელისშემწყობია დიფერენცირების სწავლების მიდგომები სადაც ხდება სასწავლო მასალის დიფერენცირება, დროის, რესურსების. მოსწავლე გრძნობს თავს პოზიტიურ გარემოში ის დაცულია არასწორი კრიტიკისგან ამიტომ თავად აფასებს თავის ნასრომს, საჭიროების შემთხვევაში ცვლის დასკვნას რაც აუმჯობესებს შედეგებს, ასევე შეფასების პროცესში ახდენს დაკვირვებას თუ როგორ განავითაროს იდეები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო კურიკულუმებში ძირითადად აქცენტი კეთდება სწავლა-სწავლების მართებულ ხეხრხებზე და მიდგომებზე. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაზე.

სახელმწიფო ენა

მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.

უცხო ენა

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელთა საეტაპო აქტივობებიც და წარდგენის ეტაპიც გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების

დასაკმაყოფილებლად. უცხო ენებში განხორციელებულ მატრიცებში, კომპლექსური დავალების პრეზენტაციასთან დაკავშირებით, ჩამოთვლილია მთელი რიგი შეკითხვები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს მეტაკოგნიტური უნარების (სწავლის სწავლა) განვითარებაში, რადგან მას უწევს რეფლექსიის გაკეთება. სკოლაში ამ მიმართულებით დამკვიდრებული სასწავლო პრაქტიკა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ უცხო ენების სწავლების პროცესში, სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმს.

სპორტი;

საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეების მიერ სწავლის სტრატეგიების დაუფლებაზე. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველი აქტივობის შესრულებისას ითხოვენ მოსწავლისგან რეფლექსიას რაც უზრუნველყოფს სტრატეგიების დაუფლებას.
მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კომპლექსური დავალებების შესრულების ეტაპსა და მის ბოლოს მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას.

ესთეტიკური აღზრდა:

წარმოდგენილი პროექტი სელოვნებაში თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებილც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტიანად, მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებლები ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, ემოციებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.

შეესაბამება;

4. ბუნებისმეტყველება

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს.
წინარე ცოდნის გააქტიურების დროს აქცენტი კეთდება დეკლარატიულ ცოდნაზე, ამისთვის უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა მაორგანიზებელ სქემას. პრაქტიკული სამუშაოები შეესაბამება პროცედურებს, რომლებიც მოქმედებების

განხორციელების საშუალებას იძლევა. პროცედურული ცოდნა უპასუხებს შეკითხვას: როგორ განვახორციელო? დინამიკური ხასიათისაა და მოქმედებათა განხორციელების საშუალებას იძლევა. პირობისეული ცოდნა აერთიანებს დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნას და გულისხმობს ტრანსფერს ცხოვრებაში.
სწავლებისას გამოყენებულია პროექტებით სწავლებაც, რაც ასევე ხელს უწყობს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებას.

მათემატიკა
არსებითია აღინიშნოს რომ კათედრა აქცევს ყურადღებას და გასცემს რეკომენდაციას რომ გათვალისწინებული იყოს მოსწავლეებში ცოდნათა სამ კატეგორიასთან მიმართებით კოგნიტური უნარების განვითარება. კლასსი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო აქტივობებში კარგად იკვეთება რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ფაქტობრივ მასალას, სხვადასხვა წყაროებს, ინფორმაციას და იგროვებს ფაქტობრივ ანუ დეკლარატიულ ცოდნას. ამის შემდეგ ის იწყებს აზროვნებას როგორ შეასრულოს კომპლექსური დავალება, რა ნაბიჯები დაისახოს, როგორი თანმიმდევრობით და გამომიმუშავებს დავალების შესასრულებლად საჭირო უნარებს. გასაუბრებაზე გამოიკვეთა მოსაზრება რომ შემაჯამებელ სამუშაოს ისინი აგებენ ცოდნათა სამ კატეგორიასთან მიმარტებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები
სასწავლო პროცესისისთვის დაგეგმილი კურიკულუმები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (პროცედურულ,პირობისეულ და დეკლარატიული).

სახელმწიფო ენა

წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

უცხო ენა
კომპლექსური ტიპის დავალებები არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები, დაწყებით საფეხურზე, ითავლისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გაპრაქტიკებას, უცხო ენების

შესწავლის პროცესში. სკოლას, ამ მხრივ, გააჩნია გარკვეული გამოცდილება, რის დამადასტურებლადაც მას წარმოდგენილი აქვს უცხო ენებში განხორციელებული, კომპლექსური დავალებების მატრიცები, შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

სპორტი

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, კომპლექსური დავალების მიხედვით - კედლის გაზეთი, მოსწავლეებმა უნდა შექმნანა გაზეთი რომელსაც წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე.
ამისათვის მოსწავლეებს დასჭირდებათ არა მხოლოდ საგან სპორტის ფარგლებში ნასწავლი ფაქტობრივი ინფორმაცია, არამედ დასჭირდებათ გაიხსენო სხვა საგნებში ნასწავლი ინფორმაცია და ასევე ახალი აქმდე უცნობი ინფორმაციის მოძიება.
საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია თემები/საკითხები, მრავალფეროვანი რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული ცოდნის მიცემას, კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა ცხადყო ცოდნის სამივე კატეგორიაზე სასწავლო პროცესისი ორიენტირება.

შეესაბამება;

5. ბუნებისმეტყველება

კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. იგივე როლს ასრულებს პროექტული სწავლებაც. მაგ. სკოლის ბლოგზე წარმოდგენილია განხორციელებული პროექტები: „დავრგოთ, გადავრგოთ და გადავარჩინოთ“ , „მცენარის კვება“ და ა.შ. ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და დაკავშირებას.

მათემატიკა

მოწოდებული თემატური მატრიციდან იკვეთება რომ მასწავლებელი სამიზნე ცნების გრძელვადიან მიზანზე გასასვლელად ცდილობს სწავლების მიმდინარე პროცესები ააწყოს იმ ფორმით რომ, წინარე გამოცდილების საშუალებით ააგოს ახალი იდეები, ისე რომ სწორად იყოს გამოყენებული შესწავლილი საგნობრივი საკითხი. ჩანდეს საკითხებს შორის მიმართება არ იყოს დანაწევრებული იდეები. მოსწავლე პრეზენტაციის დროს უნდა ამთლიანებდეს მიღებულ შედეგს მათემატიკის ფაქტობრივი და პროცედურული ცოდნის საშუალებით, მასზე დაფუძნებით აქტიურებდეს ცხოვრებისეულ კონტექსტს, უვითარდება ტრანსფერის უნარები. გასაუბრებაზე აღინიშნა რომ სკოლა ყურადღებას აქცევს STEAM აქტივობებს სადაც მოსწავლეები ცდილობენ შექმნან ისეთი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ოპტიმალურად და საჭიროებისამებრ იქნება საგნობრივი ცოდნები გამოყენებული.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასაწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებასა,მიზეზ შედეგობრივ კავშირს და ცოდნის ფუნქციური უნარების გამოყენებას.

სახელმწიფო ენა

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

უცხო ენა

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას, უცხო ენების საგნობრივ ჯგუფში შემუშავებულ კურიკულუმებში კომპლექსური ბუნების დავალებები წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას გააჩნია კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების გამოცდილება, რომლებიც დასტურდება მის მიერ წარმოდგნილი დოკუმენტაციით.

სპორტი;

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას.

თემატური მატრიცები და კომპლექსური ბუნების დავალებები,რომლებიც მათშია ჩაშენებული,ასევე განხორციელებული სასწავლო პროექტების აქტივობები იძლევა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას . მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ

არის,რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ.
აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა წარმოაჩნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით ყოველთვის ხაზი ესმება ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. პედაგოგების თქმით ისინი ყოველთვის იყენებენ ისეთი ტიპის კითხვებს, როგორიცაა: სად, რომელ საგანში/თემის შესწავლისას შეგხვდათ მსგავსი საკითხი და სხვა.

ესთეტიკური აღზრდა
კურიკულუმებში წარმოდგენილი პროექტები თავის თავში მოიცავს ისეთ საკითხებს, ისეთ სამიზნე ცნებებს თუ ქვეცნებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. კომპლექსური დავალების ტიპის პროექტების საშუალებით სკოლა მოიაზრებს მოსწავლის მიერ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად ახალი ცოდნისა და უნარების გამოყენებას, ისეთი როგორიცაა პრობლემის გადაჭრა, გამოწვევასთან გამკლავება, პროდუქტის შექმნა, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზება.

შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
2. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
3. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
4. კათედრის ოქმი, გადაწყვეტილება
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
6. პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.
7. სასკოლო სასწავლო გეგმა;
8. სასწავლო რესურსი
9. დაწყებითი, საბაზო და საშუალოსაფეხურის უცხო ენების კურიკულუმები
10. უცხო ენებში განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები
11. მოსწავლეების ნამუშევრები;

12. Power point-ის პრეზენტაციები (წინარე ცოდნის გასააქტიურებლად);
13. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები
14. ბლოგზე: http://33skola.blogspot.com/ განთავსებული პროექტები
15. კლუბები და წრეები
16. მოსწავლეთა ნამუშევრები
17. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მოსწავლეთა შეფასების სისტემა,
18. პროფ ორიენტაცია (მოსწავლეთა პროფესიული არჩევანის გაკეთების მიზნით)
19. შეფასების ფორმები,
20. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
21. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის სასკოლო პროექტები
22. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის მასწავლებლთა პორტფოლიოები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. დაწყებითი განათლების საფეხურზე სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ ის მაქსიმალურად იძლევა შესაძლებლობას მოსწავლემ სრულად გაიაზროს და გაითავისოს სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. ,დაგეგმვის პროცესი მთლიანად დაფუძნებულია წინა სასწავლო წლის ანალიზზე, კომპლექსური დავალებების ანალიზის შედეგად იკვეთება საგნობრივი საჭიროებები, რომლებიც პედაგოგებისთვის გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს მომდევნო სასწავლო წელს იმავე კომპლექსური დავალების განხორციელებისას. ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს რომელმა აქტივობამ იმუშავა მოსწავლეებისთვის კარგად კონკრეტული მკვიდრი წარმოდგენების გასათავისებლად და რომელმა - ნაკლებად. ამ პროცესში დაწყებით საფეხურზე ასევე მნიშვნელოვანია მშობლის მხარდაჭერა და მათგან მიღებული უკუკავშირი. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ბარათი, რომელსაც წელიწადში სამჯერ ავსებს განმავითარებელი უკუკავშირის მიღების შემდგომ. მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალური საუბრებისას ნათლად იკვეთება, რა კუთხით ესაჭიროებათ მოსწავლეებს დახმარება კონკრეტულ შედეგზე გასასვლელად. 2023-24 სასწავლო წლის კურუკულუმიც, სწორედ გასული წლის ანალიზის შედეგად დაიგეგმა და შეირჩა ისეთ საგნობრივი საკითხები და კომპლექსური დავალებები, რომლებიც მაქსიმალურად იძლევა შესაძლებლობას, დაფაროს საგნის ყველა სამიზნე ცნება, ქვეცნება.

მათემატიკა

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების დოკუმენტები (1-6 კლასი)ითვალისწინებს ყველა თემაში მათემატიკის სამიზნე ცნებებს; მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა, იქვე მოტანილია ქვეცნებები. კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი მათემატიკაში ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ თემატური მატრიცები მიებმება სადაც კურიკულუმს, რომელიც დაორგანიზებული იქნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენის მისაღწევი, ეტაპებისგან. თანდართულად მიებმება შეფასების რუბრიკები, რომელიც თემის ფარგლებში იქნება საკითხებისშესწავლის დონის შეფასების, მთავარი ინდიკატორი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესში დაგეგმილი კურუკულუმები, განისაზღვრება საგნების სტანდარტის შინაარსის ფარგლებში, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებით.

სახელმწიფო ენა

თვითშეფასების და გასაუბრების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ,რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. განსაკუთრებით, V-VI კლასის შემთხვევაში.

უცხო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილ, დაწყებითი საფეხურის, პირველი და მეორე უცხო ენების საგნობრივ კურიკულუმებში, ძირითადად სრულყოფილად არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, ხოლო მასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრ წარმოდგენებთან ერთად, ძირითადად განვრცობოლია იმ თავებში, რომლებშიც მასწავლებელს მოაზრებული აქვს კომპლექსური დავალების განხორციელება. სასწავლო თემები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, უცხო ენებისთვის გათვალისწინებულ სარეკომენდაციო თემებს. სამიზნე ცნებებს, სასწავლო საკითხებს, დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებსა და განხორციელებისთვის აუცილებელ რესურსებს შორის კავშირი ძირითადად კარგად არის დანახული, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შერჩეული დამატებითი რესურსი შესაძლოა აღემატებოდეს მოსწავლეთა ცოდნის დონეს (მაგ: ინგლისურ ენის კურიკულუმში, მეხუთე კლასში, ვიდეო რესურსი - სატელევიზიო შოუ შესაძლოა რთულად გასაგები აღმოჩნდეს ამ ასაკის მოსწავლეებისთვის). ამგვარ შემთხვევებს სისტემური ხასიათი არ აქვს და ეს არ შეუშლის ხელს კურიკულუმში დასახელებული სამიზნე ცნებების დამუშავებას. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები, რომლებშიც სათანადოდ არის ჩაშლილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო შეკითხვები და რესურსები. ეს ყოველივე კი მიუთითებს, რომ სკოლას გააჩნია სამიზნე ცნებებისა და საგნობრივი საკითხების ერთმანეთთან დაკავშირების გამოცდილება, რომელიც იძლევა საფუძველს, რომ სკოლა წარმატებით განახორციელებს მის მიერ დაგეგმილ სასწავლო კურიკულუმს.

სპორტი:

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ მასწავლებელმა სასწავლო პროცესი, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, გაიაზროს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კონტექსტში და შესაბამისად განახორციელოს სასწავლო პროცესში ამას ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კურიკულუმებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ე.ს.გ შესაბამისად.

კურიკულუმების ჩარჩოებში ნათლად ჩანს ყველა თემის კავშირი სამიზნე ცნებასთან.

ესთეტიკური აღზრდა:

კურიკულუმი - საშუალო საფეხური-ხელოვნება ვლინდება, რომ . მასწვლებლები კარგად იცნობენ ესგ გეგმით გათვალისწინებულ თემატურ ერთეულებს, ჩანს თუ რა ქვეცნებებზე, ცნებებზე და მისი მკვიდრ წარმდგენებზე დაყრდნობით წარმართავენ სწავლა სწავლების პროცესს. ავტორიზაციის მომენტისთვის საშუალო საფეხურზე მე-11 კლასში მუსიკა არ არის შექმნილი კურიკულუმი, ვინაიდან არ არის ესგ გეგემით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები, მუსიკის მასწვლებელბმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ ხელოვნების მასწავლებების გამოცდილებას და მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი საფუძველზე, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის გათვალისწინებით შეადგენენ ახალ 2023/2024 სასწავლო წლის კურიკულუმს.

2. ბუნებისმეტყველება

სწავლის პროცესი ორიენტაცირებულია შემდეგ კომპეტენციებზე: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს მოუწევს შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს პატივისცემა სხვების აზრის მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა და აიღოს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე.

მათემატიკა

მოსწავლი ფსიქო სოციალური განვიტარებისათვის იქმნება ისეთი გარემო დასაც, უსაფრთო ფიზიკურ და პოზიტირუ პირობებთან ერთად ადაპტირებული იქნება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარება, რისთვისაც სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებით, რომლებიც საკვანძო კომპეტენციებს ავითარებს, როგორებიცაა: თვითცნობიერება, თანამშრომლობითი უნარები, ემოციების მართვა, კონფლიქტების მართვა, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ქმედებებზე,

კრიტიკული, შემოქმედებითი და კვლევა ძიების, ტოლერანტული კულტურის განვითარება, ამისათვის უნდა მოხდეს ბულინგის პრევენციური ღონისძიებების გატარება, აქტიური დიალოგი მოსწავლე-მასწავლებელს, მშობელსა და მასწავლებელს შორის, რისთვისაც გამოყენებული იქნება მშობელთა კრებები კომუნიკაციის ყველა ბარიერის შესამცირებლად.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში იკითხება ზოგადი ხედვა, საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომაგენელების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელები ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადასხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მასწავლებლები იყენებენ პერსონაჟის სკამი, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების კითხვას, ფილმების ჩვენებას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. გარდა ამისა, სკოლა იყენებს როლური თამაშებს, პრეზენტაციებს, სხვადასხვა პროდუქტის შექმნას, სიტუაციურ მაგალითებს. აღნიშნული ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში.

უცხო ენა

სამიზნე ცნებებზე მუშაობის დროს, აუცილებელია მოსწავლეს შევთავაზოთ საგნობრივი კონტექსტი, რომელიც მის ფსიქო-სოციალურ განვითარებას შეუწყობს ხელს. როგორც პირველი, ისე მეორე უცხო ენების საგნობრივ კურიკულმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებსა და გარემოს (მაგალითად: ოჯახი, სახლი, ქალაქის ღირსშესანიშნაობები, სასკოლო ცხოვრება, ცხოველები, ტანსაცმელი, ბუნება, ამინდი და სხვა). საგნობრივი კურიკულუმით გაწერილია კომპლექსური დავალების პირობები, რომელთა განხორციელებასაც სკოლა სამომავლოდ გეგმავს. კომპლექსური ბუნების დავალებები, ხელს უწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მათ შესაძლებლობა მიეცემათ, სხვადასხვა დავალების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე.

სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს, რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მაგ: სასკოლო ფესტივალი, კედლის გაზეთი, ლაშქრობა მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ პარალელურ კლასელებთან.

ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. სპორტის საგანი სწორედ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

ესთეტიკური აღზრდა

განხორციელებული პროექტები აჩვენებს, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას ემსახურება. ზოგიერთი მათგანის პირობა ისეა მოცემული, რომ მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, გააკეთოს არჩევანი, თუ რომელ საკითხზე ან რა სახით წარმოადგენს შესრულებულ დავალებას. გარდა ამისა, თემატიკა ისეა შერჩეული, რაც მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და მათ ემოციურ განვითარებას ეხმიანება, სადაც საშუალება მიეცემათ გამოხატონ როგორც საკუთარი მოსაზრებები და ემოციები, ამასთანავე გააცნობიერონ სხვების პოზიციაც.

შეესაბამება.

3. ბუნებისმეტყველება

მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლაში დანერგილია კომპლექსური დავალების შეფასების მეორე მოდელი რომელიც გულისხმობს განმავითარებელი შეფასების გაძლიერებასა. მასწავლებელი მიმდინარე შეფასებებს ახორციელებს კომპლექსური დავალების მსვლელობის პროცესში, როდესაც ის სხვადასხვა ტიპის აქტივობებში (კითხვების დასმა, იდეების გენერირება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, პრობლემის დანახვა, როლური თამაში) რთავს მოსწავლეებს. ხოლო შემაჯამებელ განმსაზღვრელ და

განმავითარებელ შეფასებას მასწავლებელი იძლევა კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ. შემაჯამებელ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას მასწავლებლები გასცემენ იმდენჯერ, რამდენ კომპლექსურ დავალებასაც ახორციელებენ სასწავლო წლის მანძილზე. განმავითარებელ შეფასებას გასცემს როგორც ზეპირი, ასევე წერილობით ფორმით. სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეებს აძლევენ ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ჰოლისტურ შეფასებას წელიწადში 3-ჯერ, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მშობლებისთვის. ჰოლისტური შეფასება დაფუძნებულია მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების, ცოდნის ათვისების პროცესის და მისი ფუნქციურად გამოყენების უნარების შეფასებაზე. წერილობითი და ზეპირი განმავითარებელი შეფასებები მიმართულია მოსწავლის სხვადასხვა უნარის განვითარებაზე. ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრწმენის და შინაგანი მოტივაციის გაძლიერებას და მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობისას მოსწავლეები ეცნობიან შეფასების რუბრიკას, რითაც მათთვის ნათლადაა ფორმულირებული, თუ რის მიხედვით მოხდება მათ შეფასება, რა უნდა გაითვალისწინონ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ამ პროცესს სკოლა წარმართავს Teams-ის პლატფორმის საშუალებით, სადაც კომპლექსური დავალების პირობასთან ერთად იტვირთება შეფასების რუბრიკაც.

მათემატიკა

მოსწავლი ფსიქო სოციალური განვიტარებისათვის იქმნება ისეთი გარემო დასაც, უსაფრთო ფიზიკურ და პოზიტირუ პირობებთან ერთად ადაპტირებული იქნება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარება, რისთვისაც სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებით, რომლებიც საკვანძო კომპეტენციებს ავითარებს, როგორებიცაა: თვითცნობიერება, თანამშრომლობითი უნარები, ემოციების მართვა, კონფლიქტების მართვა, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ქმედებებზე, კრიტიკული, შემოქმედებითი და კვლევა ძიების, ტოლერანტული კულტურის განნვითარება, ამისათვის უნდა მოხდეს ბულინგის პრევენციური ღონისძიებების გატარება, აქტიური დიალოგი მოსწავლე-მასწავლებელს, მშობელსა და მასწავლებელს შორის, რისთვისაც გამოყენებული იქნება მშობელთა კრებები კომუნიკაციის ყველა ბარიერის შესამცირებლად.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარების უნარებზე, სისტემური ცოდნის კონსტრუირებაზე.

სახელმწიფო ენა

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა

ორიენტირებული და მორგებული. დაწყებითი საფეხურის, განსაკუთრებით, *I -IV* კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; *V-VI კლასების დონეზე ბუნდოვანი დარჩა* განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ *I -IV* კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. *V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები* ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მკაფიოდ არ არის მითითებული, როგორ შეიმუშავებს კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნება იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშავონ

უცხო ენა

უცხო ენების კათედრას, ნიმუშების სახით, წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნულ რუბრიკაში მითითებულია, რომ მისი ფორმა ზოგადია და მისი გამოყენება შესაძლებელია უცხო ენებში (ინგლისური, რუსული და გერმანული ენები), ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო), ნებისმიერი კომპლექსური დავალების შესაფასებლად. როგორც განმავათარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, მოცემულია უცხო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებები, თავისი შედეგებით, აგრეთვე სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებსაც მოსწავლემ უნდა უპასუხოს. პედაგოგებმა, გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ამ რუბრიკებს იყენებენ მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის. ინტერვიუს დროს, უცხო ენები მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ აკეთებენ მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებას ელექტრონულ ჟურნალში, რის დასტურადაც წარმოდგენილი აქვთ ელექტრონულ ჟურნალში, ჰოლისტური შეფასების ფოტო ასლები. მოცემული დოკუმენტაციის საფუძველზე, მთლიანობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

სპორტი

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცეში გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს შეფასების რუბრიკების შემუშავებაზე, რომელიც გაიწერება სამიზნე ცნებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მის კავშირს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებასთან.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის გაცნობის შედეგად ასევე გასაუბრების დროს დგინდება, რომ მიმდინარე შეფასებას მასწავლებლები ახორციელებენ ყოველდღიურ სწავლა-სწავლების, მიმდინარე აქტივოებების განხოციელების პროცესში. მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროექტის პირობის გაცნობისას მოსწავლეები დასაწყისშივე ეცნობიან შეფასების რუბრიკას, რითაც მათთვის ნათლადაა ფორმულირებული, თუ რის მიხედვით მოხდება მათ შეფასება, რა უნდა გაითვალისწინონ პროექტზე მუშაობისას. მასწავლებელი განმავითარებელ შეფასებას გასცემს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით

შეესაბამება

4. **ბუნებისმეტყველება**

წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ობიექტური, განჭვირვალე, ვალიდური და სანდოა. შეფასების რუბრიკებში ასახულია, რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების კრიტერიუმები. შეფასების სქემა მკაფიო და არაორაზროვანია შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. კომპლექსური დავალებების განხორციელების წინ მასწავლებელი მოსწავლეებს და მშობლებს (მშობლის ბარათების საშუალებით, იყენებს ელექტრონულ პლატფორმას Teams) აცნობს როგორც დავალების პირობას, ასევე შეფასების რუბრიკებსაც. აღნიშნული რუბრიკები იქმნება და იხვეწება კათედრის სამუშაო შეხვედრებზე. რუბრიკები საშუალებას აძლევს მოსწავლეს იცოდეს, რა კრიტერიუმებით შეფასდება ის. აღნიშნული პროცესით უზრუნველყოფენ, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური და გამჭვირვალე. სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასებას.

მათემატიკა

შეფასების მოქნილი სისტემის შესამუშავებლათ მათემატიკის კათედრამ იმუშავა ტრენინგის ფარგლებში და იქ შედგენილი სქემები შემდგომი განვითარების და მსგავლი ტიპის დავალება შესაფასებლად იმუშავებენ მოწოდებული სანიმუშო დოკუმენტის მიხედვით. ის ფაქტი, რომ შეფასების სისტემის შერჩევა ხდება ესგ-ზე დაყრდნობით, მას უფრო ვალიდურს ხდის. მაგალითისათვის, შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიმართულია გრძელვადიან მიზნებს ანუ ცნებებს ე.ი. ხდება მოსწავლის წინსვლის შეფასება გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამჭვირვარეობის კუთხით უნდა აღინიშნო, შეფასების რუბრიკის შექმნა მეტ-ნაკლებად ხდება გაკვეთილზე, მოსწავლეთა ჩართულობით რაც, მის სანდოობას ზრდის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასების სისტემა არის ვალიდური ,გამჭირვალე,სამართლიანი.

სახელმწიფო ენა

-ავტორიზაციი თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.. მოსწავლემ წინასწარ იცის, თვითონაც მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. მოსწავლის წინსვლის საშუალებას ძირითადად ხდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. იყენებენ Teams-ის ჯგუფებს მოსწავლეებისათვის დავალებების გასაგზავნად, შესაფასებლად, უკუკავშირების გასაგზავნად, მშობელთა კრებების ჩასატარებლად ან ინდივიდუალური

შეხვედრებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფების გამოყენებით ხდება მშობლის უკუკავშირის (მოსწავლეზე გაცემული განმავითარებელი შეფასების შესახებ) Forms-ის კითხვარის ლინკის გაზიარება, რაც აადვილებს ინფორმაციის შეგროვებას და შემდგომ დამუშავებას, პირდაპირი კომუნიკაციის არხი მშობელს აძლიერებს ღიაობის და გამჭირვალობის გრძნობას . რა თქმა უნდა სკოლაში არის შენობაში შემოსული პირებისათვის საინფორმაციო დაფები: ადმინისტრაციისათვის და მასწავლებლებისათვის, ცალკე მოსწავლეებისათვის, ასევე თითო კათედრას აქვს თავისი საინფორმაციო დაფა, სადაც ქვეყნდება შესაბამისი სიახლეები, კონკურსები, განცხადებები. კიდევ ერთი საინფორმაციო საშუალება, რომელიც ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესის გამართული მუშაობას კათედრის დონეზე.

უცხო ენა

ვიზიტის დროს, პედაგოგებმა მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას აფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებთან. სკოლის ავტორიზაციის პროცესში ინტერვიუს დროს, უცხო ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებს ყველა საფეხურზე იყენებენ, როგორ პირველ, ისე მეორე უცხო ენაში. აღნიშნული რუბრიკების გამოყენება უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და ობიექტურობას უცხო ენების სწავლების პროცესში. შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

სპორტი

რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ აფასებს მასწავლებელი. ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა.

ესთეტიკური აღზრდა:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, და რადგან ის ანალიზური ხასიათისაა, წარმოადგენს ე.წ. რეფლექსიას მოსწავლეთა სწავლის პროცესზე. შეფასების კრიტერიუმებს მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან; რუბრიკებიდან გამომდინარე შეფასება იქნება მკაფიო, არაორაზროვანი. ამავე დროს, მასწავლებლები ხედავენ საჭიროებას, უფრო ხშირად მოახდინონ განმავითარებელი შეფასება ვიდრე განმსაზღვრელი.

შეესაბამება

5. ბუნებისმეტყველება

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სხვადასხვა მექანიზმი. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე ადგენენ და განიხილავენ კომპლექსური დავალებების და აქტივობების შეფასების რუბრიკებს. კათედრების სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, რომლებიც თვითონ შეიმუშავეს და დანერგეს პრაქტიკაში. ამ პროცესში ჩართულია დირექცია და შეფასების ჯგუფი, რომლებიც გაკვეთილებზე დასწრებისას აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულ შეფასების ინსტრუმენტებს (ბორბალი, გამოსაძახებელი ჩხირები, თეთრი დაფა) და კეთდება ანალიზი, თუ რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული შეფასების რუბრიკებით მოსწავლემ შეძლოს შედეგების გაუმჯობესება და გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმით გათვალისწინებულია ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დამტკიცებული სადიაგნოსტიკო ტესტები, რომელიც ხელს უწყობს დაადგინოს მოსწავლეებში, რამდენად ფლობენ ისინი გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს. წლის ბოლოს თავიანთ ანგარიშებს წარმოადგენენ კათედრები და მასწავლებლები ყველა ჩატარებული შემაჯამებლების შემდეგ სკოლის ბლოგზე ტვირთავენ ანალიზსა და მოსწავლეების ნამუშევრებს საგნების მიხედვით, რომელიც განთავსებული და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის გაზიარებულ სივრცეში არსებულ პორტფოლიოში. სკოლაში წლის ბოლოს ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელზეც მოწვეული არიან სასკოლო საზოგადოების ყველა წევრები და ეცნობიან მოსწავლეთა მიღწევებს მთელი წლის განმავლობაში.

მათემატიკა

სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე საუბარი ძირითადად კათედრაზე მიმდინარეობა, აღინიშნა მათემატიკის მიმართულებით, შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად მიესადაგება მოსწავლეთა საჭიროებს. გამოიყენებენ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს, ქოუჩინგით გაკვეთილზე დაკვირვების და ანალიზის მეთოდს, შეიმუშავებენ წლის ბოლო შეფასებების აღრიცხვის და მშობელთა ინფორმირებისთვის მარტივ მაორგანიზებლებს.

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციი თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. მათ საფუძველზე მასწავლებელი მუშაობის პროცესში აკადემიური თავისუფლების

და მოსწავლეებისთვის წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი ამ პრინციპებს იცავს, როგორც წესი, იშვიათია უთანხმოება თუმცა, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეები და მათი მშობლები მიმართავენ სკოლის დირექციას სემესტრული გამოცდის დანიშვნის თხოვნით, რადგან მიაჩნიათ, რომ მიღებული სემესტრული შეფასება არაადეკვატურია. გარდა ამისა, დირექტორის მოადგილის ფუნქციებიდან ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, თვალყური ადევნონ და საქმის კურსში იყვნენ კონკრეტულ კლასებსა და საგნებში შეფასების დინამიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართონ პრევენციულ ღონისძიებებს.

ესთეტიკური აღზრდა

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლის დირექცია, კათედრები მუშაობენ შეფასების სისტემების შექმნაზე, შეხვედრებისას ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზის განხილვა. ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი და სწავლა-სწავლების პროცესის ძირითადი საყრდენია. თვითშეფასების დოკუმენტის გაცნობით დგინდება, რომ კათედრების სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც თვითონ შეიმუშავეს და დანერგეს პრაქტიკაში. ამ პროცესში ჩართულია დირექცია და შეფასების ჯგუფი, რომლებიც გაკვეთილებზე დასწრებისას აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულ შეფასების ინსტრუმენტებს (ბორბალი, გამოსაძახებელი ჩხირები, თეთრი დაფა) და კეთდება ანალიზი, თუ რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული შეფასების რუბრიკებით მოსწავლემ შეძლოს შედეგების გაუმჯობესება და გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. ვერიფიკაცია წარმოადგენს მოსწავლის მიღწევის ანალიზს. მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით დიდია მშობელთა ჩართულობა შეფასების პროცესების დაგეგმვაში, განხორციელებაში. ასევე ისინი იყენებენ შეფასების შედეგების ანალიზს მომდენო პროცესების დასაგეგმად.

შეესაბამება;

6. ბუნებისმეტყველება

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობიდან გამომდინარე არანაკლებ 3 წლის ვადით. ამისთვის სკოლაში შექმნილია ბაზა, სადაც ინახება მოსწავლეთა პორტფოლიოები.

მათემატიკა

ამ მიმართულები დოკუმენტურად დადასტურებული მტკიცებულება არ მომეპოვება, თუმცა სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ,

ახალი სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ ყველა მონაცემებს, მტკიცებულებები სათანადოდ აღრიცხული აქვთ, რომელიც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებიდან .დაწყებით კლასებში 3და 4კლასებში იყენებენ განმავითარებელ შეფასებას .

სახელმწიფო ენა

სკოლაში გამოიყენება შეფასების განმსაზღვრელი მეორე მოდელი, განმსაზღვრელი შეფასებით მეტნაკლებად ჩანს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის აღწერილობა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. კათედრაზე ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები დამრიგებლებთა დახმარებით ხდება აკადემიური მიღწევების აღრიცხვა დ შენახვა.

ესთეტიკური აღზრდა;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველკზე, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობიდან გამომდინარე არანაკლებ 3 წლის ვადით. ამისთვის სკოლაში შექმნილია ბაზა, სადაც ინახება მოსწავლეთა პორტფოლიოები.

შეესაბამება;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
3. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
4. სსსმ მოსწავლეების სამოქმედო გემე ინკლუზიური მიმართულებით

5. USAID.პროგრამა
6. მოსწავლეთა მხარდაჭერა
7. კათედრის ოქმები
8. ხარისხის უზრუნველყოფა
9. მოსწავლეთა ნამუშევრები (სურათები)
10. შეფასების ფორმები
11. არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია/ფოტომასალა;
12. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამა
13. საბაზო კლასების მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამა.
14. საშუალო კლასების მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამა.
15. უცხო ენებში განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები
16. კლუბები, წრეები- დანართი N10
17. Power point-ის პრეზენტაციები (წინარე ცოდნის გასააქტიურებლად);
18. კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
19. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
20. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
21. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
22. პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

სასწავლო წლის დასაწყისში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სკოლაში ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება. სკოლისთვის პრიორიტეტია შექმნას მაღალი მიმღებლობის და მხარდამჭერი გარემო მოსწავლისათვის, რაც ჩანს სკოლის მისიაში. სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის შექმნილია მხარდაჭერასა და ურთიერთპატივისცემაზე ორიენტირებული გარემო. მოსწავლეები ინფორმირებულები არიან სკოლაში მოქმედი არაფორმალური სასწავლო-საგანმანათლებლო აქტივობების, წრეების, კლუბების შესახებ. შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მუშაობის გეგმები, ინდ.გეგმები. მოსწავლეებს აქვთ საშუალება ესგ-ით გათვალისწინებული არჩევითი საგნებიდან აირჩიონ სასურველი საგანი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი ხელს უწყობს პოზიტიური და თანამშრომლობითი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებას.

სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა მხარდამჭერი ჯგუფები, სადაც მშობლის განცხადების საფუძველზე მოსწავლეებს მასწავლებლები უტარებენ დამატებით გაკვეთილებს მათი საჭიროებიდან გამომდინარე. თანამშრომლობითი კულტურის დანერგვის მიზნით, კათედრაზე აქტიურად აქვთ დანერგილი ურთიერთდასწრების გაკვეთილები. კათედრის წევრები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე. დამსწრე პედაგოგი ავსებენ კითხვარის ელექტრონულ ფორმას, გასცემენ და იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. აღნიშნულმა ხელი შეუწყო კოლეგებს შორის პოზიტიური და მხარდამჭერი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. სკოლაში შექმნილია მშობელთა კლუბი, რომელიც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სამუშაო ჯგუფები განიხილავენ თანამედროვე მიდგომებს სწავლებაში. უფრო ფართო საზოგადოებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით სკოლა ტრადიციულად/პერიოდულად მართავს, ფორუმებს, კონფერენციებს და ვორქშოპებს.

მათემატიკა

სკოლა უზრუნველყოფს შექმნას ზრუნვისა და მხარდაჭერის გარემო, ზრუნავენ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით ააგონ სასწავლო პროცესი, ხელშეწყობილი იყოს არაფორმალური განათლების გამოყენების თვალსაზრისით სწავლების გაძლიერების სასწავლო პროგრამები. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი კომპლექსური დავალების შესრულების დროს, კვლევითი სამუშაოს დაგეგმვისას, და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი; ასევე უზრუნველყოფილია

გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების/პროექტული სწავლებითაა შესაძლებელი. სკოლაში ფიზიკური გარემოც არის მოსწავლეთა მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი, მერხები, ავეჯი და სხვა ინვენტარი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სასკოლო გეგმიდან, საგნობრივი კურიკულუმებიდან, ატვირთული თვითშეფასების დოკუმენტიდან და ასევე ხარისხის განვითარების დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლაში იგრძნობა პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი განვითარების მაღალო დონე და მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და სწავლა სწავლების ამაღლებაზე ზრუნვა და ინკლუზიური მიდგომა.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უნდა უზრუნველყოფდეს.

შესაბამისია

2. ბუნებისმეტყველება

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. ამის საუკეთესო საშუალებაა კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და პრობლემებს, რომელიც არა მხოლოდ პირდაპირ საგაკვეთილო პროცესთან არის დაკავშირებული. ხორციელდება ისეთი სასწავლო პროექტები, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის და ინტერესის ზრდას უზრუნველყოფს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები კურიკულუმების შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ეფექტურად დაგეგმილი გაკვეთილები, კომპლექსური დავალებები, პროექტები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებები, რომლებიც მოსწავლეთა დაახლოებას, თანამშრომლობას, პოზიტიური

დამოკიდებულების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეს არ ეზღუდება აზრის გამოთქმის, არჩევანის უფლებები.

მათემატიკა

კურიკულუმის ანალიზიდან იკვეთება, მათემატიკის მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა ინტერესების, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით ააგონ სასწავლო პროცესები, სადაც იქნება ზრუნვისა და მხარდაჭერის გარემო. გათვალისწინებული ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. ასევე გაკვეთილზე იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს, დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებე მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს. ხელი ეწყობა მხარდამჭერ პროცესებს. მნიშვნელოვანია წახალისებულ იქნას ისეთი აქტივობები რომელიც მოახდენს მოსწავლეებში შინაგანი ძალების გააქტიურებას, ამისათვის უნდა მიეწოდოსახალი მასალა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მოხდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, რეალიზდეს ცოდნათა სამივე კატეგორია. სკოლა არაფორმარული განათლების მიართულებით უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირეაბს. ამ და მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ მზაობა მასწავლებლებმა გასაუბრების დროსაც დაადასტურეს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რომელიც უვითარებს მოსწავლეებს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებით აზროვნებას და ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის მარტივი გზების მოძიების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. რომლის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენს სკოლის დოკუმენტებში ატვირთული სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტები.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე.

შეესაბამება;

3. **ბუნებისმეტყველება**

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. წლების განმავლობაში სასკოლო კულტურაში ჩამოყალიბდა თანამშრომლობითი კულტურის მაღალი დონე და ეფექტური კომუნიკაცია. საბაზო საფეხურის პედაგოგები უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას, ადგენენ კურიკულუმებს, მთელი წელი ერთობლივად მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე; ესწრებიან გაკვეთილებს ატარებენ სამოდელო გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს. სპეციალური ფოკუსირებული დაკვირვების ფორმის მეშვეობით ხდება ურთიერთდასწრება. სწავლის დონის ამაღლებისათვის და მოსწავლეების უნარის განვითარებისათვის სკოლის პედაგოგები ატარებენ საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევებს და მიღებულ გამოცდილებას იყენებენ საკლასო სივრცეში, უზიარებენ თანამშრომლებს. სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანი და ამოცანაა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფის გზით სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და სკოლის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის ჩამოყალიბებით მისი ავტონომიურობის გაძლიერების ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება. სკოლა ყოველწლიურად აქტიურად არის ჩართული STEAM ფესტივალში, რომელიც ორიენტირებულია საგანთა შორის კავშირებისა და კათედრებს შორის თანმშრომლობის გაძლიერებაზე. ფესტივალზე მოსწავლეები მოწვეული სტუმრების და სასკოლო საზოგადოების წინაშე წარსდგნენ შესრულებული კომპლექსური დავალებებით.

მათემატიკა

კათედრის შეხვედრებზე მიმდინარეობს სწავლების პროცესების გაუმჯობესების თემაზე საუბრები, ხდება სხვადასხვა მოსაზრებების მოსმენა განხილვა და საერთო გადაწყვეტილებამდე მისვლა, ასევე აუცილებელია ინტერგირებული პროექტების, გაკვეტილების დანერგვას ამით უფრო განვითარდება სკოლაში თანამშრომლობითი გარემო და ხელი შეეწყობა მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებას, ტრანსფერის უნარების განვითარებას, სხვა საგნობრივი კათედრებთან თანამშრომლობის მიმართ გამოითქვა მკაფიო მოსაზრება სკოლაში გასაუბრების დროს, ასევე მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობითი პროცესი სპეციალურ მასწავლებელთა, დიფერენცირებული სწავლების გაძლიერების კუთხით ეწყობა მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

აღნიშნული დოკუმენტებიდან და გასაუბრენის შედეგებიდან ჩანს რომ კათედრის წევრები თანამშრომლობენ და ერთად გეგმავენ სასკოლო აქტივობებს და კურიკულუმებს

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; თვითმმართველობასთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მისი თვითგანვითარებაში გეგმავენ მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება თემატურ მატრიცაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების გაანალიზების შედეგად.

შეესაბამება;

4. **ბუნებისმეტყველება**

სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი. წახალისებულია თანამშრომლობა და თანასწავლება. სკოლაში სწავლა-სწავლება ინტერაქტიული ფორმით მიმდინარეობს. აქცენტი კეთდება მოსწავლეთა წარმატებებზე და არა მარცხზე, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას. სკოლისა და კლასის დონეზე უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო. დირექცია მხარდამჭერი და წამახალისებელია საინტერესო იდეების, პროექტების, სოციალური აქტივობების, კონკურსების. საბაზო საფეხურის მასწავლებლებს გათავისებული აქვთ სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა იციან, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატისთვის ეს მნიშვნელოვანია. მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობის მაღალი ხარისხის მისაღებად, საბაზო საფეხურის თითოეულ მასწავლებლის მიერ წახალისებულია სამოქალაქო აქტივობები და პროექტები, იმართება ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები, ადამიანის უფლებებისა და გენდერულ თანასწორობაზე მიმართული აქტივობები, რაც საერთო ჯამში ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ ზრდასა და ძირითადი ღირებულებების ჩამოყალიბებას.

მათემატიკა

სკოლაში პოზიტიური გარემო გავლენას ახდენს კლასის დონეზე მოსწავლეთა აკადემიურ შედეგების გაუმჯობესებაზე, ამისათვის სკოლას გააზრებული აქვთ, რომ დაწყებით კლასებში, მათ შორის მათემატიკის სწავლებისას მასწავლებლების დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პოზიტიურ სასკოლო თუ საკლასო კლიმატის ჩამოყალიბებას. ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა ისეთი ქცევების გამტკიცებას, რომლებიც წარმატების მომტანია მათთვის და მუდმივად ხელს შეუწყობს ცხოვრებისეული გამოწვევების დაძლევას. სკოლაში შექმნილია ასევე მხარდამჭერი გარემო ხდება გაკვეთილზე ურთიერთდასწრება და პედაგოგიური პრაქტიკის დახვეწისათვის კონსტრუქციული უკუკავშირების მიწოდება ერთმანეთისათვის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო და ინდივიდუალურად უდგებიან მოსწავლეთა საჭიროებებს.

სახელმწიფო ენა

უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის კურიკულუმები
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
3. სკოლის შინაგანაწესი
4. სსმ მოსწავლეების სამოქმედო გემე ინკლუზიური მიმართულებით
5. USAID.პროგრამა
6. მოსწავლეთა მხარდაჭერა
7. კათედრის ოქმები
8. ხარისხის უზრუნველყოფა
9. სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
10. სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
11. სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

   სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც აღწერილია,…სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხდება კომპლექსური დავალებების ანალიზის საფუძველზე. ყველა კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ მასწავლებლები ახდენენ კომპლექსური დავალების ანალიზს და შედეგების გაზიარებას საგნობრივ კათედრებზე და. კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს ხარისხის ჯგუფი. მონიტორინგი და დაკვირვებათანმდევი პროცესია კურიკულუმზე მუშაობისთვის, სადაც დეტალურად და მოხდეს განხილვა შემუშავებული ცნებების, ქვეცნებების, საკვანძო შეკითხვების და დავალების პირობის. საბაზო საფეხურის პედაგოგები ყოველი გაკეთებული კომპლექსურის დავალების შემდეგ ბლოგზე ტვირთავენ კომპლექსური დავალების ანალიზს და მოსწავლეების ნამუშევრებს. სკოლაში მუშაობს მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია სსიპ ქ. ქუთაისის N33 საჯარო სკოლის

ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერი ჯგუფის მიერ სკოლის დირექტორის ხელმძღვნაელობით. ჯგუფი შედგება სკოლის წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისაგანრომლებიც ზრუნავენ სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. წევრებს შორის მოვალეობების გადანაწილება ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მტკიცდება ოქმით.
მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით.

მათემატიკა

კათედრა სისტემატურად ახორციელებს სასწავლო წლის განმავლობაში დაკვირვებას კათერის წევრებს შორის მიღებული შედეგების ანალიზისათვის. ამისათვის გამოიყენება შემაჯამებელი დავალებელის ანალიზის ფორმა, რომელიც სემესტრის ფარგლებში იძლევა სრულ სურათს კლასის დონეზე დაძლეული გამოწვევების შესახებ და რა საჭიროება დგას საგნობრივი მიმართულებით რათა განვითარდეს და აკადემიური შედეგები გაუმჯობესდეს მოსწავლეებში. ხდება ურთუიერთ დასწრება გაკვეთილზე, გამოიყენება კრიტიკული მეგობრის დახმარება, ეს ყოველივე ხელის შემწყობია, შეფასების ეფექტური მექანიზმების არსებობის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და გასაუბრების შედეგებიდან, ჩაანს რომ სასწავლო წლის ბოლოს ხდება კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების მოდიფიცირება, სადაც გათვალისწინებულა მოსწავლეთა საჭიროებები.

სახელმწიფო ენა

სკოლას ამ ეტაპზე დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგის დრაფტ-ვერსია. ასევე, მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიოტირნგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოცენილი ხარვეზების მითითეხა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება.ს. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას.

შეესაბამება;

2. ბუნებისმეტყველება

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. მონიტორინგისა და შეფასების მთავარი დანიშნულება არის სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა.

მათემატიკა

კათედრის წევრებს შორის გამოცდილების გაზიარების კუთხით, გაკვეთილზე დასწრების შედეგად მიღებული უკუკავშირების საფუძველზე გაიცემა კონსტრუქციული განმავითარებელი შეფასება დახმარების პროცესში ერთობლივად იგეგმება ქმედითი ნაბიჯები რომელიც გამოწვევის წინაშე მდგომ პედაგოგს საშუალებას აძლევს, რომ დაძლიოს გამოწვევები. ამისათვის შეიძლება გავლილი იქნას სავალდებულო ტრენინგები, ან სხვა კათედრის წევრთან კონსულტაცია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და გასაუბრების შედეგებიდან, ჩაანს რომ სასწავლო წლის ბოლოს ხდება კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების მოდიფიცირება, სადაც გათვალისწინებულა მოსწავლეთა საჭიროებები.

სახელმწიფო ენა

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს.

შეესაბამება;

3. ბუნებისმეტყველება

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით. სასკოლო საზოგადოება შეიმუშავებს სხვადასხვა მეთოდს მოსწავლეთა განვითარებისათვის. დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებისთვის შეიქმნა მხარდამჭერი ჯგუფები, სადაც მოსწავლეებს დამატებითი გაკვეთილები უტარდებათ საჭიროებისამებრ, მშობელთა თანხმობით. სასკოლო საზოგადოებამ, უფროსმა და წამყვანმა მასწავლებლებმა იკვლიეს საკუთარი და პედაგოგიური სასკოლო საჭიროებები. კვლევის მიგნებები, ძირითადად, მიმართულია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისაკენ და ატვირთულია სკოლის ბლოგზე. სკოლამ შეიმუშავა და დანერგა განმავითარებელი შეფასების სისტემა, რომელიც იძლევა საშუალებას შეფასება გახდეს ყოვლისმომცველი/ჰოლისტური. მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა ხდება, სწორედ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე. განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება ემსახურება პრობლემის გამოკვეთასა და შემდგომში გადაჭრის გზების ძიებას.

მათემატიკა

მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოკბვეთილი გამოწვევები სასწავლო პროცესში, განიხილება პრიორიტეტის მიხედვით, რისთვისაც შემუშავდება ქმედითი ნაბიჯები რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიან მიზანზე შედეგიან ორიენტირებას და საშუალებას მისცემს მასწავლებელს დაინახოს მკაფიოდ პრობლემების გადაჭრის გზა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმის მონიტორინგი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც დამატებით დოკუმენტების მასალებში არის წარმოდგენილი.

სახელმწიფო ენა

-კათედრებისა და დირექტორის მოადგილის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა. კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას.

შეესაბამება;

ბუნებისმეტყველება

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით.

სასკოლო საზოგადოება შეიმუშავებს სხვადასხვა მეთოდს მოსწავლეთა განვითარებისათვის. დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებისთვის შეიქმნა მხარდამჭერი ჯგუფები, სადაც მოსწავლეებს დამატებითი გაკვეთილები უტარდებათ საჭიროებისამებრ, მშობელთა თანხმობით. სასკოლო საზოგადოებამ, უფროსმა და წამყვანმა მასწავლებლებმა იკვლიეს საკუთარი და პედაგოგიური სასკოლო საჭიროებები. კვლევის მიგნებები მიმართულია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისაკენ და ატვირთულია სკოლის ბლოგზე. სკოლამ შეიმუშავა და დანერგა განმავითარებელი შეფასების სისტემა, რომელიც იძლევა საშუალებას შეფასება გახდეს ყოვლისმომცველი/ჰოლისტური. მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა ხდება, სწორედ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე. განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება ემსახურება პრობლემის გამოკვეთასა და შემდგომში გადაჭრის გზების ძიებას.

მათემატიკა

მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოკვეთილი გამოწვევები სასწავლო პროცესში, განიხილება პრიორიტეტის მიხედვით, რისთვისაც შემუშავდება ქმედითი ნაბიჯები რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიან მიზანზე შედეგიან ორიენტირებას და საშუალებას მისცემს მასწავლებელს დაინახოს მკაფიოდ პრობლემების გადაჭრის გზა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმის მონიტორინგი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც დამატებით დოკუმენტების მასალებში არის წარმოდგენილი.

სახელმწიფო ენა

-კათედრებისა და დირექტორის მოადგილის, ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა. კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას.

შეესაბამება;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. ხარისხის მართვა
3. დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებში
4. ელექტრონული ჟურნალი
5. ხარისხის მართვა,
6. შეფასების სისტემა.
7. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
8. დაწყებითი კლასების კათედრის ოქმი;
9. კათედრის ანგარიში 2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

   სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. პრობლემების, გამოწვევების შესახებ ინფორმაციის წყაროდ სკოლა მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს. ინფორმაციის მოგროვების მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძიება. ინფორმაციის მოპოვებას სკოლა გეგმავს სხვადასხვა წყაროს გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა.

   სკოლაში არსებული შეფასების პრინციპები გათვლილია მოსწავლეთა სწავლების გრძელვადიან მიზნებზე და მათ ჰოლისტურ განვითარებაზე. შეფასების რუბრიკები შექმნილია მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით: საგნობრივი პროგრამები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ნამუშევრები, და სხვ. ინფორმაციის შეგროვებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი არიან საგნის პედაგოგები, კლასის დამრიგებლები, კათედრის ხელმძღვანელები, დირექცია. სკოლაში მოქმედებს შეფასების ჰოლისტური სისტემა, რომელიც გულისხმობს საგნის პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება მოხდეს სხვადასხვა კომპონენტების გათვალისწინებით. საბაზო საფეხურის პედაგოგები, გამომდინარე იქედან, რომ მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელთან ერთად განმსაზღვრელი შეფასებით, მაქსიმალურად ცდილობენ აღნიშნული შეფასება თავის თავში მოიცავდეს მოსწავლის მიღწევებს სხვადასხვა კომპონენტში.

მათემატიკა

სკოლაში გამოიყენება სხვადასხვა შეფასების რუბრიკები, მოწოდებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით შეიძლება ვთვათ რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს სხვადასხვა სახის შეფასების ინდიკატორები, მათ შორის შეიძლება იყოს ზეპირი შეფასება, სადიაგნოსტიკო შეფასება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და შევაფასებ დადებიტად, რადგან სკოლას აქვს გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმა რომელიც ორიენტირებულია კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო კონცეფციას, საშუალო საფეხურის კურიკულუმები წარმოდგენილია სრულყოფილად, რადგან სკოლას აქვს მრავალფეროვანი საკოლო, სასწავლო, სოციალური პროექტები, საგნობრივი კლუბები და წრეები.

სახელმწიფო ენა

გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. გასაუბრებისას აღნიშენეს, რომ ინფორმაციას ღებულობენ მშობლისგან, დამრიგებლისგან, თუმცა სათანადოდ ვერ დაასაბუთეს ამ სახის მიღებულ ინფორმაციას, როგორ გამოიყენებენ შეფასებისას.

შეესაბამება.

2. **ბუნებისმეტყველება**

ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს პედაგოგები მოსწავლის საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მიღებას გეგმავენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. მაგალითად მასწავლებელი საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გაითვალისწინებს ამავე დროს ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით: რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენადაა დაცული დიზაინი, რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით, რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული, ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. იგეგმება შეფასების რუბრიკების გადახედვა, დახვეწა, საჭიროებებზე უკეთ მორგება.

მათემატიკა

როგორ გასაუბრებაზე გამოიკვეთა მოსაზრება შეფასება ეყრდნობა მრავალ კონტექსტს მათ შორის კომპლექსური დავალების განხორციელების მომენტში ყურადღება მახვილდება, გამჭოლ გლობალურ ფუნქიურ ექვს უნარზე, ასევე საგნობრივ საკითხებთან დაფუძნებით გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, რომელიც მკვიდრი წარმოდგენების ფარგლებში ყალიბდება, ასევე შემაჯამებელი სამუშაოს საფუძველზე იწერება განმსაზღვრელი ქულა რომელიც თემის ფარგლებში აფასებს მოსწავლეთა მიღწევის დონეს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესში საშუალო საფეხურზე შეფასება ხდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით. კურიკულუმებში განსახორციელებული და განხორციელებული აქტივობები მიემართება მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებისკენ.

სახელმწიფო ენა

მასწავლებელი საუბრობენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინი სპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას და ზოგადად სკოლას სამუშაო აქვს.

3. ბუნებისმეტყველება

ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა. ეს მათ საშუალებას მისცემთ, მრავალმხრივ დაინახონ და შეაფასონ პრობლემა. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და სწორი შეფასება მისი ეფექტური

განხორციელების წინაპირობაა. სასკოლო საზოგადოების წინსვლა, სასწავლო დაწესებულების ავტორიტეტის ამაღლება მოითხოვს დირექციასა და პედაგოგებთან ერთად მშობელთა აქტიურ ჩართულობას. მონაცემთა შეგროვების მონიტორინგი გულისხმობს მონაცემთა შეგროვებას სხვადასხვა მეთოდით: (ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, ელფოსტის მეშვეობით ინტერვიუ, კითხვარები). (დანართი 23) მონიტორინგი ხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობისა და კომუნიკაციის საფუძველზე; პროცესში იხვეწება მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები; წესრიგდება დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგისთვის სკოლა რამდენიმე ინსტრუმენტს იყენებს. მაგალითად, Liveworksheets.com-ის ცოცხალი ფურცლები, რომლის საშუალებითაც შეიძლება შემოწმდეს რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი მასალა და რა კუთხით სჭირდებათ მეტი მუშაობა. მომავალშიც მონიტორინგი განხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობისა და კომუნიკაციის საფუძველზე; დაიხვეწება მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები; მოწესრიგდება დამადასტურებელი დოკუმენტები.

მათემატიკა

გასაუბრებაზე მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ შეფასების დაწერისათვის ისინი იყენებენ გაკვეთილზე დაკვირვებას, ქვიზებს, ასევე რიგ შემთხვევაში გამოიყენება სადიაგნოსტიკონ შეფასება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი მიმართლებები ,რომელსაც ვეცნობით სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტებში.

სახელმწიფო ენა

-კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. თუმცა, არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას „საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის.

შეესაბამება;

4. ბუნებისმეტყველება

ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ მოახდინონ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. შეიმუშავონ მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი, მოახდინონ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებს, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ.

მათემატიკა

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გავლენას ახდენს ეფექტური განმავითარებელი შეფასება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასება ხდება საგნობრივი კათედრების და ხარისხის მართვის მიერ.

სახელმწიფო ენა

-მასწავლებლების ხედვა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
2. სსსმ მოსწავლეების სამოქმედო გეგმე
3. შეფასების ფორმები
4. მოსწავლეთა ნამუშევრები
5. სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
6. სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო პროექტიHE
7. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, როგორ იქმნება კურიკულუმის განვითარების და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: - მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში: რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა/უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. მოსწავლეთა შედეგები: რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. მშობელთა ჩართულობა: რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები) კათედრის მუშაობა: რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესწავლის მიმართულებით. სკოლის დირექცია: რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს სკოლის დირექციის ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება. თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის: კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

მათემატიკა

ის მიგნებები რომელიც გამოიკვეთა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს მნიშვნელოვანი არის რომ კიდევ ერთხელ გადამუშავდეს რაზედაც ინტერვიუში ისაუბრა მასწავლებლებმა და გაკეთდესანალიზი რა გამოცდილება მივიღე, როგორ გამოვიყენო ეს გამოცდილება მომდევნო სასწავლო წელს და სხვა

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მიმდინარე სასწავლო წლის 2023 – 2024 წწ. სკოლას აქვს დაგეგმილი დაწყები საფეხურზე 3და4კლასებში,(მე და საზოგადოება) 5 და 6 კლასების ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში სრულყოფილად , რომელიც აკმაყოფილებს ესგ -თი გრძელვადიან მიზნებს, სტადარტით განსაზღვრულ თემებს ფარავს სამიზნე ცნებები . ემსახურება საგნობრივი სტანდარტების წლიურ პროგრამებს, სკოლის ახალი ეტეპის დასწყებად ჩემი რეკომენდაციაა რომ დაგეგმილი ,კლასში განახორციელონ ის კურიკულუმში ჩაშლილი კომპლექსური დავალებები, რომელიც მათ სკოლის სდა მოსწავლეტა საჭიროებებზეა მორგებული. ვაძლევ რეკომენაციას_ თუ სკოლას ყავს ამ კლასებში სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები შეადგინონ მათთვის სსმ. გეგმები, მშობელტა ჩართულობით.ასევე მშობლის ბარათები, რითაც დაეხმარება მშობლებს კომპლექსურ დავალებებზე სამუშაოდ,რეკომენდაცია გაუწიონ მათ შვილებს.

სახელმწიფო ენა

დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუმცა *ავტორიზაციის თვიშშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის გავითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მუშავდება* კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. ითვალისწიბებენ მიღწევების თვითშეფასებას, SWOT-ანალიზს, წლიურ სამოქმედო გეგმას. თუმცა ამ ეტეპზე *არ არის მითითებული რა სახით ხდება* რეფლექსია, საჭიროებების კვლევა. კათედრა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა *პაკეტის შექმნის* აუცილებლობას.

შეესაბამება

2. **ბუნებისმეტყველება**

სკოლაში შექმნილის სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა რომელიც გაწერილია სკოლის მისია ხედვები, მიზნები, მათი განხორციელების გზები და ა.შ. სკოლის კურიკულუმები ყოველთვის განიცდის ცვლილებებს იმისდა მიხედვით თუ რა შედეგებს აჩვენებს წინა წლის კურიკულუმი, ამიტომაც სკოლის ყოველი შემდეგი კურიკულუმები ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ყოველი შემდეგი კურიკულუმი ეფუძნება სკოლის კურიკულუმების გაანალიზების შედეგებს, რომელითაც დგება SWOT ანალიზი (რომლის ფარგლებშიც გამოვლინდება ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და

საშიშროებები) . ახალი სასწავლო კურიკულუმის შედგენისას წინა წლის შედეგად დანახული მიგნებები აისახება საგნობრივ კურიკულუმში, როგორც კლასის, ასევე საფეხური დონეზე შესაბამისი ცვლილებებით.

მათემატიკა

კათედრაზე ხდება მიმდინარე კურიკულუმის განხორციელების პერიოდში მიღწეული შედეგების ანალიზი, სადაც განიხილება რა იყო დაგეგმილი, დაგეგმის პროცესში როგორ განვითარდა მოვლენები რომელიც მასწავლებლის დაკვირფების ფორმასი აისახება, ამის შემდგომ გამომწვევ მიზეზებზე ხდება ანალიზი და დასკვის გამოტანა რომელიც საბოლოო ჯამში კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიაში აისახება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმენში დამუშავებული ვერსიები ეფუძნება წინარე გამოცდილებას, ამიტომ დაწყებითების საფეხურზე საჭიროებს მოდიფიცირება, მონიტორინგრ და შეფასებას მომავალში.

სახელმწიფო ენა

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის ბოლოს მოხდება აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ, მატრიცების შესრულებული კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შეფასების საფუძველზე მოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა კლასების გათვალისწინები. კათედრა 2023-2024 სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. .სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
3. 2018-2022 წ გეგმები

4. სასწავლო რესურსები
5. კონფერენციები
6. მოსწავლეთა ნამუშევრები
7. ხარისხის უზრუნველყოფა
8. სსსმ მოსწავლეები
9. შეფასების ფორმები
10. სასწავლო პროექტი
11. კათედრები
12. კლუბები დაწრეები
13. სოციალური პროექტი
14. USAID პროგრამა.
15. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
16. სასკოლო სასწავლო პროექტი;
17. კომპლექსური დავალებები(მასწავლებელთა პორტფოლიოები)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას. საზოგადოების ჩართულობის, მათი ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარებისთვის სკოლაში ტარდება SWOT ანალიზი, რის საფუძველზეც გამოიკვეთება საჭიროებები და პრობლემები. სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში სკოლა ცდილობს მაქსიმალურად გააქტიუროს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეები და მშობლები რამდენჯერმე ავსებენ კითხვარებს, რითაც აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, ხოლო მასწავლებლები კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე მუდმივად უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს. პედაგოგები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ ავსებენ კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმას, სადაც ისინი აანალიზებენ მუშაობის პროცესში წამოჭრილ პრობლემებს თუ დადებით მხარეებს. სასწავლო წლის დასასრულს პედაგოგები ავსებენ თვითშეფასების ფორმას, მიმართავენ მშობლებს უკუკავშირისთვის და ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით იქმნება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი.
სკოლაში შექმნილია “მშობელთა სათათბირო”, რომელიც დირექციასა და მშობლებს შორის პირდაპირი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფადაა ჩამოყალიბებული. “მშობელთა სათათბიროს” შეხვედრების ფარგლებში მშობლების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს კურიკულუმის ფორმირების პროცესში.

მათემატიკა

მოწოდებული სავაზო საფეხურის კურიკურუმი შედგება იმ ძირითადი მიმართულებებისგან, რომელიც მასწავლებელს სასწავლო პროცესში დაეხმარება იყოს ორიენტირებული მოსწავლის მიღწევებსა და წარმატებაზე, როგორც გასაუბრებაზე აღინიშნა, შედგენის პროცესში მონაწილეობას იღებდა სასკოლო საზოგადოების წევრები, თითოეული მასწავლებელი წარადგენდა წინადადებას რათა ის პრიორიტეტული თემები არ ყოფილიყო გამორჩენილი რაც, სწავლა-სწავლების პროცესში გახდებოდა იმ იდეის და შინაარსის მატარებელი რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ზრდას და ჩართულობას სასწავლო პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

გავეცანი სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებს, გავესაუბრე საგნის პადაგოგებს, საბოლოოდ შემიძლია დავასკვნა რომ, ე.ს.გ. და საგნობრივი სტანდარტით არის გათვალისწინებული გეგოგრაფიის, ისტორიის და მოქალაქეობის საგნის კურიკულუმები, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების და თემის ინტერესი.

სახელმწიფო ენა

სკოლამ სასკოლო დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია (დრაფტ-ვერსია) აღნიშნული დოკუმენტის სათანადო გახილვა კათედრის დონეზე ჯერჯერობით არ მომხდარა. ამ სახის ინფორმაცია იკითხება წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტში. მაგ; სასკოლო გეგმაში, ხარისხის მართვისა და განვითარების და კათედრის ოქმებში. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აფიქსირებს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას. ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში სკოლა ცდილობს მაქსიმალურად გაააქტიუროს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. წლის განმავლობაში მოსწავლეები და მშობლები რამდენჯერმე ავსებენ კითხვარებს, რითაც აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, ხოლო მასწავლებლები კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე მუდმივად უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს. ასევე, პედაგოგები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ აწარმოებენ კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმას. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი შედარებით დაბალია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. გეგმავენ წაახალისონ მათი ჩართულობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას და ამისთვის გამოიყენონ საგნობრივი ექსპერტებისა და ქოუჩების ჩართულობა. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობას, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტნაკლებად გამოკვეთა, ვინ, რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. მასწავლებლები საუბრობდნენ ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე.

2. ბუნებისმეტყველება

სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია. მოსწავლეებთან და სწავლის დაწყებამდე მშობლებთან პირისპირ შეხვედრის დროს საუბრისას არკვევენ მათ ინტერესებს, სურვილებს და ასახავენ კურიკულუმში. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ყველა ის საკითხი, რომელიც კურიკულუმის მონიტორინგს და განვითარებას უზრუნველყოფს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ

საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

2019-20 სასწავლო წლის შედეგების ანალიზმა დღის წესრიგში დააყენა შეფასების სისტემის ცვლილების აუცილებლობის საკითხი. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა V-VI კლასებთან. პრობლემის აქტუალურობას დაემთხვა ისიც, რომ სამინისტროს მიერ შემოთავაზებული იქნა მოსწავლის შეფასების ორი მოდელი. სკოლის ადმინისტრაციამ მიმართა სასკოლო თემს (მშობლებს, მასწავლებლებს), რათა გაეკეთებინათ არჩევანი ამ ორ მოდელს შორის. მშობელთა სრული თანხმობითა და პედაგოგიური კოლექტივის მაქსიმალური მხარდაჭერით სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით აირჩია საქართველოს განათლების სისტემისთვის ინოვაციური შეფასების სისტემა, რაც პასუხობდა სკოლის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტს. ცვლილება აისახა როგორც სასწავლო გეგმაში, ასევე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში. დამრიგებლებმა მშობელთა დეტალური ინფორმირების მიზნით დაგეგმეს შეხვედრები და სადამრიგებლო საათები, სადაც ყურადღება გაამახვილეს განმავითარებელი შეფასების დადებით და უარყოფით მხარეებზე. სკოლის ინტერესებში შედის სასკოლო კურიკულუმში ასახოს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები და საჭიროებები. ამდენად, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების აზრის გასაგებად დირექცია პერიოდულად ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ამდენად, კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლეებს მიეწოდება მათთვის გასაგებ ენაზე. მოსწავლეებს ეძლევა საშუალება, ნამუშევარი მათთვის მისაღები ფორმით წარმოადგინონ (მაგალითად: პრეზენტაციით, მაკეტით, პლაკატით, Minecraft, Scratch და ა.შ.). საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა. 2022-23 სასწავლო წლიდან სკოლაში შეიქმნა „მშობელთა სათათბირო“, რომელშიც ჩართულია სამივე საფეხურის ყველა კლასის 2 მშობელი.

„მშობელთა სათათბიროს“ შექმნის მიზანია, გაიზარდოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, დირექციასა და მშობლებს ჰქონდეთ პირდაპირი საკომუნიკაციო ადგილი, სადაც ისინი ღიად შეძლებენ არსებული პრობლემებისა და ინიციატივების განხილვას.

სკოლის ინტერესებში შედის სასკოლო კურიკულმში ასახოს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები და საჭიროებები. ამდენად, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების აზრის გასაგებად, დირექცია პერიოდულად ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ამდენად, კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლეებს მიეწოდება მათთვის გასაგებ ენაზე. მოსწავლეებს ეძლევა საშუალება, ნამუშევარი მათთვის მისაღები ფორმით წარმოადგინონ (მაგალითად: პრეზენტაციით, მაკეტით, პლაკატით, Minecraft, Scratch და ა.შ.). საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა.

მათემატიკა

კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება კერძოდ კათედრა აქტიურად იღებდა მონაწილეობას, მათმა შეიმუშავეს ჩარჩო დოკუმენტი სადაც გაწერეს ის მიგნებები რომელიც წინა წლის სამუშავო პროცესებიდან გამოიკვეთა, ის მიგნებები რომელმაც ხელი შეუწყო სასწავლო აღმზრდელობით სამუშაოების წაროებას გათვალისწინებულ იქნა 2023-2024 წლის სამუშაო დოკუმენტში, მასში გაწერილია ის კომპლექსური დავალებები რომელიც დამუშავებულია სკოლაში და მოსწავლეთა მხრიდან აქვთ უკუკავშირები მიღებული, აქვე უნდა აღინიშნოს რომ გასაუბრებაზე აღინიშნა, სასკოლო საზოგადოება ზრუნავს ახალი სასწავლო ლიტერატურის დამუშავებას სადაც თანამედროვე მიდგომებზე სწავლებაზე არის საუბარი და მის დანერგვას სასწავლო პროცესში, სხვადასხვა ტრენინგებიდან მიღებული ინფორმაციის გაზიარება ხდება კოლეგებისთვის და შესაბამისად ასახვა კურიკულუმში მათგან გამოვყოფთი STEAM პროექტებს რომელიც ურთიერთ თანამშრომლობით მიმდინარეობს და იხვეწება წლიდან, წლამდე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

kurikulumSi asaxulia saskolo sazogadoebis ინტერესი, რომელიც ეფუძვნება ე.ს.გ და საგნობრივ სტანდარტებს.

სახელმწიფო ენა

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია, თუმცა ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივ კათედრის რამდენიმე წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, მასწავლებლები ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას დამრიგებლების მეშვეობით ახდენს. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც.

3. საბუნებისმეტყველებო

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია, როგორ უნდა იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, ხდება უკვე არსებული კურიკულუმების ახლებურად გადააზრება, პარალელური კლასის პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარება და ოპტიმალურ ვერსიებზე შეჯერება. შედეგად იკვრება კურიკულუმის ახალი ჩარჩო, ძველ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ახლებური იდეებით. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია ის შედეგები, რომლებიც მშობელთა და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით მიიღეს სასაწავლო წლის განმავლობაში დირექციის მიერ ინიცირებულ გამოკითხვებში მონაწილეობით.

2022-23 სასწავლო წლიდან სკოლაში შეიქმნა „მშობელთა სათათბირო“, რომელშიც ჩართულია სამივე საფეხურის ყველა კლასის 2 მშობელი.„მშობელთა სათათბირო“ შექმნილია იმ მიზნით, რომ გაიზარდოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, დირექციასა და მშობლებს ჰქონდეთ პირდაპირი საკომუნიკაციო ადგილი, სადაც ისინი ღიად შეძლებენ არსებული

პრობლემებისა და ინიციატივების განხილვას. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ბლოგი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

მათემატიკა

კურიკულუმი ეფუძნება იმ მიგნებებს რაც სასკოლო საზოგადოების წინ დგება და ანალიზდება სწავლების პროცესში, რამ იმუშავა კარგად, რა იყო გამოსასწორებელი, ასევე იდენტიფიცირდება გამომწვევი მიზეზები მოსწავლის მხრიდან, ანალიზი ეფუძნება ასევს მოსწავლეთა თვითშეფასებას, მასწავლებლის დაკვირვებას, შემაჯამებლის ანალიზებს და სხვა. შესაძლოა. ამ პროცესებში ჩართული იყოს მშობელი რომელიც უზიარებს მასწავლებელს იდეებს, რადგან მასწავლებლის ვალდებულებაა მოუსმინოს მშობელს და გააცნოს კურიკულუმის მოქმედი ვერსია. გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელად აუცილებელია შუალებური მიზნების იმ ფორმით წარმოდგენა რომელიც მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას შეუწყობს ხელს, ამასთან საგნობრივ საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში დაეხმარება, ამისათვი იქმნება ერთობრივი შეჯერებული დოკუმენტი რომელიც ასახავს მოსწავლის განვითარების გზას. ამ საკითხებზე მკაფიოდ აღინიშნა გასაუბრების დროს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესის დაგეგმვას და კურიკულუმის განხორციელებას ითვალისწინებენ საგნობრივი პედაგოგები, რაც გასაუბრების დროსაც დაადასტურეს, სკოლა 2019 წლიდან ჩართული იყოს ახალი სკოლის მოდელის რეფომაში და მათთვის სირთულეს არ წარმოადგენდა სასკოლო კურიკულუმის დანერგვა და წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე ახდენდნენ მოდიფიცირებას სასკოლო კურიკულუმის შედგენისას.

სახელმწიფო ენა

სასკოლო გეგმაში, პედასბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე, საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. კურიკულუმი ჩარჩოში მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი გრეძლვადიანი მიზნები. საუბრობენ, რომ შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. არ არის ჩაშენებული შუალედური მიზანები, მასწავლებელებმა აღწერეს მუშაობის ეტაპები და აქვს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშავოს შუალედური მიზნებით.

4. საბუნებისმეტყველებო

ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომობისთვის სკოლა იყენებს ღრუბლოვან სცავს „OneDrive" და ბლოგებს. სკოლის ბლოგზე (33skola.blogspot.com) ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს სკოლაში განხორციელებული ღონისძიებები, სასკოლო კურიკულუმი, სადამრიგებლო საათები, კლუბების/ წრეების შესახებ ინფორმაცია და სხვა. სადამრიგებლო საათების პროგრამა თითოეულ დამრიგებელს განთავსებული აქვს პირად პორტფოლიოში. შექმნილია Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის. Teams-ის საგნობრივ ჯგუფებში მოსწავლეებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების რუბრიკა და შემდეგ ინდივიდუალური უკუკავშირი, რომელსაც შეუძლია გაეცნოს, როგორც მოსწავლე, ასევე მშობელი. წელიწადში სამჯერ, პირველად 1-ლი სემესტრის დასასრულს, ხოლო ორჯერ მეორე სემესტრში მოსწავლეები თითოეულ საგანში იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს მათი მიღწევების შესახებ, რომელიც ელექტრონულ ჟურნალში აისახება და მარტივად ხელმისაწვდომია მშობლისათვის. სკოლის ღრუბლოვან საცავში შექმნილია მოსწავლეთა ინდივიდუალური პორტფოლიოები, სადაც პედაგოგები საგნების მიხედვით საქაღალდეებში ათავსებენ კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების ნამუშევრებს. აღნიშნული პორტფოლიო ხელმისაწვდომია, როგორც პედაგოგებისთვის, აგრეთვე მშობლებისთვის.

სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები მშობლებს უზიარებენ სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობებსა და სასწავლო მიზნებს. ისმენენ მათ მოსაზრებებს და ითვალისწინებენ პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის. გარდა სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები რამდენჯერმე მიმართავენ მშობლებს, რათა გაუზიარონ მათ დაგროვილი გამოცდილება და მიიღონ უკუკავშირი.

მათემატიკა

საბაზო საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლის მათემატიკის შემუშავებული კურიკულუმი, ამ ეტაპზე, გაზიარებულია მასწავლებელთათვის. თუმცა სკოლა გეგმავს სხვადასხვა წყაროების გამოყენებას რათა უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ის სასკოლო საზოგადოების მიერ, ყველა სტრუქტურული ერთეული რისგანაც შედგება კურიკულუმი იყოს დაინტერესებული პირებისათვის დეტალურად გაცნობილი, ახსნილი თუ რას მოიაზრებ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, ცნებების პედაგოგიკაზე დაფუძნებით სწავლება. სკოლა გეგმავს, მას შემდეგ, როცა მომდევნო სასწავლო წლის სექტემბრიდან სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმი იქნება ის გაზიარდება სასკოლო საზოგადოებაში, იგი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, გასაჯაროვდება სკოლის ღრუბლოვან საცავებით და განთავსდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ხდება კურიკულუმების საფუძველზე , რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში , სადამრიგებლო პროგრამებში, ელექტრონულ სასწავლო რესურსებში, სასკოლო სასწავლო პროექტებში, სკოლაში ასევე სსმ მიმართულებით დაგეგმილია სამოქმედო გეგმა, რომელსაც ახორციელებს სკოლის შიდა მინიტორინგის ჯგუფი.

სახელმწიფო ენა

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დოკუმენტის დრაფტ-ვერიის სახით სახით არის წარმოდგენილი, თუ რა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით. სასწავლო წლის დასაწყისში და სემესტრების ბოლოს აკეთებენ კვლევას სხვადასხვა კითხვარების მეშვეობით, რომელსაც აზიარებენ თიმსის პლატფორმით.

შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

18. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
19. სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
20. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კლასების კურიკულუმი;
21. სახელმწიფო ენისა და ლიტერატურის კათედრების სხდომის ოქმი ;
22. ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის დებულება
23. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
24. მშობელთა კრების ოქმი;
25. შეფასების ფორმები;
26. კლუბები და წრეები;
27. მშობელთა სათათბირო;
28. *USD საგაკვეთილო დაკვირვება .*
29. სასკოლო პროექტები,
30. სასწავლო პროექტები,
31. სსმ მიმართულებით,
32. კონფერენციები,
33. სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

1. **საბუნებისმეტყველო**

სამივე საბუნებისმეტყველო საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. შუალედურ მიზნებად განისაზღვრება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას და საგნობრივი საკითხის ღრმად გააზრებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი საარზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას მას სჭირდება შემოქმედებითობა, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. კომპლექსურ დავალებამდე მისასვლელ გზაზე გაკვეთილებს გეგმავენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მასწავლებლები წინარე ცოდნის გამოვლენისა და გააქტიურების

მიზნით იყენებენ სხვადასხვა საშუალებას, როგორიცაა მედია რესურსები, პრეზენტაციები, ვიდეოფილმები, პირადი გამოცდილება და სხვა მრავალი. მრავალფეროვანი საშუალებების შეთავაზებით უფრო საინტერესო და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო იქმნება. მოსწავლეს საშუალება ეძლევა თავად ააგოს ცოდნა გამოცდილებაზე დაყრდნობით. ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანი განხილვა ხდება განსხვავებულ კონტექსტებში.

კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ -მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეზე და ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას შესასწავლი საკითხებით. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შეთავაზებულია მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვსაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. წარმოდგენილი მაგალითები შედარებისთვის ხელს შეუწყობს საკითხის ღრმად გააზრებას. მაგ. მე-7 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა "მიკროორგანიზმები ადამიანის სამსახურში", კონტექსტ-მაგალითად აღებულია მოსწავლეებისთვის ნაცნობი სიტუაცია: „რთველს მოყვება ყურძნის გამოწურვა და ღვინის დამზადება, სხვადასხვა დღესასწაულს -ტრადიციული ხაჭაპურის ცხობა, რომელსაც ჭირდება ამოფუებული ცომი"... მოხდება რძემჟავური და სპირტული დუღილის პროცესების შედარება. ცხოვრებისეული მაგალითები გაზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას და ჩართულობას სწავლის პროცესში და ხელს შეუწყობს საკითხის ღრმად გააზრებას.

საბაზო საფეხურის მე-9 კლასის მოსწავლეთა მიღწევების შეფასებისათვის ჩატარდა სკოლაში შემუშავებული სადიაგნოსტიკო წერები. მე-8 კლასის მოსწავლეებისათვის ჩატარდება ამა წლის ივნისის დასაწყისში განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალებით. დიაგნოსტიკური წერების შედეგების ანალიზს სკოლა გამოიყენებს კურიკულუმის რევიზირებისას.

მათემატიკა

საბაზო საფეხურზე მათემატიკის შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მე-7-მე-8-მე-9 კლასების მათემატიკის ჩარჩო ცხრილებში შევსებულია როგორც სავალდებულო ველები: თემები, სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები, ტექსტი/ტექსტები, სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე არასავალდებულო ველები: მაგალითი შედარებისთვის, კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალებების იდეა. კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლება. წარმოდგენილი აქვთ თემატური მატრიცა იქ პროცესები იმდაგვარად არის გაწერილი, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაზლებლობების გათვალისწინებით ხდება, დიფერენცირებული სწავლების მეთოდის გამოყენება სწავლა-სწავლების მიმდინარეობისას. მოწოდებული კურიკულუმი წარმოადგენს, მოსწავლეთა პროცესების დაგეგმვის ღონისძიებების ერთობლიობას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებას სასწავლო პროცესში. აღნიშნული საკითხი დამიდასტურეს პედაგოგებმა გასაუბრების დროს, რასაც ასევე ადასტურებს სკოლის მიერ ატვირთული მოსწავლეთა ნამუშევრების სურათების პროდუქტი , სადაც ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსაც.

სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხურის კლასების კურიკულუმის ჩარშოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით რამდენიმე თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. შედარებით მკრთალად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე თითეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს.

უცხო ენა

მოცემული კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად, კურუკულუმი ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნებზე. საბაზო საფეხურის, უცხო ენების კურიკულუმებში, გრძელვადიანი მიზნები ძირითადად სათანადოდ არის წარმოდგენილი, სამიზნე ცნებების სახით.

საბაზო საფეხურის, პირველი და მეორე უცხო ენების (რუსული, გერმანული) კურიკულუმებში, შუალედურ მიზნებად სკოლას ჩადებული აქვს კომპლექსური დავალების პირობები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს მომავალი სასწავლო წლისთვის. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები, მოიცავს ისეთ ფორმულირებებს, რომლებიც მოსწავლეს სწავლის პროცესის ცენტრალური ფიგურად აქცევს, ზრდის მის ჩართულობას და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას უწყობს ხელს. მოსწავლეებისთვის, კომპლექსური დავალების ფარგლებში, გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა, იქნება ეს პრეზენტაცია, პოსტერი, ლეპბუქი, ბუკლეტი თუ სხვა, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მაღალი სააზროვნო უნარების გააქტიურებას.

მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმი უნდა იყოს პროცესზე ორინეტირებული. სკოლის მიერ შედგენილ კურიკულუმებში, კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენება, უფრო მეტ ყურადღებას სასწავლო პროცესზე ამახვილებს, მოსწავლეს კი აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას, მაღალი სააზროვნო უნარებისა და შესრულებული სამუშაოს თვითრეფლექსიის უნარის განვითარებას.

ზემოთ განხილული ფაქტების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს, უცხო ენების სწავლების პროცესი მოსწავლზე ორიენტირებით წარმათოს. ამის თქმის შესაძლებლობას ის ფაქტიც იძლევა, რომ სკოლას უცხო ენებში განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები, რომელთა ნიმუშებიც მტკიცებულების სახით აქვს წარმოდგენილი.

სპორტი

საგან სპორტის შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ყველა კლასის კომპლექსური დაბალება გულისხმობს სასკოლო ფეტივალის ჩატარებას სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. ასევე შიდა სასკოლო კონფერენციაზე საკუთარი ნაშრომის პრეზენტაციას, პროექტზე მუშაობას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს. მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი.

შეესაბამება;

2. **ბუნებისმეტყველება**

წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში. ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. ყველა თემის ფარგლებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. წარმოდგენილია, რომელი ქვეცნებები მუშავდება სხვადასხვა თემის კონკრეტული საკითხების შესწავლისას. ქიმიის, ფიზიკის ბიოლოგიის თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. კურიკულუმებში ნათლად იკითხება, თუ რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. მაგ. მე-7 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება, რომ იგეგმება 5 ძირითად თემაზე მუშაობა:

„მიკროორგანიზმები“, „სოკოები“, „მცენარეები“ ცხოველები“, „სასიცოცხლო ციკლი“. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება: „სტრუქტურა და ფუნქცია“, „სასიცოცხლო თვისებები“, „ბიომრავალფეროვნება“, „ჯანმრთელობა და დაავადება“. თითოეული თემის ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები და საკითხთა კლასტერი, ძირითადი და დამატებითი რესურსები. მაგ. თემის მცენარეები შესწავლისას მოსწავლეები გაეცნობიან საკითხებს: „მცენარეთა სისტემატიკური ჯგუფები“, „ფოტოსინთეზის პროცესი და მისი მნიშვნელობა“ „მცენარეთა მნიშვნელობა ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში“ . მასწავლებელს მოცემული აქვს რესურსები, რომლებივ საჭიროა ამ საკითხების გასააზრებლად. ფიზიკაში მე-7 კლასში ისწავლება სავალდებულო თემები: „ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები“, „თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა“, „ძალა და წნევა“. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, საკითხთა კლასტერი, მრავალფროვანი რესურსები.

კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის შემოწმების მიზნით სკოლაში განხორციელდა ადგილზე ვიზიტი. ვიზუალური დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო რესურსებით. ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ განხორციელდეს კვლევაზე დაფუძნებული სწავლება. კაბინეტებში წარმოდგენილია მოსწავლეთა მრავალფეროვანი ნაშრომები.

მათემატიკა

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი შედგება იმ თემებისგან რომელსაც სასწავლო წლის განმავლობაში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად უნდა გაიაროს კლასმა, კერძოდ დაწყებით საფეხურზე. დანართის სახით მოწოდებული თემატური მატრიცა აჩვენებს იმ გრძელვადიანი მიზნის მისაღწევი ღონისძიებების (ეტაპების გავლა), შეკითხვების ერთობლიობას რაც უნდა მიაღწიოს მასწავლებელმა, პარალელურად კი იზრუნოს კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში გლობალური ფუნქციური უნარები; კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა და ხასიათია და ნებელობის განვითარებაზე. ასევე სხვადასხვა საკლასო აქტივობებიც გახდეს ფუნქციურად დატვირთული ხელი შეეწყოს მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების გააქტიურებას. ყველა უნარის ეტაპობრივი განვითარება კი პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებია რადგან ნებისმიერი სწავლის პროცესში მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს შემოქმედებითად მიუდგეს პრობლემის გადაჭრას, იაზროვნოს კრიტიკულად, იმუშაოს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ისწავლოს დამოუკიდებლად, მოუსმინოს სხვებს, შეაფასოს და გადააფასოს თავიანთი მიგნებები, დაამყაროს კავშირები მათემატიკასა და გარემომცველ სამყაროს შორის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმი მიემართება ე.ს.გ. გრძელვადიან მიზნებისკენ, თვითეული თემა ფარავს გრძელვადიან მიზნებს, მოიცავს ყველა ცნებებს, რომელიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, სასწავლო პროცესის დაგეგმვა მოიცავს წინარე ცოდნაზე გათვალისწინებულ გამოცდილებას.

სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის , როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდეროობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ დაარსებულია სასკოლო კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში 21- ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებას.

უცხო ენა

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება), რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი უნდა იყოს. უცხო ენების, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც ადვილად შეიძლება დაუკავშირდეს გლობალურ ფუნქციურ უნარებს. კურუკულუმებში ასევე მოცემულია კომპლექსური დავალების პირობები. კომპლექსური დავალებები, საგნობრივ შინაარსის განმტკიცებასთან ერთად, აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეებში ზემოთ აღნიშნული მაკრო ცნებების განვითარებას.

მაგალითად, პირველი უცხო ენის, მერვე კლასის კურიკულუმის, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეს მოეთხოვება დაამზადოს პოსტერი თემაზე- „შეწყვიტე ძალადობა“, რომელიც პირდაპირ გადის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის (ერთ-ერთი გლობალური უნარი) გრძნობის განვითარებაზე. ამავე უნარს ავითარებს რუსული ენის მეცხრე კლასის კურიკულუმის ერთ-ერთი კოპლექსური დავალების პირობა, რომელშიც მოსწავლემ უნდა მისწეროს სიმულაციური

წერილი ცხოველთა დაცვის ორგანიზაციას და ისაუბროს გადაშენების პირას მყოფი ცხოველების დაცვის შესახებ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ ინდიკატორს.

სპორტი

კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემრთება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი.

კურიკულუმების ჩარჩოები აჩვენებს, რომ სპორტის საგანი უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. განვიხილოთ თითოეულ გლობალურ ფუნქციურ უნართან შესაბამისობა.

- ✓ **შემოქმედებითობა** - შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ნასწავლ მასალის მაქსიმალურად თავისუფლად მათი შეხედულებისამებრ გამოყენების საშუალებას, რაც ზრდის და ანვითარებს მათ შემოქმედებით უნარს. მაგალითად სასკოლო ფესტივალი, რომელიც ერთერთი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის შემოქმედებითობის განსავითარებლად. ასევე სასკოლო კონფერენცია სადაც მოსწავლე თავისუფალია მისი შეხედულებით იქჩევს სასურველ თამას მისი შეხედულებისმებრ აგებს თემას და წარუდგენს აუდიტორიას.
- ✓ **კრიტიკული აზროვნება** - მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, კომპლექსური დავალება შიდა სასკოლო ფესტივალი მოიაზრებს ვიდეოების ყურებასა და განხილვას რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას ასევე სასკოლო პროექტზე მუშაობა გულისხმობს ინფორმაციის მოძიებასა და გადარჩევას რაც კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
- ✓ **კომუნიკაცია** - მოიაზრებს ინფორმაციის ნათლად და შინაარსიანად გამოხატვას, მეტყველების ტიპის შერჩევას, აღწერას, მსჯელობას, კონტექსტუალიზებას და გამოხატვის რელევანტური საშუალების შერჩევას

(ვერბალლური/არავერბალური). წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას კომპლექსური დავალების (პროექტი, პრეზენტაცია) ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან დიალობი, მსჯელობა, შეთანხმება. მაგალითად სასკოლო კონფერენციის დროს მას შემდეგ რაც მოსწავლე შეარჩევს თემას მნიშვნელოვანია ის ისე წარმოადგინოს, რომ გაითვალისწინოს აუდიტორია. თავისი აზრი გამოხატოს რელევანტური საშუალებით.

- ✓ **კოლაბორაცია** - მოიაზრებს ჯგუფში მუშაობის წესების ფლობას, პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება - სასკოლო ფესტივალი, პროექტი რომელიც მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ. ამ დავალებაში მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა. კომპლექსური დავალების მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას მიზნის მისაღწევად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად. ყველაფერი აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებას.
- ✓ **მოქალაქეობა** - გულისხმობს მსჯელობას და მოქმედებას თემის ინტერესების გათვალისწინებით. მოცემული კომპლექსური დავალებები სწორედ ამ უნარის განვითარებას ემსახურება. მაგალითად სასკოლო კონფერენციის თემატიკა სწორედ ამ მიზანზეა ორიენტირებული. მოსწავლეებში ხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ და კომპლექსური დავალების ფარგლებში ხდება თემისთვის აქტუალური პრობლემების გაანალიზება.
- ✓ **ხასიათი/ნებელობა** - ხასიათი და ნებელობა მოიაზრებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებას თვითრეალიზაციისთვის, მიზნების დასახვას, დაგეგმვას, თვით ეფექტურობის განცდას, სწავლის სტრატეგიებს, მონიტორინგსა და შეფასებას. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოგგენილი კომპლექსური დავალებები, როგორიცაა სასკოლო ფესტივალი, ლაშქრობა, ლასქრობის დაგემვა მოსწავლისაგან მოითხოვს მიზნის შერჩევას, ამ მიზნისკენ მიმავალი აქტივობების დაგეგმვას, შესრულების პროცესის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მის ჩანაცვლებას სხვა უფრო რელევანტური აქტივობით.

კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი.

შეესაბამება



3. ბუნებიმეტყველება

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმში ჩანს, რომ ძირითადი პრინციპები და სტრატეგიები ორიენტირებულია სასწავლო გარემოს მოქნილობაზე. ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნების, სიახლეების შეტანის, ინტერესების გაზრდის, დიფერენციერებული და ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობის მიზნით გაკვეთილებზე იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს/სტრატეგიებს, როგორიცაა ,,სასწავლო მენიუ“, კოგნიტური სქემები, მოლოდინების ბარათები, მართული კითხვის აქტივობებს, მულტიმედიური რესურსები და ა.შ. მრავალფეროვანი ინსტრუმენტები : გამოსაძახებელი ჩხირები, გასასვლელი ბილეთები, ,,თეთრი დაფები” და მრავალი. ეს ყველაფერი ამაღლებს მოსწავლის შინაგან მოტივაციას და იზრდება მოსწავლეთა ინტერესები და ჩართულობა. ინფორმაცია ინკლუზიური მიდგომების შესახებ განთავსებულია სკოლის ბლოგზე:http://33skola.blogspot.com/2023/06/ck-12.html. ნათლად ჩანს, რომ სსსმ მოსწავლეთა სამოქმედო გეგმის გაწერისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. აქტიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებლებთან და მათთან ერთად ადგენენ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გეგმას. საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის სწავლება ხორციელდება ინდივიდუალური ან/და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის მეშვეობით.

მასწავლებლები ქმნიან სხვადასხვა სახის რესურსს, ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებას . მაგ. ბლოგზე წარმოადგენილია მე-8 კლასელი მოსწავლის ადაპტირებული კომპლექსური დავალების ბარათი „ფიზიკური დატვირთვის გავლენა პულსსა და სუნთქვის სიხშირეზე“.

სკოლაში ჩატარდა STEAM ფესტივალი, მოსწავლეებმა წარადგინეს შესრულებული კომპლექსური დავალებები, როგორც ელექტრონული, ასევე ხელით შესრულებული დიორამები, ნახატები, აპლიკაციები და ა.შ. ფესტივალში მონაწილეობას იღებდა სსსმ მოსწავლეებიც.

22 ივნისს განათლების კოალიციამ ჩაატარა შემაჯამებელი კონფერენცია „CK-12 ინკლუზიური და ხარისხიანი განათლებისათვის“.კონფერენციის მიზანია საქართველოში საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12-ის გავრცელების გამოცდილების შეჯამება და Ck-12 სკოლების ქსელის მუშაობის კარგი პრაქტიკების გაზიარება.კონფერენცია ჩატარდა განათლების კოალიციის ინიციატივით, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, CK-12-ის საერთაშორისო პლატფორმასთან თანამშრომლობით და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით. ქუთაისის N33 საჯარო სკოლა წარდგენილი იქნა, როგორც კარგი პრაქტიკის მქონე სკოლა და შევიდა სკოლების ხუთეულში. გამარჯვების ნიშნად სკოლას გადაეცა პროექტორი და სადემონსტრაციო დაფა, ჩართული პედაგოგები დაჯილდოვდნენ სამკერდე ნიშნებით და სერტიფიკატებით.

მათემატიკა

სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო კურიკულუმი 1-6 კლასი მათემატიკა, მოწოდებული თემატური მატრიცის სანიმუშო დოკუმენტიდა იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური სასწავლო გარემოს პირობები უფრო კონკრეტულად: კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე წარმოდგენილი თემატური მატრიცა და კომპლექსური დავალება, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, კერძოდ, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას, რაც კათედრის შეხვედრის ოქმებში ინკლუზიური მიდგომის პროგრესის განსაზღვრის საჭიროებებში ამოიკითხება. სკოლა ასევე ზრუნა სსსმ მოსწავლეთა განვითარებისათვის შექმნას ხელშემწყობი გარემო, მოახდინოს მკვიდრი წარმოდგენების მოდიფიცირება კომპლექსური დავალების მოსწავლის საჭიროებისდა მიხედვით გამარტივება, ამ ღონისძიებების ერთობლიობამ მოსწავლე უნდა მიიყვანოს მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების; მათემატიკური მოდელი, კანონზომირერება, ლოგიკის შეძლებისდაგვარად დაძლევამდე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროეცესი დაგეგმილია, ისე რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა დიფერინცირებულ ინკლუზიურ მიდგომას.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესი მეტნაკლებად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება. ასევე, ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, მსგავსი ტიპის გამოცდილება დოკუმენტის სახით დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებში მაგ; ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები.

უცხო ენა

უცხო ენების საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, სკოლას ჩადებული აქვს კომპლექსური დავალების პირობები, რომლეთა ფარგლებშიც მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ სხვადასხვა პროდუქტი. ეს კი მათ საშუალებას აძლევს გააკეთონ არჩევანი რა უადვილდებათ და როგორ შეუძლიათ შეასრულონ. ასეთი ტიპის დავალებები, მოსწავლეზე ორიენტირებულ ბევრ სტრატეგიას მოიცავს, რომლებიც დიფერენცირებული სწავლების გამოყენების შესაძლებობას იძლევა. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებების პრეზენტაციას, საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით აკეთებენ. მათ ეძლევათ არჩევანი, თუ რა გზებით და სტრატეგიების გამოყენებით შეასრულებენ კომპლექსურ დავალებებს. პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ ახდენენ კომპლექსური დავალების გამარტივებას/ადაპტირებას მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, როგორც პირველი, ისე მეორე უცხო ენების მაგალითზე. ეს დოკუმენტები მიუთითებს, რომ სკოლა, საჭიროების მიხედვით, სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს და აღნიშნული წარმოადგენს სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკას.

უცხო ენის მასწავლებლებს განხორციელებული აქვთ საკუთარი სასწავლო პრაქტიკის კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავდა კლასის საჭიროებების დადგენას სხვადასხვა მიმართულებით და სწავლების მეთოდების დიფერენცირებას.

წარმოდგენილი მტკიცებულებები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ პირველი და მეორე უცხო ენების სწავლების პროცესში სკოლა გამოიყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს საჭირო მიმართულებით.

სპორტი

ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა, განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, პროექტი, ლაშქრობა, პრეზენტაცია. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. ასევე, 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.

შეესაბამება

4. **ბუნებისმეტყველება**

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს.
წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობები ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას.
მაგ. ბიოლოგიის მასწავლებელი მე-8 კლასის მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებას „ბუკლეტში ახსენი ტანადობის დარღვევის მიზეზები და მისი პრევენციის ხერხები“. რომელიც ეყრდნობა კონტექსტ-მაგალითს: „მძიმე ჩანთა და სქოლიოზი“.

მოსწავლეები უკვე აქვთ გარკვეული წარმოდგენა ხერხემლის გამრუდების მიზეზების შესახებ. არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იღრმავებენ ცოდნას და ქმნიან საინფორმაციო ბუკლეტს.

მოსწავლეთა ნაშრომების შეფასების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გათვალისწინებით, რომელის უზიარდება პედაგოგიურ საბჭოს, ხდება კურიკულუმის ცვლილება და გადაიხედება მეთოდოლოგია აქტივობებისა და რესურსების ნაწილში. 2022 წლის პირველი სემესტრიდან დაინერგა კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების თვითშეფასების კითხვარი, რომელიც ივსება კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ და მისი შევსებისას მასწავლებელი აანალიზებს სწავლების პროცესს, გამოკვეთს საჭიროებებს და მისი გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო კომპლექსურ დავალებას „ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში განხორციელებული სასკოლო პრიორიტეტული პროექტების მიგნებები ყოველთვის არის მომდევნო პროექტის ინიცირების და იდეების გენერირების საფუძველი. მაგალითად, 2020-2021 წელს განხორციელებულ იმ პროექტმა „განმავითარებელი შეფასება მოსწავლის კეთილღეობისათვის", გამოავლინა ახალი შეფასების სისტემის შედეგების ანალიზის ფორმების შემუშავების საჭიროება. ეს გახდა საფუძველი 2021-2022 სასწავლო წლის პრიორიტეტული სასწავლი პროექტის თემის ჩამოყალიბებისათვის „სასწავლო პროცესის ანალიზი მოსწავლის კეთილდღეობისათვის", ქოუჩინგის შედეგად საგნობრივმა კათედრებმა აირჩიეს მასწავლებლის პრაქტიკის და მოსწავლის მიღწევების მონიტორინგის სასურველი მოდელები და მომავალი სასწავლო წლიდან მონიტორინგი განხორციელდება ამ ფორმით.

მათემატიკა

წინარე ცოდნის გააქტიურება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი და არსებითია, რადგან ის ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში რათა აქტიური შემოქმედებითი მსვლელობას ჰქონდეს ადგილი ამისთვის სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებასა და მის ანალიზზე დაფუძნებით, არსებული გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, იგი თვლის, რომ კურიკულუმების დანერგვისას შექმნას 2023–2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. აქვე ავღნიშნავ, რომ გასაუბრებაზე გამოიკვეთა მოსაზრება, ახალ მასალაზე გადასასვლელად მათემატიკის მასწავლებელი იკვლევს მოსწავლის წინარე ცოდნას, სხვადასხვა საშუალებით ეს შეიძლება იყოს ქვიზი, ზეპირი გამოკითხვად და სხვა გასავითარებელი საკითხების დადგენის შემდეგ აქცენტი მის დაძლევაზე კეთდება რადგან გააზრებული აქვთ რაოდენ მნიშვნელოვანია მათემატიკაში ახალი ცოდნის კონსტუირებისათვის მოსწავლის ჩართულობა.

სახელმწიფო ენა

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა

და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

უცხო ენა

მომავალი სასწავლო წლისთვის, უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში, სკოლას გაანალიზებული აქვს წინა წლის კურიკულუმები და ამის საფუძველზე არის შედგენილი ახალი კურიკულუმი. ვიზიტის დროს, სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას, გამოირკვა, რომ სანამ დაიგეგმება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები, მოსწავლეებს უტარდებათ სადიაგნოსტიკო წერა, იმის გამოსარკვევად თუ რომელი სასწავლო თემები დაძლიეს და რაში აქვთ გამოწვევები. ასევე, ხდება მოსწავლეების გამოკითხვა ონლიან ფორმით და მათი უკუკავშირი გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებლები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით, აანალიზებენ თუ როგორ გაართვეს თავი მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებს და საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით არჩევენ კომპლექსური დავალების პირობებს კურიკულუმში შესატანად.

სპორტი

კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცეში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს. 2023-24 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაშიც და იგი მიჩნეულია მოსწავლის სწავლის პროცესის განვითარების ხელშემწყობ და მისი შედეგების გასაუმჯობესებელ მექანიზმად.

შეესაბამება;

5. **ბუნებისმეტყველება**

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს.

წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობები ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას.
მაგ. ბიოლოგიის მასწავლებელი მე-8 კლასის მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებას „ბუკლეტში ახსენი ტანადობის დარღვევის მიზეზები და მისი პრევენციის ხერხები“. რომელიც ეყრდნობა კონტექსტ-მაგალითს: „მძიმე ჩანთა და სქოლიოზი“. მოსწავლეები უკვე აქვთ გარკვეული წარმოდგენა ხერხემლის გამრუდების მიზეზების შესახებ. არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იღრმავებენ ცოდნას და ქმნიან საინფორმაციო ბუკლეტს.
მოსწავლეთა ნაშრომების შეფასების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გათვალისწინებით, რომელის უზიარდება პედაგოგიურ საბჭოს, ხდება კურიკულუმის ცვლილება და გადაიხედება მეთოდოლოგია აქტივობებისა და რესურსების ნაწილში. 2022 წლის პირველი სემესტრიდან დაინერგა კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების თვითშეფასების კითხვარი, რომელიც ივსება კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ და მისი შევსებისას მასწავლებელი აანალიზებს სწავლების პროცესს, გამოკვეთს საჭიროებებს და მისი გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო კომპლექსურ დავალებას „ახალი სკოლის მოდელის” ფარგლებში განხორციელებული სასკოლო პრიორიტეტული პროექტების მიგნებები ყოველთვის არის მომდევნო პროექტის ინიცირების და იდეების გენერირების საფუძველი. მაგალითად, 2020-2021 წელს განხორციელებულ იმ პროექტმა „განმავითარებელი შეფასება მოსწავლის კეთილდღეობისათვის”, გამოავლინა ახალი შეფასების სისტემის შედეგების ანალიზის ფორმების შემუშავების საჭიროება. ეს გახდა საფუძველი 2021-2022 სასწავლო წლის პრიორიტეტული სასწავლი პროექტის თემის ჩამოყალიბებისათვის „სასწავლო პროცესის ანალიზი მოსწავლის კეთილდღეობისათვის”, ქოუჩინგის შედეგად საგნობრივმა კათედრებმა აირჩიეს მასწავლებლის პრაქტიკის და მოსწავლის მიღწევების მონიტორინგის სასურველი მოდელები და მომავალი სასწავლო წლიდან მონიტორინგი განხორციელდება ამ ფორმით.

მათემატიკა

წინარე ცოდნის გააქტიურება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი და არსებითია, რადგან ის ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში რათა აქტიური შემოქმედებითი მსვლელობას ჰქონდეს ადგილი ამისთვის სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებასა და მის ანალიზზე დაფუძნებით, არსებული გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, იგი თვლის, რომ კურიკულუმების დანერგვისას შექმნას 2023–2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. აქვე ავღნიშნავ, რომ გასაუბრებაზე გამოიკვეთა მოსაზრება, ახალ მასალაზე გადასასვლელად მათემატიკის მასწავლებელი იკვლევს მოსწავლის წინარე ცოდნას, სხვადასხვა საშუალებით ეს შეიძლება იყოს ქვიზი, ზეპირი გამოკითხვად და სხვა გასავითარებელი საკითხების დადგენის შემდეგ აქცენტი მის დაძლევაზე კეთდება რადგან გააზრებული აქვთ რაოდენ მნიშვნელოვანია მათემატიკაში ახალი ცოდნის კონსტუირებისათვის მოსწავლის ჩართულობა.

სახელმწიფო ენა

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

უცხო ენა

მომავალი სასწავლო წლისთვის, უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში, სკოლას გაანალიზებული აქვს წინა წლის კურიკულუმები და ამის საფუძველზე არის შედგენილი ახალი კურიკულუმი. ვიზიტის დროს, სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას, გამოირკვა, რომ სანამ დაიგეგმება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები, მოსწავლეებს უტარდებათ სადიაგნოსტიკო წერა, იმის გამოსარკვევად თუ რომელი სასწავლო თემები დაძლიეს და რაში აქვთ გამოწვევები. ასევე, ხდება მოსწავლეების გამოკითხვა ონლიან ფორმით და მათი უკუკავშირი გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებლები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით, აანალიზებენ თუ როგორ გაართვეს თავი მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებს და საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით არჩევენ კომპლექსური დავალების პირობებს კურიკულუმში შესატანად.

სპორტი

ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგი ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი. სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში მაფიქრებინებს, რომ სკოლკას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
2. კათედრების სხდომის ოქმები
3. შეფასების ფორმები

4. USAID საგაკეთილო დასწრების პროგრამა.
5. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მოსწავლეთა შეფასების სისტემა,
6. პროფ ორიენტაცია (მოსწავლეთა პროფესიული არჩევანის გაკეთების მიზნით)
7. მოსწავლეთა ნამუშევრები
8. კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
9. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
10. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
11. კათედრის ოქმი, გადაწყვეტილება
12. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
13. პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
14. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
15. საგნობრივი კურიკულუმები.
16. სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
17. სკოლის სასკოლო პროექტები
18. სკოლის მასწავლებლთა პორტფოლიო;
19. განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები (ინგლისური, რუსული, გერმანული)
20. ადაპტირებული კომპლექსური დავალებები (ინგლისური, რუსული, გერმანული)
21. კონფესიასწავლო რესურსები საგანი - “ მე და საზოგადოება “

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები დიდი ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. ქმნიან მოსწავლეზე ორიენტირებულ სასავლო გარემოს, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება - შენება. პედაგოგი ამ პროცესში ასრულებს ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სწავლა-სწავლების პროცესს ამდიდრებენ
რესურსებით, კოგნიტური სქემებით, ასოციაციური რუკებით და ა.შ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკითხის კრიტიკულად გააზრებაში და ასევე შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. სთავაზობენ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი. მაგალითად, მოიფიქროს ამოცანა ან რიცხვითი გამოსახულება, აქ შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი.
სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები (მაგ.“minecraft-ის, Power Point-ის ან Story Jumper-ის გამოყენებით წყლის შემადგენლობის, ფიზიკური თვისებებისა და მოლეკულებს შორის არსებული კავშირების გამოსახვა“, „Phet ის სიმულაციისა და ეკრანის ჩამწერი პროგრამა screen recorder- ის გამოყენებით ატომის მოდელის შექმნა და დახასიათება პერიოდულ სისტემაში მისი მდებარეობის გათვალისწინებით“, „სითხეში დენის გავლის პროცესის კვლევა“და ა.შ, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.
სკოლაში მუშაობს ახლგაზრდა მკვლევართა კლუბი. მოსწავლეები თავად ატარებენ ექსპერიმენტებს, იკვლევენ სხვადასხვა მოვლენას, აკეთებენ დასკვნებს. მუშაობენ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ინაწილებენ მოვალეობებს.

კლუბური მუშაობა აძლიერებს ინტერესს საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ, ხელს უწყობს კვლევის, კომუნიკაციის, პრეზენტაციის, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. სკოლაში მუშაობს, აგრეთვე, STEM კლუბი- „STEM-პროექტების მოდელირება და კონსტრუირება"

კლუბის მიზანია: მოსწავლეთა დაინტერესება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ტექნოლოგიების, მათემატიკის და საინჟინრო (STEM) საკითხებით, მოსწავლეთათვის STEM საგნების სწავლის მოტივაციის ამაღლება, მოსწავლეთათვის ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე ღია კომპიუტერული პლატფორმა ARDUINO UNO-ს გამოყენებით ციფრული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამირების საფუძვლების სწავლება და სიმულატორების საშუალებით ინოვაციური პროექტების განხორციელება მოდელირება-კონსტრუირების გამოყენებით,
კლუბში მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, სააზროვნო, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების წარმოჩენას განვითარებას.

მათემატიკა

მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესებში ჩასარტავად სკოლა იყენებს კომპლექსურ დავალებებს, ამ ტიპის დავალებებში ისეა გაწერილი მოსწავლის შესაქმნელი პროდუქტი, რომ მოითხოვს მისგან კრიტიკულ აზროვნებას, ახალი იდეების ძებნას რომელიც პრობლემის ორიგინალურად გადაწყვეტის საკითხებს ემსახურება, ამის შემდგომ ის წაროადგენს თავის ნაშრომს და აუდიტორიის წინაშე აკეთებს პრეზენტაციას, მნიშვნელოვანია ამ პროცესებში, მოსწავლე ისმენს თავის თანაკლასელის პასუხებს და თავად აკეთებს გადაფასებას თავისი ნაშრომის რაც სწავლის-სწავლაში ეხმარება. ასეთი პროცესებიდან გამომდინარე მოსწავლე სიღრმისეულად იაზერბს სამიზნე ცნებებს აკეთებს დასკვნებს რა დროსაც ყურადღებას აქცევს წინარე ცოდნას და გამოცდილებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებას სასწავლო პროცესში, სადაც ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსაც, რაც დამიდასტურეს პედაგოგებმა გასაუბრების დროს,

სახელმწიფო ენა

კათედრის მიერ საფეხურის დონეზე წარმოდგენილი კურიკულუმები ჩარჩოების გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას მასწავლებლები გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ავტორიზაციის თვითშევასების კითხვარში მიუთითებენ, რომ ამისთვის გეგმავენ პროექტული სწავლების გაძლიერებას.

უცხო ენა

საბაზო საფეხურის კურიკულუმში ჩადებულია კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, სასწავლო პროცესში გამოავლინოს ფიქრის, ძიების, მსჯელობის, აღმოჩენა-მიგნების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების უნარები. მოსწავლეს უვითარდება თანამშრომლობითი სწავლის კულტურა, თავადაც გასცემს და იღებს უკუკავშირს თანატოლებისთვის, ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას.

კომპლექსური დავალების შესრულების ფარგლებში, მოსწავლეებს მოეთხოვებათ სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა, როგორიცაა, მაგალითად, პოსტერის დახატვა, ვიდეო რგოლის და პრეზენტაციის მომზადება, საოჯახო ალბომი და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები აამაღლებს მოსწავლეების მოტივაციას და ხელს შეუწყობს მათი შემოქედებითი უნარების გააქტიურებას.

როგორც ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეები დიდი ინტერესითა და ხალისით იღებდნენ მონაწილეობას კომპლექსური დავალებების შესრულებაში. მოსწავლეებს შექმნილი აქვთ არაერთი საინტერესო პროდუქტი. უცხო ენების კათედრამ წარმოადგინა მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც წარმოაჩენს, რომ სკოლაში არსებობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართვის დამკვიდრებული პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმს.

შეესაბამება ;

2. ბუნებისმეტყველება

კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. მაგ. ბიოლოგიაში მასწავლებელი მე-7 კლასელ მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებას „მიკროორგანიზმები ადამიანის სამსახურში“ რომელიც ეყრდნობა კონტექსტ-მაგალითს: „რთველს მოყვება ყურძნის გამოწურვა და ღვინის დამზადება,სხვადსხვა დღესასწაულებს -ტრადიციული ხაჭაპურის ცხობა,რომელსაცჭირდება ამოფუებული ცომი...“

არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იღრმავებენ ცოდნას მიკროორგანიზმების მნიშვნელობის შესახებ და ასრულებენ კომპლექსურ დავალებას.

წინარე ცოდნის გამოსავლენად პედაგოგები იყენებენ გრაფიკულ მაორგანიზებლებს, შესასვლელ ბილეთებს, სიტყვის ვერბალურ და ასოციაციების რუკას, ვარაუდების ღრუბელს და სხვა. ამგვარად დაგეგმილი სასწავლო პროცესი მასწავლებლებს ეხმარება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გამოვლენაში, მიღებულ ინფორმაციას იყენებენ მომდევნო ნაბიჯების დასაგეგმად. ტარდება ინტეგრირებული სადიაგნოსტიკო ტესტები სამივე საბუნებისმეტყველო საგანში. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასების

ანალიზის, საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გათვალისწინებით, რომელსაც უზიარებენ პედაგოგიურ საბჭოს , შეაქვთ ცვლილებები აქტივობებისა და რესურსების ნაწილში.

მათემატიკა

მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი მე-7, მე-8, მე-9 კლასებში განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი ზრუნავს სასწავლო პროცესი ააგოს, სადაც მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მოახდინონ ახალი ცოდნის აგება კონსტრუირება, ამას მოწმობს საკითხთა კლასტერის იერარქია სადაც საკითხები დალაგებულია სირთულის მიხედვით, თემების განაწილება როდესაც პირველ ეტაპზე შეისწავლება რიცვები და შემდეგ ალგებრის საკითხები, ასევე გასაუბრებაზე გაოითქვა მოსაზრება, კათედრა გასცემს რეკომენდაციებს სადაც უპირველესად ახალი მასალის ახსნამდე უნდა მოხდეს წინარე ცოდნის გააქტიურება სხვადასხვა ფორმით როგორიც არის ზეპირი დიალოგი მოსწავლეებთან, წერილობითი დავალების მიცემა და სხვა თუ გამოიკვეთება საკითხთან მიმარტები მოსწავლის სუსტი აკადემიური მზაობა მასწავლებელი უბრუნდება თავიდან ცოდნის განმტკიცებამდე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ახალი კომპლექსური დავალებები (შუალედური მიზნები) , რომელიც დაგეგმილია მომდევნი სასწავლო წლისთვის, ხორციელდება წინარე ცოდნის დაფუძვნებით. მასწავლებლებმაც აღნიშნეს გასაუბრების დროს რომ აქტიურად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს სასწავლო პროცესში, რაც დაადასტურეს მოსწავლეთა გადმოგზავნილი პროდუქტებით..

სახელმწიფო ენა

მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სარეკომენდაციო თემების ფარგლებში. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით.

უცხო ენა

სკოლის მიერ შემუშავებულ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, სასწავლო თემები მოსწავლეებისთვის ნაცნობ შინაარსებსა და კონტექსტებთან არის დაკავშირებული, რომელიც მოსწავლეს წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში დაეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერსები.

სკოლა ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და მას განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები, რომლის დასტურადაც სკოლას გადმოგზავნილი აქვს აქამდე განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს, იკვეთება, რომ საკვანძო შეკითხვები, მოსწავლეებს წინარე ცოდნის გააქტიურებაში ეხმარება.

ვიზიტის პროცესში, უცხო ენების კათედრამ წარმოადგინა რამდენიმე რესურსი, (power point-ის პრეზენტაციები; ონლაინ რესურსი), რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ მოსწავლეების წინარე ცოდნის გასააქტიურებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს.

შეესაბამება ;

3. ბუნებისმეტყველება

თემატურ მატრიცებში წარმოდგენილია კითხვები: რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან? ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარები. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობენ ხარვეზების გამოსწორების გზებზე.

მათემატიკა

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი და მოწოდებული თემატური მატრიცის ანალიზიდან იკვეთება სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლზე. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში გვაქვს აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებისგან მოითხოვს თავიანთი სწავლის პროცესის რეფლექსიას ანუ დაფიქრებას იმაზე, რამდენად კარგად შეასრულეს სამუშაო, რა დაბრკოლებას წააწყდნენ დავალებაზე მუშაობისას, რას შეცვლიდნენ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას და მსგავსი. ასევე გასაუბრებაზე ისაუბრეს პედაგოგებმა და აღნიშნეს რომ მოსწავლეებს ხშირად აძლევენ ისეთ დავალებებს სადაც საჭიროა დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, შემდეგ დამუშავე და საინტერესო ფორმით წარმოდგენა, აქ მოსწავლეებს უწევთ საკუთარი მამუშევრის კრიტიკული შეფასება, ახალი მიგნებების გაკეთება ამოხსნის მეთოდების დახვეწა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესში ძირითადი აქცენტი კეთდება სწავლის სწავლების ხარისხის ამაღლებაზე.

სახელმწიფო ენა

მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.

უცხო ენა

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელთა საეტაპო აქტივობებიც და წარდგენის ეტაპიც გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. უცხო ენებში, განხორციელებულ მატრიცებში, კომპლექსური დავალების პრეზენტაციასთან დაკავშირებით, ჩამოთვლილია შეკითხვები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს მეტაკოგნიტური უნარების (სწავლის სწავლა) განვითარებაში, რადგან მას უწევს რეფლექსიის გაკეთება შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სკოლაში ამ მიმართულებით დამკვიდრებული სასწავლო პრაქტიკა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ უცხო ენების სწავლების პროცესში, სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმს.

შეესაბამება

4. **ბუნებისმეტყველება**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს.
წინარე ცოდნის გააქტიურების დროს აქცენტი კეთდება დეკლარატიულ ცოდნაზე, ამისთვის უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა მაორგანიზებელ სქემას. პრაქტიკული სამუშაოები შეესაბამება პროცედურებს, რომლებიც მოქმედებების

განხორციელების საშუალებას იძლევა. პროცედურული ცოდნა უპასუხებს შეკითხვას: როგორ განვახორციელო? დინამიკური ხასიათისაა და მოქმედებათა განხორციელების საშუალებას იძლევა. პირობისეული ცოდნა აერთიანებს დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნას და გულისხმობს ტრანსფერს ცხოვრებაში.
სწავლებისას გამოყენებულია პროექტებით სწავლებაც, რაც ასევე ხელს უწყობს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებას.

მათემატიკა

ცოდნათა სამ კატეგორიის მნიშვნელობაზე კათედრამ ისაუბრა შეხვედრაზე და აღნიშნა, რომ ისინი შემაჯამებელ ტესტს აგებენ ისე რომ მოხდეს ფაქტობრივი ცოდნის გახსენება რაც ძირითადად ტერმინოლოგიის გახსენებას, ინფორმაციის მიზნობრივ დასახელებას გულისხმობს ასევე ფორმულის ჩაწერა, წესის გახსენება, ხოლო პროცედურული ცოდნისათვის მის გამოყენებაზე გააკეთეს ყურადღება მაგ; როგორ ახდენს მოსწავლე გამოსახულების გამარტივებას, რა კანონზომიერებებს ამჩნევს საკითხებს შორის, ამის შემდგომ მოხდეს საკითხის ტრანსფერის უნარით სხვადასხვა სამეცნიერო დარგში გამოყენების უნარების განვითარება. ამ პროცესებში ასევე მნიშვნელოვანია გამოიყოს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესები რომელიც წარიმართება ცოდნათა სამი კატეგორიის გააქტიურების ხარჯზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

დაგეგმილი კურიკულემები, მოწმობს იმას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

სახელმწიფო ენა
წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). მასწავლებელთა პორტფოლიოებში ასახული მოსწავლეთა შესრულებული კომპლექსური დავალებებიდანაც იკვეთება, რომ
სასწავლო პროცესი ააქტიურებს სამივე სახის ცოდნას.

უცხო ენა
კომპლექსური ტიპის დავალებები არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები, დაწყებით საფეხურზე, ითავლისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გაპრაქტიკებას, უცხო ენების შესწავლის პროცესში. სკოლას, ამ მხრივ, გააჩნია გარკვეული გამოცდილება, რის დამადასტურებლადაც მას წარმოდგენილი

აქვს უცხო ენებში განხორციელებული, კომპლექსური დავალებების მატრიცები, შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

შეესაბამება ;

5. **ბუნებისმეტყველება**

კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. იგივე როლს ასრულებს პროექტული სწავლებაც. მაგ. სკოლის ბლოგზე წარმოდგენილია განხორციელებული პროექტები: STEM პროექტი „მცენარის კვება - ფოტოსინთეზი“, „კვება და კვების მნიშვნელობა, „მავნე ნივთიერებების ზემოქმედება“, “დიფუზია სამზარეულოში” და ა.შ. ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და დაკავშირებას.

მათემატიკა

კომპლექსური დავალების ნიმუშიდან ჩანს მასწავლებელი ახდენს მკვიდრი წარმოდგემების ფარგლებში მოსწავლის სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით საერთო ხედვის ჩამოყალიბებას ,რომელიც შემოქმედებით პროდუქტში მკაფიოდ არის ასახული.ამასთან გასაუბრებაზე აღინიშნა რომ მასწავლებლები გაკვეთილზე ინტენსიურად ახდენენ წინარე ცჰდნის საშუალებით გააქტიურონ ახალი ცოდნა და მოახდინონ თემის ფარგლებში ახალი იდეების გენერირება ,რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ფუნქციურ კომპონენტური უნარის გააქტიურობას და მათემატიკის გამჭოლ კომპეტენციაზე გასვლას,რაც თავის მხრივ მოსწავლეს ეხმარება ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში,მათ შორის სხვადასხვა საგნებში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას,ამის კარგი მაგალითია სკოლაში ფუნქციონირებადი სტემ კლუბი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რითაც დასტურდება რომ პედაგოგებს გახორციელებული აქვთ კომპლექსური დავალებები, გრძელვადიანი სასწავლო მიზნებისკენ მიმავალი შუალედური სასწავლო მიზნები. სკოლა აქტიურად ახორციელებს მონიტორინგს, წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც მოცემულია დოკუმენტებში.

სახელმწიფო ენა

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

უცხო ენა

მოსწავლეების ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლო კურიკულუმები. საბაზო საფეხურის, უცხო ენების კურიკულუმებში, სასწავლო საკითხები ისე არის გაწერილი, რომ გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიეთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები. იმისთვის, რომ მოსწავლემ გარკვეული კავშირები დაამყაროს ცოდნასა და საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასათან, მას მოუწევს ფიქრი პრობლემასა თუ გამოწვევებზე და შესაბამისი ცოდნის თავმოყრა. კომპლექსური ბუნების დავალებები ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, შესაბამისად, მოსწავლე გააქტიურებს სხვადასხვა ცოდნას და ერთმანეთს დაუკავშირებს. საბაზო საფეხურის, უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმებში, წარმოდგენილია კოპლექსური დავალების პირობები, რომელთა ფარგლებში მოსწავლეები შექმნიან ბუკლეტებს, პოსტერებს, გააკეთებენ პრეზენტაციებს და სხვა. ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიეთდაკავშირებას. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმს.

შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
2. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
3. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
4. კათედრის ოქმი, გადაწყვეტილება
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
6. პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.
7. სასკოლო სასწავლო გეგმა;

8. სასწავლო რესურსი
9. დაწყებითი, საბაზო და საშუალოსაფეხურის უცხო ენების კურიკულუმები
10. უცხო ენებში განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები
11. მოსწავლეების ნამუშევრები;
12. Power point-ის პრეზენტაციები (წინარე ცოდნის გასააქტიურებლად);
13. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები
14. ბლოგზე: http://33skola.blogspot.com/ განთავსებული პროექტები
15. კლუბები და წრეები
16. მოსწავლეთა ნამუშევრები
17. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მოსწავლეთა შეფასების სისტემა,
18. პროფ ორიენტაცია (მოსწავლეთა პროფესიული არჩევანის გაკეთების მიზნით)
19. შეფასების ფორმები,
20. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
21. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის სასკოლო პროექტები
22. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის მასწავლებლთა პორტფოლიოები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბუნებისმეტყველება

. სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში გრძელვადიან მიზნებად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები (საკითხთა კლასტერი), რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. უმეტეს შემთხვევაში გამოკვეთილია ქვეცნებები, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან. მაგ. ბიოლოგიაში საკითხის „ენდოკრინული სისტემა“ შესწავლისას მუშავდება ქვეცნებები- შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების სტრუქტურა და ფუნქცია, მეტაბოლიზმი, ზრდა-განვითარება, ჰომეოსტაზი, პრევენცია. მოცემული ქვეცნებების დამუშავება ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე (სტრუქტურა და ფუნქცია, სასიცოცხლო თვისებები, ჯანმრთელობა და დაავადება) და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. ქიმიაში საკითხის „არაორგანული ნაერთების თვისებები“ შესწავლისას მუშავდება ქვეცნებები- მეტალები, არამეტალები, ოქსიდი, ფუძე, მჟავა, მარილი, ნეიტრალიზაციის რეაქცია, წვა, ჟანგვა, ვალენტობა, კოვალენტური ბმა, მეტალური ბმა, იონური ბმა. მოცემული ქვეცნებების დამუშავება ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე (ნივთიერება, ფიზიკური და ქიმიური მოვლენები, ქიმიური ბმა) და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას.

კომპლექსური დავალებების ანალიზის შედეგად იკვეთება საგნობრივი საჭიროებები, რომლებიც პედაგოგებისთვის გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს მომდევნო სასწავლო წელს იმავე კომპლექსური დავალების განხორციელებისას. ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს რომელმა აქტივობამ იმუშავა მოსწავლეებისთვის კარგად კონკრეტული მკვიდრი წარმოდგენების გასათავისებლად და რომელმა - ნაკლებად. ამ პროცესში დაწყებით საფეხურზე ასევე მნიშვნელოვანია მშობლის მხარდაჭერა და მათგან მიღებული უკუკავშირი. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ბარათი, რომელსაც წელიწადში სამჯერ ავსებს

განმავითარებელი უკუკავშირის მიღების შემდგომ. მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალური საუბრებისას ნათლად იკვეთება, რა კუთხით ესაჭიროებათ მოსწავლეებს დახმარება კონკრეტულ შედეგზე გასასვლელად.
2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმიც, სწორედ გასული წლის ანალიზის შედეგად დაიგეგმა და შეირჩა ისეთ საგნობრივი საკითხები და კომპლექსური დავალებები, რომლებიც მაქსიმალურად იძლევა შესაძლებლობას, დაფაროს საგნის ყველა სამიზნე ცნება.

მათემატიკა

მოწოდებულ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ იკითხება, რომ სკოლა ზრუნავს დაგეგმოს სასწასვლო პროცესი ისე, რომ გათვალისწინებული იყოს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევი ღონისძიებები ამისათვის გამოყოფილია ყველა თემაში, სამი სამიზნე ცნება: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. უნდა აღინიშნოს რომ გასაუბრებაზე ასევე გამოითქვა მოსაზრება, მოსწავლის პროგრესს დააკვირდებიან თენიდან, თემაში სამიზნე ცნებასთან მიმარტებით მოსწავლის წინსვლას. აქვე ავღნიშნავ მოწოდებული შეფასების კრიტერიუმები, არის მკვიდრი წარმოდგენების მოთხოვნათა გათვალისწინებით შედგენილი და ასახავს საკითხებთან მიმართებით მისაღწევი პროცესების ერთობლიობას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

როგორც გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს სკოლა აქტიურად ახორციელებს და სამომავლოდაც დაგეგმილი აქვს, კურიკულიმებში არსებული თემებით, კომპლექსური დავალებების განხორციელების კონტსტივისტული მიდგომა. რასაც ადსტურებს სასკოლო კურიკულუმებში ე.ს.გ. თემების მიხედვით ჩაშლილი საკითხების და კომპლექსური დავალებების კონსტრუქტივისტულ მიდგომას.

სახელმწიფო ენა

-თვითშეფასების და გასაუბრების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი

კურიკულუმი, მეორე მხრივ,რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ ,რომ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. საბაზოს საფეხურზე გასათვალისწინებელია სავალდებულო თემატური ბლოკისა და ნაწარმოებების საკითხი.

უცხო ენა

საბაზო საფეხურის, უცხო ენების, საგნობრივ კურიკულუმებში, სამიზნე ცნებები, ძირითადად სრულყოფილად არის წარმოდგენილი, ხოლო მასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრ წარმოდგენებთან ერთად, განვრცობოლია იმ თავებში, რომლებშიც მასწავლებელს მოაზრებული აქვს კომპლექსური დავალების განხორციელება. სასწავლო თემები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, უცხო ენებისთვის გათვალისწინებულ სარეკომენდაციო თემებს.

თუმცა, რუსული ენის მერვე კლასის კურიკულუმში, სამიზნე ცნებები საერთოდ არ იყო მითითებული პირველიდან მეშვიდე თავის ჩათვლით. მერვე თავის შემდგომ კი სამიზნე ცნებები ჩაწერილია. ვიზისტის განმავლობაში, სკოლამ გამოასწორა ეს ხარვეზი და წარმოადგინა განახლებული კურიკულუმი.

სამიზნე ცნებებს, სასწავლო საკითხებს, დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებსა და განხორციელებისთვის აუცილებელ რესურსებს შორის კავშირი კარგად არის დანახული. სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ ინდიკატორს.

სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ მასწავლებელმა სასწავლო პროცესი, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, გაიაზროს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კონტექსტში და შესაბამისად განახორციელოს სასწავლო პროცესში ამას ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კურიკულუმებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ე.ს.გ შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოებში ნათლად ჩანს ყველა თემის კავშირი სამიზნე ცნებასთან.

2. ბუნებისმეტყველება

სწავლის პროცესი ორიენტაცირებულია შემდეგ კომპეტენციებზე: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს მოუწევს შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს პატივისცემა სხვების აზრის მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა და აიღოს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე.

მათემატიკა

წარმოდგენილი კურიკულუმიდან და კათედრის ოქმიდან ირკვევა, რომ კათედრა ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს და დიდ დროს უთმობს პროექტებით სწავლებას, პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საკითხები, იდეები და პირობები ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას. ამ პროდუქტზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები, სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

დაგეგმილი კურიკულუმი ემსახურება მოსწავლეების პიროვნული განვითარების უნარებს, ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობის საგნებში,

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში იკითხება ზოგადი ხედვა, საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომაგენელების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელ ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მასწავლებლები იყენებენ პერსონაჟის სკამი, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების კითხვას, ფილმების ჩვენებას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. გარდა ამისა, სკოლა იყენებს როლური თამაშებს, პრეზენტაციებს, სხვადასხვა პროდუქტის შექმნას, სიტუაციურ მაგალითებს. აღნიშნული ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში.

უცხო ენა

საბაზო საფეხურის, როგორც პირველი, ისე მეორე უცხო ენების საგნობრივ კურიკულმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად: მუსიკა, ოჯახი, პროფესიები, სასკოლო ცხოვრება, ქალაქი, მოზარდების პრობლემები სხვა). ასეთ თემებზე მუშაობა, მნიშვნელოვანია მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის. კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც კურიკულუმებშია ჩადებული, ხელს შეუწყობს

მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მათ შესაძლებლობა მიეცემათ, სხვადასხვა დავალების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე.

სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს, რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მაგ: სასკოლო ფესტივალი, კედლის გაზეთი, ლაშქრობა მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ პარალელურ კლასელებთან.ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. სპორტის საგანი სწორედ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითიარბელელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

შეესაბამება ;

3. **ბუნებისმეტყველება**

მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლაში დანერგილია კომპლექსური დავალების შეფასების მეორე მოდელი რომელიც გულისხმობს განმავითარებელი შეფასების გაძლიერებას. მასწავლებელი მიმდინარე შეფასებებს ახორციელებს კომპლექსური დავალების მსვლელობის პროცესში, როდესაც ის სხვადასხვა ტიპის აქტივობებში (კითხვების დასმა, იდეების გენერირება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, პრობლემის დანახვა, როლური თამაში) რთავს მოსწავლეებს. ხოლო შემაჯამებელ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას მასწავლებელი იძლევა კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ. შემაჯამებელ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას მასწავლებლები გასცემენ იმდენჯერ, რამდენ კომპლექსურ დავალებასაც ახორციელებენ სასწავლო წლის მანძილზე. განმავითარებელ შეფასებას გასცემს როგორც ზეპირი, ასევე წერილობით ფორმით. სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეებს აძლევენ ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ჰოლისტურ შეფასებას წელიწადში 3-ჯერ, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მშობლებისთვის. ჰოლისტური შეფასება დაფუძნებულია მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების, ცოდნის ათვისების პროცესის და მისი ფუნქციურად გამოყენების უნარების შეფასებაზე.

წერილობითი და ზეპირი განმავითარებელი შეფასებები მიმართულია მოსწავლის სხვადასხვა უნარის განვითარებაზე. ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრწმენის და შინაგანი მოტივაციის გაძლიერებას და მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.
კომპლექსური დავალების პირობის გაცნობისას მოსწავლეები ეცნობიან შეფასების რუბრიკას, რითაც მათთვის ნათლადაა ფორმულირებული, თუ რის მიხედვით მოხდება მათ შეფასება, რა უნდა გაითვალისწინონ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ამ პროცესს სკოლა წარმართავს Teams-ის პლატფორმის საშუალებით, სადაც კომპლექსური დავალების პირობასთან ერთად იტვირთება შეფასების რუბრიკაც.

მათემატიკა

ჰოლისტური შეფასების დანერგვის უკეთ წარმოსაჩენად სკოლამ მოგვაწოდა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სადაც ჩანს, რომ მნიშვნელოვანია მოხდეს მრავალმხრივი ანალიზის გაკეთება მოსწავლის მიღწევებისა რათა მისი შედეგები იყოს გაუმჯობესებული, სკოლა სასწავლო პროცესში მეტ ყურადღებას უთმობს განმავითარებელ შეფასებას, კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება , ცოდნა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებების კუთხით, ვთვლი ,რომ მათემატიკის კათედრა გამოხატავს მზაობას გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები : დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს. ასევე გამოიკვეთა მზაობა შემაჯამებელი დავალების შეფასების ინდიკატორების მიზნობრივი გამოყენების შესახებ.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესში შეფასების სისტემას იყენებენ წარმოდგენილი დოკუმენტით, იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად განმავითარებელ კომენტარებს, რომელიც მოიცავს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნის შეფასებას

სახელმწიფო ენა

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. საბაზო საფეხურის, კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ბუნდოვანი დარჩა განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. ავტორიზაციის

თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. V-XII კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მკაფიოდ არ არის მითითებული, როგორ შეიმუშავებს კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნება იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშავონ.

უცხო ენა

კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იყენებენ უცხო ენებში (ინგლისური, რუსული და გერმანული ენები), ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო), კომპლექსური დავალების შესაფასებლად. როგორც განმავათარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, მოცემულია უცხო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებები, თავისი შედეგებით, აგრეთვე სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებსაც მოსწავლემ უნდა უპასუხოს. პედაგოგებმა, გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ამ რუბრიკებს იყენებენ მოსწავლის მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის. ინტერვიუს დროს, უცხო ენების მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ აკეთებენ მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებას ელექტრონულ ჟურნალში, რის დასტურადაც წარმოდგენილი აქვთ ელექტრონულ ჟურნალში, ჰოლისტური შეფასების ფოტო ასლები. მოცემული დოკუმენტაციის საფუძველზე, მთლიანობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

სპორტი

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცეში გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს შეფასების რუბრიკების შემუშავებაზე, რომელიც გაიწერება სამიზნე ცნებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მის კავშირს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებასთან.

შეესაბამება;

4. **ბუნებისმეტყველება**

წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ობიექტური, განჭვირვალე, ვალიდური და სანდოა. შეფასების რუბრიკებში ასახულია, რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების კრიტერიუმები. შეფასების სქემა მკაფიო და არაორაზროვანია შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს.

კომპლექსური დავალებების განხორციელების წინ მასწავლებელი მოსწავლეებს და მშობლებს (მშობლის ბარათების საშუალებით, იყენებს ელექტრონულ პლატფორმას Teams) აცნობს როგორც დავალების პირობას, ასევე შეფასების რუბრიკებსაც. აღნიშნული რუბრიკები იქმნება და იხვეწება კათედრის სამუშაო შეხვედრებზე. რუბრიკები საშუალებას აძლევს მოსწავლეს იცოდეს, რა კრიტერიუმებით შეფასდება ის. აღნიშნული პროცესით უზრუნველყოფენ, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური და გამჭვირვალე. სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასებას.

მათემატიკა

შეფასების მოქნილი სისტემის შესამუშავებლათ მათემატიკის კათედრამ იმუშავა ტრენინგის ფარგლებში და იქ შედგენილი სქემები შემდგომი განვითარების და მსგავლი ტიპის დავალება შესაფასებლად იმუშავებენ მოწოდებული სანიმუშო დოკუმენტის მიხედვით. ის ფაქტი, რომ შეფასების სისტემის შერჩევა ხდება ესგ-ზე დაყრდნობით, მას უფრო ვალიდურს ხდის. მაგალითისათვის, შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიმართულია გრძელვადიან მიზნებს ანუ ცნებებს ე.ი. ხდება მოსწავლის წინსვლის შეფასება გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამჭვირვარეობის კუთხით უნდა აღინიშნო, შეფასების რუბრიკის შექმნა მეტ-ნაკლებად ხდება გაკვეთილზე, მოსწავლეთა ჩართულობით რაც, მის სანდოობას ზრდის.

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციი თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.. მოსწავლემ წინასწარ იცის, თვითონაც მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. მოსწავლის წინსვლის საშუალებას ძირითადად ხდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. თუმცა კათედრის დონეზე მასწავლებლები კონკრეტული მტკიცებულებები ან დასაბუთება, როგორ და რა მეთოდიკური ორიენტირებით მოახდენენ შეფასების კონცეფციისა და მიდგომის შემუშავებას მკაფიოდ ვერ წარმოაჩინეს.

უცხო ენა

ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას აფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებთან. სკოლის ავტორიზაციის პროცესში ინტერვიუს დროს, უცხო ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებს ყველა საფეხურზე იყენებენ, როგორ პირველ, ისე მეორე უცხო ენაში. აღნიშნული რუბრიკების გამოყენება უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და ობიექტურობას უცხო ენების სწავლების პროცესში. შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

სპორტი

რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. მომზადებულია შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ აფასებს მასწავლებელი. ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა.

5. ბუნებისმეტყველება

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სხვადასხვა მექანიზმი. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე ადგენენ და განიხილავენ კომპლექსური დავალებების და აქტივობების შეფასების რუბრიკებს. კათედრების სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, რომლებიც თვითონ შეიმუშავეს და დანერგეს პრაქტიკაში. ამ პროცესში ჩართულია დირექცია და შეფასების ჯგუფი, რომლებიც გაკვეთილებზე დასწრებისას აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულ შეფასების ინსტრუმენტებს (ბორბალი, გამოსაძახებელი ჩხირები, თეთრი დაფა) და კეთდება ანალიზი, თუ რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული შეფასების რუბრიკებით მოსწავლემ შეძლოს შედეგების გაუმჯობესება და გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.
შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმით გათვალისწინებულია ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დამტკიცებული სადიაგნოსტიკო ტესტები, რომელიც ხელს უწყობს დაადგინოს მოსწავლეებში, რამდენად ფლობენ ისინი გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს. წლის ბოლოს თავიანთ ანგარიშებს წარმოადგენენ კათედრები და მასწავლებლები ყველა ჩატარებული შემაჯამებლების შემდეგ სკოლის ბლოგზე ტვირთავენ ანალიზსა და მოსწავლეების ნამუშევრებს საგნების მიხედვით, რომელიც განთავსებული და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის გაზიარებულ სივრცეში არსებულ პორტფოლიოში. სკოლაში წლის ბოლოს ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელზეც მოწვეული არიან სასკოლო საზოგადოების ყველა წევრები და ეცნობიან მოსწავლეთა მიღწევებს მთელი წლის განმავლობაში.

მათემატიკა

სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე საუბარი ძირითადად კატედრაზე მიმდინარეობა, აღინიშნა მათემატიკის მიმართულებით, შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად მიესადაგება მოსწავლეთა საჭიროებს. გამოიყენებენ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს, ქოუჩინგით გაკვეთილზე დაკვირვების და ანალიზის მეთოდს, შეიმუშავებენ წლის ბოლო შეფასებების აღრიცხვის და მშობელთა ინფორმირებისთვის მარტივ მაორგანიზებლებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები
სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემა.

სახელმწიფო ენა
ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. მათ საფუძველზე მასწავლებელი მუშაობის პროცესში აკადემიური თავისუფლების და მოსწავლეებისთვის წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი ამ პრინციპებს იცავს, როგორც წესი, იშვიათია უთანხმოება თუმცა, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეები და მათი მშობლებს აქვთ უფლება მიმართონ სკოლის დირექციას თუ მიაჩნიათ, რომ შეფასება არაადეკვატურია. დირექციის ფუნქციებიდან ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, თვალყური ადევნონ და საქმის კურსში იყვნენ კონკრეტულ კლასებსა და საგნებში შეფასების დინამიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართონ პრევენციულ ღონისძიებებს.

შეესაბამება;

6. **ბუნებისმეტყველება**

სკოლ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობიდან გამომდინარე არანაკლებ 3 წლის ვადით. ამისთვის სკოლაში შექმნილია ბაზა, სადაც ინახება მოსწავლეთა პორტფოლიოები.

მათემატიკა

ამ მიმართულები დოკუმენტურად დადასტურებული მტკიცებულება არ მომეპოვება, თუმცა სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, ახალი სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები
დოკუმენტაცია სკოლა უნდა ინახავდეს 3 წლის ვადით, რადგან მონიტორინგის განხორციელების პროცესში უნდა იყოს მტკიცებულების სახით, ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურისთვის.

სახელმწიფო ენა

სკოლაში არის მცდელობა გამოიყენონ განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. გასაუბრებისას გაჟღერდა, რომ ზოჯერ განმსაზღვრელი შეფასებით აფასებენ კომპლექსურ დავალებებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კათედრას სამუშაო აქვს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობით შეაფასების რუბრიკების ჩამოყალიბებაზე. (განსაკუთრებით, განმსაზღვრელი შეფასების კუთხით) კათედრის ხედვაში მეტნაკლებად ჩანს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის აღწერილობა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. ფასედება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. კათედრაზე ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები დამრიგებლებთა დახმარებით ხდება აკადემიური მიღწევების აღრიცხვა დ შენახვა.

შეესაბამება;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
2. სსსმ მოსწავლეების სამოქმედო გემე ინკლუზიური მიმართულებით
3. USAID.პროგრამა
4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
5. კათედრის ოქმები
6. ხარისხის უზრუნველყოფა
7. მოსწავლეთა ნამუშევრები (სურათები)
8. შეფასების ფორმები
9. არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია/ფოტომასალა;
10. საბაზო კლასების მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამა.
11. საშუალო კლასების მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამა.
12. უცხო ენებში განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები
13. კლუბები, წრეები- დანართი N10
14. Power point-ის პრეზენტაციები (წინარე ცოდნის გასააქტიურებლად);
15. კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;

16. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
17. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
18. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
19. პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

სასწავლო წლის დასაწყისში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სკოლაში ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება. სკოლისთვის პრიორიტეტია შექმნას მაღალი მიმღებლობის და მხარდამჭერი გარემო მოსწავლისათვის, რაც ჩანს სკოლის მისიაში. სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის შექმნილია მხარდაჭერასა და ურთიერთპატივისცემაზე ორიენტირებული გარემო. მოსწავლეები ინფორმირებულები არიან სკოლაში მოქმედი არაფორმალური სასწავლო-საგანმანათლებლო აქტივობების, წრეების, კლუბების შესახებ. შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მუშაობის გეგმები, ინდ. გეგმები. მოსწავლეებს აქვთ საშუალება ესგ სტანდარტით გათვალისწინებული არჩევითი

საგნებიდან აირჩიონ სასურველი საგანი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი ხელს უწყობს პოზიტიური და თანამშრომლობითი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებას.
სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა მხარდამჭერი ჯგუფები, სადაც მშობლის განცხადების საფუძველზე მოსწავლეებს მასწავლებლები უტარებენ დამატებით გაკვეთილებს მათი საჭიროებიდან გამომდინარე. თანამშრომლობითი კულტურის დანერგვის მიზნით, კათედრაზე აქტიურად აქვთ დანერგილი ურთიერთდასწრების გაკვეთილები. კათედრის წევრები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე. დამსწრე პედაგოგი ავსებენ კითხვარის ელექტრონულ ფორმას, გასცემენ და იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. აღნიშნულმა ხელი შეუწყო კოლეგებს შორის პოზიტიური და მხარდამჭერი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. სკოლაში შექმნილია მშობელთა კლუბი, რომელიც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სამუშაო ჯგუფები განიხილავენ თანამედროვე მიდგომებს სწავლებაში. უფრო ფართო საზოგადოებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით სკოლა ტრადიციულად/პერიოდულად მართავს, ფორუმებს, კონფერენციებს და ვორქშოპებს.

მათემატიკა

სკოლა ზრუნავს შექმნას ისეთი გარემო სადაც ყველა მასწავლებლის მოსაზრება იქნება გამოხატული, სკოლაში ურთიერთთანამშრომლობითი გარემოა, ამას მოწმობს კილეგებს შორის გამოცდილების გაზიარება, როგორიც არის მაგალითად ტრენინგზე მიღებული ცოდნის გაზიარება კათედრის წევრებისათვის. ასევე გაკვეთილებზე ურთერთ დასწრების კუთხით ხდება შედეგების ამაღლებაზე და ურთიერთმხარდაჭერაზე სამუშაოების წარმოება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები
სასწავლო პროცესი, როგორც შემუშავებული სასკოლო გეგმიდან, საგნობრივი კურიკულუმიდან ჩანს, სკოლაში იგრძნობა კოლეგებს შორის, კეთედრათა შორის თანამშრომლობის, კულტურის მაღალი დონე, რაც გასაუბრების შედეგებიდანაც ჩანს. სკოლაში იგრძნობა პოზიტიური გარემო, თანამდეროვე სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის სკოლა ააქტიურად იყენებს თანამედროვე მიდგომებს ტექნოლოგიების გამოყენებით.

სახელმწიფო ენა
სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უნდა უზრუნველყოფდეს.

შეესაბამება;

2. ბუნებისმეტყველება

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. ამის საუკეთესო საშუალებაა კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და პრობლემებს, რომელიც არა მხოლოდ პირდაპირ საგაკვეთილო პროცესთან არის დაკავშირებული. ხორციელდება ისეთი სასწავლო პროექტები, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის და ინტერესის ზრდას უზრუნველყოფს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე.
სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები კურიკულუმების შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ეფექტურად დაგეგმილი გაკვეთილები, კომპლექსური დავალებები, პროექტები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებები, რომლებიც მოსწავლეთა დაახლოებას, თანამშრომლობას, პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეს არ ეზღუდება აზრის გამოთქმის, არჩევანის უფლებები.

მათემატიკა

მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებისატვის სკოლაში მიმდინარეობს ისეთი მიმართულებით მუშაობა, როგორიც არის ინკლუზიური გარემოს შექმნა, სადაც მოხდება ინდივიდუალურად მოსწვლეთა საჭიროებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის აგება, გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ ტიპური განვითარების მოსწავლესთან მიმართებით იგეგმება, სხვადასხვა აქტივობები მათ შორის კომპლექსური დავალების მოდიფიცირება, სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებით ინდივიდუალური გეგმების შემუშავება სადაც სამიზნე ცნება მათთვის იუქნება უცვლელი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწაველეთა ინტერესები, სკოლაში გახსნილია საგნობრივი კლუბები , სადაც კათედრის წევრები აქტიურად მუშაობენ, საზოგადოების ინტრესებიდან გამომდინარე მონაწილეობას იღებენ უამრავ სასკოლო, სოციალურ და საერთაშოროსო პროექტებში, რასაც მოწმობს ატვირთული დოკუმენტები. სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებების მიდგომაზე.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე.

შეესაბამება;

3. ბუნებისმეტყველება

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. წლების განმავლობაში სასკოლო კულტურაში ჩამოყალიბდა თანამშრომლობითი კულტურის მაღალი დონე და ეფექტური კომუნიკაცია. საბაზო საფეხურის პედაგოგები უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას, ადგენენ კურიკულუმებს, მთელი წელი ერთობლივად მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე; ესწრებიან გაკვეთილებს ატარებენ სამოდელო გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს. სპეციალური ფოკუსირებული დაკვირვების ფორმის მეშვეობით ხდება ურთიერთდასწრება. სწავლის დონის ამაღლებისათვის და მოსწავლეების უნარის განვითარებისათვის სკოლის პედაგოგები ატარებენ საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევებს და მიღებულ გამოცდილებას იყენებენ საკლასო სივრცეში, უზიარებენ თანამშრომლებს. სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანი და ამოცანაა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფის გზით სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და სკოლის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის ჩამოყალიბებით მისი ავტონომიურობის გაძლიერების ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება.

სკოლა ყოველწლიურად აქტიურად არის ჩართული STEAM ფესტივალში, რომელიც ორიენტირებულია საგანთა შორის კავშირებისა და კათედრებს შორის თანმშრომლობის გაძლიერებაზე. ფესტივალზე მოსწავლეები მოწვეული სტუმრების და სასკოლო საზოგადოების წინაშე წარსდგნენ შესრულებული კომპლექსური დავალებებით.

მათემატიკა

კათედრის შეხვედრებზე მიმდინარეობს სწავლების პროცესების გაუმჯობესების თემაზე საუბრები, ხდება სხვადასხვა მოსაზრებების მოსმენა განხილვა და საერთო გადაწყვეტილებამდე მისვლა, ასევე აუცილებელია ინტერგირებული პროექტების, გაკვეტილების დანერგვას ამით უფრო განვითარდება სკოლაში თანამშრომლობითი გარემო და ხელი შეეწყობა მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებას, ტრანსფერის უნარების განვითარებას, სხვა საგნობრივი კათედრებთან თანამშრომლობის მიმართ გამოითქვა მკაფიო მოსაზრება სკოლაში გასაუბრების დროს, ასევე მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობითი პროცესი სპეციალურ მასწავლებელთა, დიფერენცირებული სწავლების გაძლიერების კუთხით ეწყობა მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

აღნიშნული დოკუმენტები და პედაგოგებთან გასაუბრება მოწმობს თანამშრომლობის კულტურას, რადგან კათედრებმა ერთად შეიმუსშავეს მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით კურიკულუმი და ერთად ნერგავენ სასკოლო აქტივობებს სასკოლო პროექტებში. პედაგოგები ზრუნავენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ მიდგომებზე, სწავლის და კლასების მართვის მიზნით აანალიზებენ დიანოსტიკურ მონაცემებს, ერთად გეგმავენ პრობლემური საკითხის გადაჭრის გზებს.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; თვითმმართველობასთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მისი თვითგანვითარებაში გეგმავენ მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება თემატურ მატრიცაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების გაანალიზების შედეგად.

შეესაბამება

4. ბუნებისმეტყველება

სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი. წახალისებულია თანამშრომლობა და თანასწავლება. სკოლაში სწავლა- სწავლება ინტერაქტიული ფორმით მიმდინარეობს. აქცენტი კეთდება მოსწავლეთა წარმატებებზე და არა მარცხზე, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას. სკოლისა და კლასის დონეზე უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო. მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობის მაღალი ხარისხის მისაღებად, საბაზო საფეხურის თითოეულ მასწავლებლის მიერ წახალისებულია სამოქალაქო აქტივობები და პროექტები, იმართება ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები, ადამიანის უფლებებისა და გენდერულ თანასწორობაზე მიმართული აქტივობები, რაც საერთო ჯამში ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ ზრდასა და ძირითადი ღირებულებების ჩამოყალიბებას.

მათემატიკა

სკოლაში პოზიტიური გარემო გავლენას ახდენს კლასის დონეზე მოსწავლეთა აკადემიურ შედეგების გაუმჯობესებაზე, ამისათვის სკოლას გააზრებული აქვთ, რომ დაწყებით კლასებში, მათ შორის მათემატიკის სწავლებისას მასწავლებლების დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პოზიტიურ სასკოლო თუ საკლასო კლიმატის ჩამოყალიბებას. ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა ისეთი ქცევების

გამტკიცებას, რომლებიც წარმატების მომტანია მათთვის და მუდმივად ხელს შეუწყობს ცხოვრებისეული გამოწვევების დაძლევას. სკოლაში შექმნილია ასევე მხარდამჭერი გარემო ხდება გაკვეთილზე ურთიერთდასწრება და პედაგოგიური პრაქტიკის დახვეწისათვის კონსტრუქციული უკუკავშირების მიწოდება ერთმანეთისათვის.

სახელმწიფო ენა

უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის კურიკულუმები
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
3. სკოლის შინაგანაწესი
4. სსმ მოსწავლეების სამოქმედო გემე ინკლუზიური მიმართულებით
5. USAID.პროგრამა
6. მოსწავლეთა მხარდაჭერა
7. კათედრის ოქმები
8. ხარისხის უზრუნველყოფა
9. სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
10. სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
11. სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც აღწერილია,…რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);

- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხდება კომპლექსური დავალებების ანალიზის საფუძველზე. ყველა კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ მასწავლებლები ახდენენ კომპლექსური დავალების ანალიზს და შედეგების გაზიარებას საგნობრივ კათედრებზე და. კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს ხარისხის ჯგუფი. მონიტორინგი და დაკვირვება თანმდევი პროცესია კურიკულუმზე მუშაობისთვის, სადაც დეტალურად და მოხდეს განხილვა შემუშავებული ცნებების, ქვეცნებების, საკვანძო შეკითხვების და დავალების პირობის. საბაზო საფეხურის პედაგოგები ყოველი გაკეთებული კომპლექსურის დავალების შემდეგ ბლოგზე ტვირთავენ კომპლექსური დავალების ანალიზს და მოსწავლეების ნამუშევრებს. სკოლაში მუშაობს მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის

დოკუმენტი, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია სსიპ ქ. ქუთაისის N33 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერი ჯგუფის მიერ სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობით. ჯგუფი შედგება სკოლის წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისაგანრომლებიც ზრუნავენ სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. წევრებს შორის მოვალეობების გადანაწილება ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მტკიცდება ოქმით. მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით.

მათემატიკა

კათედრა სისტემატურად ახორციელებს სასწავლო წლის განმავლობაში დაკვირვებას კათერის წევრებს შორის მიღებული შედეგების ანალიზისათვის. ამისათვის გამოიყენება შემაჯამებელი დავალებელის ანალიზის ფორმა, რომელიც სემესტრის ფარგლებში იძლევა სრულ სურათს კლასის დონეზე დაძლეული გამოწვევების შესახებ და რა საჭიროება დგას საგნობრივი მიმართულებით რათა განვითარდეს და აკადემიური შედეგები გაუმჯობესდეს მოსწავლეებში. ხდება ურთუიერთ დასწრება გაკვეთილზე, გამოიყენება კრიტიკული მეგობრის დახმარება, ეს ყოველივე ხელის შემწყობია, შეფასების ეფექტური მექანიზმების არსებობის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და გასაუბრების შედეგებიდა ჩანს, რომ კურიკულუმების შემუშავებას და სასწავლო წლის ბოლოს მოდიფიცირებას ახორციელებენ კათედრის წევრები, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.

სახელმწიფო ენა

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიოტირნგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოცენილი ხარვეზების მითითეხა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება.ს. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას.

შეესაბამება

2. ბუნებისმეტყველება

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. ის არის საუკეთესო

საშუალება პრობლემების იდენტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების მთავარი დანიშნულება არის სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა.

მათემატიკა

კათედრის წევრებს შორის გამოცდილების გაზიარების კუთხით, გაკვეთილზე დასწრების შედეგად მიღებული უკუკავშირების საფუძველზე გაიცემა კონსტრუქციული განმავითარებელი შეფასება დახმარების პროცესში ერთობლივად იგეგმება ქმედითი ნაბიჯები რომელიც გამოწვევის წინაშე მდგომ პედაგოგს საშუალებას აძლევს, რომ დაძლიოს გამოწვევები. ამისათვის შეიძლება გავლილი იქნას სავალდებულო ტრენინგები, ან სხვა კათედრის წევრთან კონსულტაცია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მონიტორინგი ხორციელდება როგორც ცალკეული საგნობრივი პედაგოგების მიერ, ასევე კათედრების მიერ მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგების საფუძველზე.

სახელმწიფო ენა

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს.

შეესაბამება.

3. ბუნებისმეტყველება

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით.

სასკოლო საზოგადოება შეიმუშავებს სხვადასხვა მეთოდს მოსწავლეთა განვითარებისათვის. დაბალი აკადემიური მოსწრების

მოსწავლეებისთვის შეიქმნა მხარდამჭერი ჯგუფები, სადაც მოსწავლეებს დამატებითი გაკვეთილები უტარდებათ საჭიროებისამებრ, მშობელთა თანხმობით. სასკოლო საზოგადოებამ, უფროსმა და წამყვანმა მასწავლებლებმა იკვლიეს საკუთარი და პედაგოგიური სასკოლო საჭიროებები. კვლევის მიგნებები მიმართულია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისაკენ და ატვირთულია სკოლის ბლოგზე. სკოლამ შეიმუშავა და დანერგა განმავითარებელი შეფასების სისტემა, რომელიც იძლევა საშუალებას შეფასება გახდეს ყოვლისმომცველი/ჰოლისტური. მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა ხდება, სწორედ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე. განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება ემსახურება პრობლემის გამოკვეთასა და შემდგომში გადაჭრის გზების ძიებას.

მათემატიკა

მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოკვეთილი გამოწვევები სასწავლო პროცესში, განიხილება პრიორიტეტის მიხედვით, რისთვისაც შემუშავდება ქმედითი ნაბიჯები რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიან მიზანზე შედეგიან ორიენტირებას და საშუალებას მისცემს მასწავლებელს დაინახოს მკაფიოდ პრობლემების გადაჭრის გზა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურუკულუმის მონიტორინგი-შეფასება განიხილება საზოგადოების მიერ, როგორც სასწავლო პროცესის შემაგდენელი ნაწილი.

სახელმწიფო ენა (საბაზო საფეხური)

კათედრებისა და ხარისხის მართვის ჯგუფის წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა. კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას.

შეესაბამება;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. ხარისხის მართვა
3. დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებში
4. ელექტრონული ჟურნალი

5. ხარისხის მართვა,
6. შეფასების სისტემა.
7. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
8. დაწყებითი კლასების კათედრის ოქმი;
9. კათედრის ანგარიში 2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. პრობლემების, გამოწვევების

შესახებ ინფორმაციის წყაროდ სკოლა მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრს. ინფორმაციის მოგროვების მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭროს გზების ძიება. ინფორმაციის მოპოვებას სკოლა გეგმავს სხვადასხვა წყაროს გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა.

მათემატიკა

სკოლაში გამოიყენება სხვადასხვა შეფასების რუბრიკები, მოწოდებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით შეიძლება ვთვათ რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს სხვადასხვა სახის შეფასების ინდიკატორები, მათ შორის შეიძლება იყოს ზეპირი შეფასება, სადიაგნოსტიკო შეფასება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესის შეფასებისას აუცილებლად შევაფასებ დადებითად რადგან სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესის შეხედულების შეაძლებლობების გათვალისწინება. სკოლას აქვს სრულყოფილად წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები (აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს პირველ ნაკადს) შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს როგორიცაა სასკოლო პროექტი, სასაწვლო პროექტი, კლუბები, წრეები, სოციალური პროექტები, სადამრიგებლო პროგრამები, კომფერენციები და ა. შ. რომელიც დასტურდება სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების დროს.

სახელმწიფო ენა

- გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. ასევე მიუთითებდნენ, რომ ინფორმაციას ღებულობენ მშობლისგან, დამრიგებლისგან. მასწავლებლებმა სათანადოდ დაასაბუთეს ამ სახის მიღებულ ინფორმაციას, როგორ გამოიყენებენ შეფასებისას.

შეესაბამება.

2. **ბუნებისმეტყველება**

ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს პედაგოგები მოსწავლის საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მიღებას გეგმავენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ.

მაგალითად მასწავლებელი საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გაითვალისწინებს ამავე დროს ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით: რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენადაა დაცული დიზაინი, რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით, რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული, ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. იგეგმება შეფასების რუბრიკების გადახედვა, დახვეწა, საჭიროებებზე უკეთ მორგება.

მათემატიკა

როგორ გასაუბრებაზე გამოიკვეთა მოსაზრება შეფასება ეყრდნობა მრავალ კონტექსტს მათ შორის კომპლექსური დავალების განხორციელების მომენტში ყურადღება მახვილდება, გამჭოლ გლობალურ ფუნქიურ ექვს უნარზე, ასევე საგნობრივ საკითხებთან დაფუძნებით გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, რომელიც მკვიდრი წარმოდგენების ფარგლებში ყალიბდება, ასევე შემაჯამებელი სამუშაოს საფუძველზე იწერება განმსაზღვრელი ქულა რომელიც თემის ფარგლებში აფასებს მოსწავლეთა მიღწევის დონეს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესის შეფასება საბაზო საფეხურზე სკოლის სასწავლო პროცესში ყველა საფეხურზე ეყრდნობა კომლექსურ დავალებებს, რომელიც შუალედური მიზანია და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ცოდნის სამივე კატეგორიისკენ მიემართება, სადაც კურიკულუმებში განხორციელებული აქტივობები მიემართება მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

სახელმწიფო ენა

მასწავლებელი საუბრობენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია

სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას სამუშაო აქვს.

შეესაბამება.

3. **ბუნებისმეტყველება ,**

ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა. ეს მათ საშუალებას მისცემთ, მრავალმხრივ დაინახონ და შეაფასონ პრობლემა. საბაზო საფეხურზე სკოლის სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და სწორი შეფასება მისი ეფექტური განხორციელების წინაპირობაა. სასკოლო საზოგადოების წინსვლა, სასწავლო დაწესებულების ავტორიტეტის ამაღლება მოითხოვს დირექციასა და პედაგოგებთან ერთად მშობელთა აქტიურ ჩართულობას. მონაცემთა შეგროვების მონიტორინგი გულისხმობს მონაცემთა შეგროვებას სხვადასხვა მეთოდით: (ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, ელფოსტის მეშვეობით ინტერვიუ, კითხვარები). (დანართი 23) მონიტორინგი ხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობისა და კომუნიკაციის საფუძველზე; პროცესში იხვეწება მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები; წესრიგდება დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
სასწავლო პროცესში მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგისთვის სკოლა რამდენიმე ინსტრუმენტს იყენებს. მაგალითად, Liveworksheets.com-ის ცოცხალი ფურცლები, რომლის საშუალებითაც შეიძლება შემოწმდეს რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი მასალა და რა კუთხით სჭირდებათ მეტი მუშაობა. მომავალშიც მონიტორინგი განხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობისა და კომუნიკაციის საფუძველზე; დაიხვეწება მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები; მოწესრიგდება დამადასტურებელი დოკუმენტები.

მათემატიკა

გასაუბრებაზე მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ შეფასების დაწერისათვის ისინი იყენებენ გაკვეთილზე დაკვირვებას, ქვიზებს, ასევე რიგ შემთხვევაში გამოიყენება სადიაგნოსტიკონ შეფასება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა მრავალფეროვანი მიმართულებები, რასაც გვიდასტურებს სკოლის მიერ ატვირთული დოკუმენტი 28 - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. სკოლა სრულყოფილად ახორციელებს ესგ-ით გათვალისწინებულ ყველა სასწავლო მეთოდებს, რომელიც მორგებულია სკოლის საჭიროებებზე.

სახელმწიფო ენა

კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. თუმცა, არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას „საკლასო წერის“ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის.

შეესაბამება;

4. **ბუნებისმეტყველება**

. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ მოახდინონ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. შეიმუშავონ მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი, მოახდინონ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებს, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ.

მათემატიკა

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გავლენას ახდენს ეფექტური განმავითარებელი შეფასება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული შაფასების რუბრიკებით. კომპლექსური დავალების შესრულებისას კი შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიი სკალით.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
2. სსსმ მოსწავლეების სამოქმედო გეგმე
3. შეფასების ფორმები
4. მოსწავლეთა ნამუშევრები
5. სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
6. სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო პროექტიHE
7. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, როგორ იქმნება კურიკულუმის განვითარების და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის

წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში: რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა/უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.

მოსწავლეთა შედეგები: რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას.

მშობელთა ჩართულობა: რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები)

კათედრის მუშაობა: რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესწავლის მიმართულებით.

სკოლის დირექცია: რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს სკოლის დირექციის ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის:

კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

მათემატიკა

ის მიგნებები რომელიც გამოიკვეთა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს მნიშვნელოვანი არის რომ კიდევ ერთხელ გადამუშავდეს რაზედაც ინტერვიუში ისაუბრა მასწავლებლებმა და გაკეთდესანალიზი რა გამოცდილება მივიღე, როგორ გამოვიყენო ეს გამოცდილება მომდევნო სასწავლო წელს და სხვა

საზოგადოებრი მეცნიერებები

მიმდინარე სასავლო წლის 2023-2024 წლის კურიკულუმებში სკოლას აქვს განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები, ყველა აქტივობა მიემართება ესგ განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ. რადგან იწყება სკოლისთვის ახალი ეტაპი, ჩემი რეკომენდაცია არის აღნიშნული აქტივობები განახორციელონ როგორც კურიკულუმებშია დაწერილი, საგნობრივი კურიკულუმები ფასდება დადებითად, სრულყოფილად მოიცავ სტანდარტებით განსაზღვრულ ყველა თემაში ჩაშლილ სამიზნე ცნებეს და მკვიდრ წარმოდგენებს, აღნიშნული აქტივობები სკოლას შეუძლიან განახორციელოს სრულყოფილად, რომელიც დაეხმარე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში.

სახელმწიფო ენა

დოკუმენტის დრაფტ-ვერსიის სახით არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორიზაციის თვიშშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის გავითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. ითვალისწიბებენ მიღწევების თვითშეფასებას, SWOT-ანალიზს, წლიურ სამოქმედო გეგმას. თუმცა ამ ეტეპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია, საჭიროებების კვლევა. კათედრა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას.

შეესაბამება

2. **ბუნებისმეტყველება**

სკოლაში შექმნილის სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა რომელიც გაწერილია სკოლის მისია, ხედვები, მიზნები, მათი განხორციელების გზები და ა.შ. სკოლის კურიკულუმები ყოველთვის განიცდის ცვლილებებს იმისდა მიხედვით თუ რა შედეგებს აჩვენებს წინა წლის კურიკულუმი, ამიტომაც სკოლის ყოველი შემდეგი კურიკულუმები ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ყოველი შემდეგი კურიკულუმი ეფუძნება სკოლის კურიკულუმების გაანალიზების შედეგებს, რომელითაც დგება SWOT ანალიზი (რომლის ფარგლებშიც გამოვლინდება ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საშიშროებები). ახალი სასწავლო კურიკულუმის შედგენისას წინა წლის შედეგად დანახული მიგნებები აისახება საგნობრივ კურიკულუმში, როგორც კლასის, ასევე საფეხური დონეზე შესაბამისი ცვლილებებით.

მათემატიკა

კათედრაზე ხდება მიმდინარე კურიკულუმის განხორციელების პერიოდში მიღწეული შედეგების ანალიზი, სადაც განიხილება რა იყო დაგეგმილი, დაგეგმის პროცესში როგორ განვითარდა მოვლენები რომელიც მასწავლებლის დაკვირფების ფორმასი აისახება, ამის შემდგომ გამომწვევ მიზეზებზე ხდება ანალიზი და დასკვის გამოტანა რომელიც საბოლოო ჯამში კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიაში აისახება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

აღნიშნული პროცესით ხორციელდება კურიკულუმების გადამუშავება, რომელიც ეფუძნება წინარე გამცდილებას, მონიტორინგს და შეფასებას საჭირებს მომავალში.

სახელმწიფო ენა

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის ბოლოს მოხდება აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ, მატრიცების შესრულებული კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შეფასების საფუძველზე მოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა კლასების გათვალისწინებით. კათედრა 2023-2024 სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

შეესაბამება,

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
2. 2018-2022 წ გეგმები
3. სასწავლო რესურსები
4. კონფერენციები
5. მოსწავლეთა ნამუშევრები
6. ხარისხის უზრუნველყოფა
7. სსსმ მოსწავლეები
8. შეფასების ფორმები
9. სასწავლო პროექტი
10. კათედრები
11. კლუბები დაწრეები
12. სოციალური პროექტი
13. USAID პროგრამა.
14. საბაზო საფეხურის კურიკულუმი;

18. სასკოლო სასწავლო პროექტი;
19. კომპლექსური დავალებები(მასწავლებელთა პორტფოლიოები)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



საშუალო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბუნებისმეტყველება

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას. საზოგადოების ჩართულობის, მათი ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარებისთვის სკოლაში ტარდება SWOT ანალიზი, რის საფუძველზეც გამოიკვეთება საჭიროებები და პრობლემები. სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში სკოლა ცდილობს მაქსიმალურად გააქტიუროს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეები და მშობლები რამდენჯერმე ავსებენ კითხვარებს, რითაც აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, ხოლო

მასწავლებლები კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე მუდმივად უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს. პედაგოგები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ ავსებენ კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმას, სადაც ისინი აანალიზებენ მუშაობის პროცესში წამოჭრილ პრობლემებს თუ დადებით მხარეებს. სასწავლო წლის დასასრულს პედაგოგები ავსებენ თვითშეფასების ფორმას, მიმართავენ მშობლებს უკუკავშირისთვის და ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით იქმნება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი.
სკოლაში შექმნილია "მშობელთა სათათბირო", რომელიც დირექციასა და მშობლებს შორის პირდაპირი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფადაა ჩამოყალიბებული. "მშობელთა სათათბიროს" შეხვედრების ფარგლებში მშობლების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს კურიკულუმის ფორმირების პროცესში.

მათემატიკა

მოწოდებული საშუალო საფეხურის კურიკურუმი შედგება იმ ძირითადი მიმართულებებისგან, რომელიც მასწავლებელს სასწავლო პროცესში დაეხმარება იყოს ორიენტირებული მოსწავლის მიღწევებსა და წარმატებაზე, როგორც გასაუბრებაზე აღინიშნა, შედგენის პროცესში მონაწილეობას იღებდა სასკოლო საზოგადოების წევრები, თითოეული მასწავლებელი წარადგენდა წინადადებას რათა ის პრიორიტეტული თემები არ ყოფილიყო გამორჩენილი რაც, სწავლა-სწავლების პროცესში გახდებოდა იმ იდეის და შინაარსის მატარებელი რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ზრდას და ჩართულობას სასწავლო პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

გავეცანი სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციას, სადაც წარმოდგენილი იყო ეროვნულის სასწავლო გეგმით საშუალო საფეხურის კურიკულუმები, სადაც სრულად არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესი, რომელიც მორგებუ;ლია მოსწავლეთა საჭიროებებზე.

სახელმწიფო ენა

სკოლამ დამატებით წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი დრაფტ-ვერსიის სახით. ჯერჯერობით კათედრის დონეზე არ მომხდარა ამ დოკუმენტის განხილვა. მსგავსი ინფორმაცია ირიბად იკითხება წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტში. მაგ; სასკოლო გეგმაში, ხარისხის მართვისა და განვითარების და კათედრის ოქმებში. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აფიქსირებს, კურიკულუმის შემუშავებისას. ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი დაბალია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. გეგმავენ წაახალისონ მათი ჩართულობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას და ამისთვის გამოიყენონ საგნობრივი

ექსპერტებისა და ქოუჩების ჩართულობა. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობას, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტნაკლებად გამოკვეთა, ვინ, რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. მასწავლებლები საუბრობდნენ ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე.

ესთეტიკური აღზრდა;

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმასა და კათედრის ოქმებში იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწავლა-სწავლება ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს. სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, ითვალისწინებენ რა მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. როგორც პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, ზემოხსენებულის გათვალისწინებით იგეგმება კურიკულუმის შემდგომი დახვეწა-განვითარება. ასევე, მიმდინარე ეტაპზე, სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობაც საკმაოდ გამოხატულია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება და თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება, კიდევ უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობა, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, ვინ რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. მასწავლებლები საუბრობდნენ ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე.

შეესაბამება;

2. ბუნებისმეტყველება

..სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია. მოსწავლეებთან და სწავლის დაწყებამდე მშობლებთან პირისპირ შეხვედრის დროს საუბრისას არკვევენ მათ ინტერესებს, სურვილებს და ასახავენ კურიკულუმში. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ყველა ის საკითხი, რომელიც კურიკულუმის მონიტორინგს და განვითარებას უზრუნველყოფს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

2019-20 სასწავლო წლის შედეგების ანალიზმა დღის წესრიგში დააყენა შეფასების სისტემის ცვლილების აუცილებლობის საკითხი. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა V-VI კლასებთან. პრობლემის აქტუალურობას დაემთხვა ისიც, რომ სამინისტროს მიერ შემოთავაზებული იქნა მოსწავლის შეფასების ორი მოდელი. სკოლის ადმინისტრაციამ მიმართა

სასკოლო თემს (მშობლებს, მასწავლებლებს), რათა გაეკეთებინათ არჩევანი ამ ორ მოდელს შორის. მშობელთა სრული თანხმობითა და პედაგოგიური კოლექტივის მაქსიმალური მხარდაჭერით სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით აირჩია საქართველოს განათლების სისტემისთვის ინოვაციური შეფასების სისტემა, რაც პასუხობდა სკოლის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტს. ცვლილება აისახა როგორც სასწავლო გეგმაში, ასევე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში. დამრიგებლებმა მშობელთა დეტალური ინფორმირების მიზნით დაგეგმეს შეხვედრები და სადამრიგებლო საათები, სადაც ყურადღება გაამახვილეს განმავითარებელი შეფასების დადებით და უარყოფით მხარეებზე. სკოლის ინტერესებში შედის სასკოლო კურიკულმში ასახოს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები და საჭიროებები. ამდენად, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების აზრის გასაგებად დირექცია პერიოდულად ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ამდენად, კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლეებს მიეწოდება მათთვის გასაგებ ენაზე. მოსწავლეებს ეძლევა საშუალება, ნამუშევარი მათთვის მისაღები ფორმით წარმოადგინონ (მაგალითად: პრეზენტაციით, მაკეტით, პლაკატით, Minecraft, Scratch და ა.შ.). საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა. 2022-23 სასწავლო წლიდან სკოლაში შეიქმნა „მშობელთა სათათბირო“, რომელშიც ჩართულია სამივე საფეხურის ყველა კლასის 2 მშობელი.

„მშობელთა სათათბიროს“ შექმნის მიზანია, გაიზარდოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, დირექციასა და მშობლებს ჰქონდეთ პირდაპირი საკომუნიკაციო ადგილი, სადაც ისინი ღიად შეძლებენ არსებული პრობლემებისა და ინიციატივების განხილვას.

მათემატიკა

კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება კერძოდ კათედრა აქტიურად იღებდა მონაწილეობას, მათმა შეიმუშავეს ჩარჩო დოკუმენტი სადაც გაწერეს ის მიგნებები რომელიც წინა წლის სამუშავო პროცესებიდან გამოიკვეთა, ის მიგნებები რომელმაც ხელი შეუწყო სასწავლო აღმზრდელობით სამუშაოების წაროებას გათვალისწინებულ იქნა 2023-2024 წლის სამუშაო დოკუმენტში, მასში გაწერილია ის კომპლექსური დავალებები რომელიც დამუშავებულია სკოლაში და მოსწავლეთა მხრიდან აქვთ უკუკავშირები მიღებული, აქვე უნდა აღინიშნოს რომ გასაუბრებაზე აღინიშნა, სასკოლო საზოგადოება ზრუნავს ახალი სასწავლო ლიტერატურის დამუშავებას სადაც თანამედროვე მიდგომებზე სწავლებაზე არის საუბარი და მის დანერგვას სასწავლო პროცესში, სხვადასხვა ტრენინგებიდან მიღებული ინფორმაციის გაზიარება ხდება კოლეგებისთვის და შესაბამისად ასახვა კურიკულუმში მათგან გამოვყოფთი STEAM პროექტებს რომელიც ურთიერთ თანამშრომლობით მიმდინარეობს და იხვეწება წლიდან, წლამდე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმში ასახულია საზოგადოების ინტერესები და ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სახელმწიფო ენა

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია, თუმცა ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივ კათედრის რამდენიმე წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, მასწავლებლები ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას დამრიგებლების მეშვეობით ახდენს. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც.

შეესაბამება

3. **ბუნებისმეტყველება;**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დრაფტ-ვერსია, რომელშიც გაწერილია, როგორ უნდა იყოს ჩართული სასკოლო საზოგადეობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, ხდება უკვე არსებული კურიკულუმების ახლებურად გადააზრება, პარალელური კლასის პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარება და ოპტიმალურ ვერსიებზე შეჯერება. შედეგად იკვრება კურიკულუმის ახალი ჩარჩო, ძველ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ახლებური იდეებით. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია ის შედეგები, რომლებიც მშობელთა და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით მიიღეს სასაწავლო წლის განმავლობაში დირექციის მიერ ინიცირებულ გამოკითხვებში მონაწილეობით.

2022-23 სასწავლო წლიდან სკოლაში შეიქმნა „მშობელთა სათათბირო“, რომელშიც ჩართულია სამივე საფეხურის ყველა კლასის 2 მშობელი.„მშობელთა სათათბირო“ შექმნილია იმ მიზნით, რომ გაიზარდოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, დირექციასა და მშობლებს ჰქონდეთ პირდაპირი საკომუნიკაციო ადგილი, სადაც ისინი ღიად შეძლებენ არსებული პრობლემებისა და ინიციატივების განხილვას. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ბლოგი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

მათემატიკა

კურიკულუმი ეფუძნება იმ მიგნებებს რაც სასკოლო საზოგადოების წინ დგება და ანალიზდება სწავლების პროცესში, რამ იმუშავა კარგად, რა იყო გამოსასწორებელი, ასევე იდენტიფიცირდება გამომწვევი მიზეზები მოსწავლის მხრიდან, ანალიზი ეფუძნება ასევს მოსწავლეთა თვითშეფასებას, მასწავლებლის დაკვირვებას, შემაჯამებლის ანალიზებს და სხვა. შესაძლოა. ამ პროცესებში ჩართული იყოს მშობელი რომელიც უზიარებს მასწავლებელს იდეებს, რადგან მასწავლებლის ვალდებულებაა

მოუსმინოს მშობელს და გააცნოს კურიკულუმის მოქმედი ვერსია. გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელად აუცილებელია შუალებური მიზნების იმ ფორმით წარმოდგენა რომელიც მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას შეუწყობს ხელს, ამასთან საგნობრივ საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში დაეხმარება, ამისათვი იქმნება ერთობრივი შეჯერებული დოკუმენტი რომელიც ასახავს მოსწავლის განვითარების გზას. ამ საკითხებზე მკაფიოდ აღინიშნა გასაუბრების დროს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები;
სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის მიერ და გაზიარებულია საკოლო საზოგადოების მიერ.

სახელმწიფო ენა
სასკოლო გეგმაში, პედასბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე, კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. კურიკულუმი ჩარჩოშოში არ არის გამოკვეთილი გრეძლვადიანი მიზნები. საუბრობენ, რომ შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. არ არის ჩაშენებული შუალედური მიზანები, თუმცა მასწავლებელებმა აღწერეს მუშაობის ეტაპები და აქვს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშავოს შუალედური მიზნებით.

4. ბუნებისმეტყველება

ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომობისთვის სკოლა იყენებს ღრუბლოვან საცავს „OneDrive" და ბლოგებს. სკოლის ბლოგზე (33skola.blogspot.com) ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს სკოლაში განხორციელებული ღონისძიებები, სასკოლო კურიკულუმი, სადამრიგებლო საათები, კლუბების/ წრეების შესახებ ინფორმაცია და სხვა. სადამრიგებლო საათების პროგრამა თითოეულ დამრიგებელს განთავსებული აქვს პირად პორტფოლიოში. შექმნილია Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის. Teams-ის საგნობრივ ჯგუფებში მოსწავლეებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების რუბრიკა და შემდეგ ინდივიდუალური უკუკავშირი, რომელსაც შეუძლია გაეცნოს, როგორც მოსწავლე, ასევე მშობელი. წელიწადში სამჯერ, პირველად 1-ლი სემესტრის დასასრულს, ხოლო ორჯერ მეორე სემესტრში მოსწავლეები თითოეულ საგანში იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს მათი მიღწევების შესახებ, რომელიც ელექტრონულ ჟურნალში აისახება და მარტივად ხელმისაწვდომია მშობლისათვის. სკოლის ღრუბლოვან საცავში შექმნილია მოსწავლეთა ინდივიდუალური პორტფოლიოები, სადაც პედაგოგები საგნების მიხედვით საქაღალდეებში ათავსებენ

კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების ნამუშევრებს. აღნიშნული პორტფოლიო ხელმისაწვდომია, როგორც პედაგოგებისთვის, აგრეთვე მშობლებისთვის.

სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები მშობლებს უზიარებენ სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობებსა და სასწავლო მიზნებს. ისმენენ მათ მოსაზრებებს და ითვალისწინებენ პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის. გარდა სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები რამდენჯერმე მიმართავენ მშობლებს, რათა გაუზიარონ მათ დაგროვილი გამოცდილება და მიიღონ უკუკავშირი.

მათემატიკა

საშუალო საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლის მათემატიკის შემუშავებული კურიკულუმი, ამ ეტაპზე, გაზიარებულია მასწავლებელთათვის. თუმცა სკოლა გეგმავს სხვადასხვა წყაროების გამოყენებას რათა უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ის სასკოლო საზოგადოების მიერ, ყველა სტრუქტურული ერთეული რისგანაც შედგება კურიკულუმი იყოს დაინტერესებული პირებისათვის დეტალურად გაცნობილი, ახსნილი თუ რას მოიაზრებ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, ცნებების პედაგოგიკაზე დაფუძნებით სწავლება. სკოლა გეგმავს, მას შემდეგ, როცა მომდევნო სასწავლო წლის სექტემბრიდან სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმი იქნება ის გაზიარდება სასკოლო საზოგადოებაში, იგი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, გასაჯაროვდება სკოლის ღრუბლოვან საცავებით და განთავსდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში საასწავლო პროცესის დაგეგმავა და განხორციელება ხდება წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე, რომელიც მტკიცდება წარმოდგენილი წოკუმენტაციის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად.

სახელმწიფო ენა

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუ რა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგის დრაფტ-ვერსიაში იკვეთება ხედვა, როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის განვითარება და სასკოლო საზოგადოების გაზიარება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კლასების კურიკულუმი;
4. სახელმწიფო ენისა და ლიტერატურის კათედრების სხდომის ოქმი ;
5. ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის დებულება
6. საშუალო საფეხურის კურიკულუმები,
7. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
8. მშობელთა კრების ოქმი;
9. შეფასების ფორმები;
10. კლუბები და წრეები;
11. მშობელთა სათათბირო;
12. *USD საგაკვეთილო დაკვირვება .*
13. სასკოლო პროექტები,
14. სასწავლო პროექტები,
15. სსმ მიმართულებით,
16. კონფერენციები,
17. სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

1. ბუნებისმეტყველება

სამივე საბუნებისმეტყველო საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. შუალედურ მიზნებად განისაზღვრება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას და საგნობრივი საკითხის ღრმად გააზრებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი საარზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას მას სჭირდება შემოქმედებითობა, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. კომპლექსურ დავალებამდე მისასვლელ გზაზე გაკვეთილებს გეგმავენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მასწავლებლები წინარე ცოდნის გამოვლენისა და გააქტიურების მიზნით იყენებენ სხვადასხვა საშუალებას, როგორიცაა მედია რესურსები, პრეზენტაციები, ვიდეოფილმები, ხმოვანი წიგნები, პირადი გამოცდილება და სხვა მრავალი. მრავალფეროვანი საშუალებების შეთავაზებით უფრო საინტერესო და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო იქმნება. მოსწავლეს საშუალება ეძლევა თავად ააგოს ცოდნა გამოცდილებაზე დაყრდნობით. ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანი განხილვა ხდება განსხვავებულ კონტექსტებში.

კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ -მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეზე და ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას შესასწავლი საკითხებით. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შეთავაზებულია მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვსაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და

გათავისებამდე მიიყვანს. წარმოდგენილი მაგალითები შედარებისთვის ხელს შეუწყობს საკითხის ღრმად გააზრებას. მაგ. მე-10 კლასის ქიმიის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა: „პრეზენტაციის საშუალებით მეტალებისა და არამეტალების ტრიადების თვისებების წარმოჩენა ელემენტთა პერიოდულობის ცხრილში მათი მდებარეობის გათვალისწინებით“. კონტექსტ-მაგალითად განიხილება „ქიმიური ელემენტების მდებარეობა პერიოდულობის ცხრილში და ფიზ-ქიმიური თვისებების პერიოდულობა“. მოხდება ტუტე მეტალების თვისებების შედარება ჰალოგენებთან. კონკრეტული მაგალითები გაზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას და ჩართულობას სწავლის პროცესში და ხელს შეუწყობს საკითხის ღრმად გააზრებას.

მათემატიკა

საშუალო საფეხურზე მათემატიკის შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. IX - XI კლასების მათემატიკის ჩარჩო ცხრილებში შევსებულია როგორც სავალდებულო ველები: თემები, სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები, ტექსტი/ტექსტები , სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე არასავალდებულო ველები: მაგალითი შედარებისთვის, კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალებების იდეა. კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლება. წარმოდგენილი აქვთ თემატური მატრიცა იქ პროცესები იმდაგვარად არის გაწერილი, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაზლებლობების გათვალისწინებით ხდება, დიფერენცირებული სწავლების მეთოდის გამოყენება სწავლა-სწავლების მიმდინარეობისას. მოწოდებული კურიკულუმი წარმოადგენს, მოსწავლეთა პროცესების დაგეგმვის ღონისძიებების ერთობლიობას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესი დაგეგმილი აქტივობები, ისე რომ ეფუძვნება, სწავლა -სწავლების კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.

სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხურის კლასების კურიკულუმის ჩარშოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით რამდენიმე თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. ელოდებიან მე-11 კლასის სახელმძღვანელოს, ამიტომაც ამ კლასის კურიკულუმის ჩარჩო არ იყო წარმოდგენილი. შედარებით მკრთალად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე თითეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს.

უცხო ენა

საშუალო საფეხურის, უცხო ენების კურიკულუმებში, გრძელვადიანი მიზნები ძირითადად სათანადოდ არის წარმოდგენილი, სამიზნე ცნებების სახით. სამიზნე ცნებები უმეტესად განვრცობილია იმ თემებთან, რომლებზეც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. სასწავლო თემები/ქვეთემები ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს და უკავშირდება სტანდარტით განსაზღვრულ სასწავლო საკითხებს (მაგ: მოზარდები და მათი ცხოვრება სკოლაში; საინტერესო ისტორიები წარსულიდან; დიდებული ადამიანები და მათი ბიოგრაფია; ტექნოლოგიები, ცვალებადი სამყარო და სხვა);

საშუალო საფეხურის, პირველი და მეორე უცხო ენების კურიკულუმებში, შუალედურ მიზნებად სკოლას ჩადებული აქვს კომპლექსური დავალების პირობები. მოსწავლეები, კომპლექსური დავალების ფარგლებში, შექმნიან სხვადასხვა ტიპის პროდუქტს, როგორიცაა პრეზენტაციები, რეპორტაჟი, სტატია, ესე და სხვა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შემუშავეული კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მეტ ყურადღებას სასწავლო პროცესზე ამახვილებს, მოსწავლეს კი აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას, მაღალი საარზოვნო უნარებისა და შესრულებული სამუშაოს თვითრეფლექსიის უნარის განვითარებას. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

სპორტი,

საგან სპორტის შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ყველა კლასის კომპლექსური დაბალება გულისხმობს სასკოლო ფეტივალის ჩატარებას სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. ასევე შიდა სასკოლო კონფერენციაზე საკუთარი ნაშრომის პრეზენტაციას, პროექტზე მუშაობას, ვიდეორგოლის შექმნა. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.

მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი.

შეესაბამება

2. **ბუნებისმეტყველება**

წარმოდგენილია საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში. ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. ყველა თემის ფარგლებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. წარმოდგენილია, რომელი ქვეცნებები მუშავდება სხვადასხვა თემის კონკრეტული საკითხების შესწავლისას. ქიმიის, ფიზიკის ბიოლოგიის თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. კურიკულუმებში ნათლად იკითხება, თუ რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას.

შედეგების განსაზღვრისთვის მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს და თვითშეფასების კითხვარებს. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი მატრიცები, კომპლექსური დავალების ბარათები.

კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის შემოწმების მიზნით სკოლაში განხორციელდა ადგილზე ვიზიტი. ვიზუალური დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო რესურსებით. ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ განხორციელდეს კვლევაზე დაფუძნებული სწავლება. კაბინეტებში წარმოდგენილია მოსწავლეთა მრავალფეროვანი ნაშრომები.

მათემატიკა

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი შედგება იმ თემებისგან რომელსაც სასწავლო წლის განმავლობაში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად უნდა გაიაროს კლასმა, კერძოდ დაწყებით საფეხურზე. დანართის სახით მოწოდებული თემატური მატრიცა

აჩვენებს იმ გრძელვადიანი მიზნის მისაღწევი ღონისძიებების (ეტაპების გავლა), შეკითხვების ერთობლიობას რაც უნდა მიაღწიოს მასწავლებელმა, პარალელურად კი იზრუნოს კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში გლობალური ფუნქციური უნარები; კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობსა და ხასიათია და ნებელობის განვითარებაზე. ასევე სხვადასხვა საკლასო აქტივობებიც გახდეს ფუნქციურად დატვირთული ხელი შეეწყოს მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების გააქტიურებას. ყველა უნარის ეტაპობრივი განვითარება კი პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებია რადგან ნებისმიერი სწავლის პროცესში მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს შემოქმედებითად მიუდგეს პრობლემის გადაჭრას, იაზროვნოს კრიტიკულად, იმუშაოს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ისწავლოს დამოუკიდებლად, მოუსმინოს სხვებს, შეაფასოს და გადააფასოს თავიანთი მიგნებები, დაამყაროს კავშირები მათემატიკასა და გარემომცველ სამყაროს შორის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. სასწავლო კურიკულუმები წარმოდგენილია საგნოვრივი სტანდარტის სახით და მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას და წინარე ცოდნას.

სახელმწიფო ენა

-საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ დაარსებულია სასკოლო კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში 21-ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებას.

უცხო ენა

უცხო ენების, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება გლობალურ ფუნქციურ უნარებს (მაგალითად: ტექნოლოგიების გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე); კურუკულუმებში ასევე მოცემულია კომპლექსური დავალებების პირობები. კომპლექსური დავალებები, საგნობრივ შინაარსის განმტკიცებასთან ერთად, აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეებში მაკრო ცნებების განვითარებას.

მაგალითად, მეორე უცხო ენის, მეათე კლასის კურიკულუმის, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეს მოეთხოვება სტატიის დაწერა, ეკოლოგიურ პრობლემებზე და ამ მხრივ არსებული მდგომარეობის ფოტოებზე აღბეჭდვა. მეთერთემეტე კლასის კურიკულუმის ერთ-ერთი კოპლექსური დავალების პირობის მიხედვით, მოსწავლემ უნდა წარმოდაგინოს ნაშრომი/პრეზენტაცია, თემაზე „ჩვენ ვართ პასუხისმგებელი მათზე, ვინც მოიშინაურა“, რომელიც შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს მოიცავს. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მრავალი ფუნქციური უნარის განვითარებაზეა ორინტირებული. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურის კურიკულემები ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას.

ესთეტიკური აღზრდა:

საშუალო საფეხურის კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს. სასწავლო კურიკულუმში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენონ ახალი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს თემები მასთან დაკავშირებული საკითხები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. კურიკულუმეში წარმოდგენილი განსახორციელებელი პროექტები გვაფიქრებს იმას, რომ მასწავლებელებს გააზრებული აქვთ როგორ ხდება თემატური ერთეულის დაგეგმვა , რომელიც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, გრძელვადიან მიზნებზე ფოკუსირებასა და გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებას.

სპორტი

კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემრთება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი.

კურიკულუმების ჩარჩოები აჩვენებს, რომ სპორტის საგანი უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. განვიხილოთ თითოეულ გლობალურ ფუნქციურ უნართან შესაბამისობა.

- ✓ **შემოქმედებითობა** - შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ნასწავლ მასალის მაქსიმალურად თავისუფლად მათი შეხედულებისამებრ გამოყენების საშუალებას, რაც ზრდის და

ანვითარებს მათ შემოქმედებით უნარს. მაგალითად სასკოლო ფესტივალი, რომელიც ერთერთი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის შემოქმედებითობის განსავითარებლად. ასევე ვიდეორგოლის შექმნა სადაც მოსწავლე თავისუფალია მისი შეხედულებით იქჩევს სასურველ თამას მისი შეხედულებისმებრ აგებს თემას და წარუდგენს აუდიტორიას.

- ✓ **კრიტიკული აზროვნება** - მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, კომპლექსური დავალება შიდა სასკოლო ფესტივალი მოიაზრებს ვიდეოების ყურებასა და განხილვას რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას ასევე სასკოლო პროექტზე მუშაობა გულისხმობს ინფორმაციის მოძიებასა და გადარჩევას რაც კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ასევე ვიდეორგოლზე მუშაობა.
- ✓ **კომუნიკაცია** - მოიაზრებს ინფორმაციის ნათლად და შინაარსიანად გამოხატვას, მეტყველების ტიპის შერჩევას, აღწერას, მსჯელობას, კონტექსტუალიზებას და გამოხატვის რელევანტური საშუალების შერჩევას (ვერბალლური/არავერბალური). წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას კომპლექსური დავალების (პროექტი, პრეზენტაცია, ვიდეორგოლის შექმნა) ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან დიალობი, მსჯელობა, შეთანხმება. მაგალითად სასკოლო კონფერენციის დროს მას შემდეგ რაც მოსწავლე შეარჩევს თემას მნიშვნელოვანია ის ისე წარმოადგინოს, რომ გაითვალისწინოს აუდიტორია. თავისი აზრი გამოხატოს რელევანტური საშუალებით.
- ✓ **კოლაბორაცია** - მოიაზრებს ჯგუფში მუშაობის წესების ფლობას, პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება - სასკოლო ფესტივალი, პროქტი რომელიც მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ. ამ დავალებაში მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა. კომპლექსური დავალების მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას მიზნის მისაღწევად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად. ყველაფერი აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებას.

- ✓ **მოქალაქეობა** - გულისხმობს მსჯელობას და მოქმედებას თემის ინტერესების გათვალისწინებით. მოცემული კომპლექსური დავალებები სწორედ ამ უნარის განვითარებას ემსახურება. მაგალითად სასკოლო კონფერენციის თემატიკა სწორედ ამ მიზანზეა ორიენტირებული. მოსწავლეებში ხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ და კომპლექსური დავალების ფარგლებში ხდება თემისთვის აქტუალური პრობლემების გაანალიზება.
- ✓ **ხასიათი/ნებელობა** - ხასიათი და ნებელობა მოიაზრებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებას თვითრეალიზაციისთვის, მიზნების დასახვას, დაგეგმვას, თვით ეფექტურობის განცდას, სწავლის სტრატეგიებს, მონიტორინგსა და შეფასებას. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოგგენილი კომპლექსური დავალებები, როგორიცაა სასკოლო ფესტივალი, ლაშქრობა, ლასქრობის დაგემვა მოსწავლისაგან მოითხოვს მიზნის შერჩევას, ამ მიზნისკენ მიმავალი აქტივობების დაგეგმვას, შესრულების პროცესის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მის ჩანაცვლებას სხვა უფრო რელევანტური აქტივობით.

კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი.

შეესაბამება;

3. ბუნებისმეტყველება

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმში ჩანს, რომ ძირითადი პრინციპები და სტრატეგიები ორიენტირებულია სასწავლო გარემოს მოქნილობაზე. ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნების, სიახლეების შეტანის, ინტერესების გაზრდის, დიფერენციერებული და ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობის მიზნით გაკვეთილებზე იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს/სტრატეგიებს, როგორიცაა ,,სასწავლო მენიუ", კოგნიტური სქემები, მოლოდინების ბარათები, მულტიმედიური რესურსები და ა.შ. მრავალფეროვანი ინსტრუმენტები: გამოსაძახებელი ჩხირები, გასასვლელი ბილეთები, ,,თეთრი დაფები" და მრავალი. ეს ყველაფერი ამაღლებს მოსწავლის შინაგან მოტივაციას და იზრდება მოსწავლეთა ინტერესები და ჩართულობა. ინფორმაცია ინკლუზიური მიდგომების შესახებ განთავსებულია სკოლის ბლოგზე: http://33skola.blogspot.com/2023/06/ck-12.html.

ნათლად ჩანს, რომ სსსმ მოსწავლეთა სამოქმედო გეგმის გაწერისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. აქტიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებლებთან და მათთან ერთად ადგენენ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გეგმას. საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის სწავლება ხორციელდება ინდივიდუალური ან/და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის მეშვეობით. მასწავლებლები ქმნიან სხვადასხვა სახის რესურსს, ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებას .

სკოლაში ჩატარდა STEAM ფესტივალი, მოსწავლეებმა წარადგინეს შესრულებული კომპლექსური დავალებები, როგორც ელექტრონული, ასევე ხელით შესრულებული დიორამები, ნახატები, აპლიკაციები და ა.შ. ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ სსსმ მოსწავლეებიც.

22 ივნისს განათლების კოალიციამ ჩაატარა შემაჯამებელი კონფერენცია „CK-12 ინკლუზიური და ხარისხიანი განათლებისათვის“.კონფერენციის მიზანია საქართველოში საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12-ის გავრცელების გამოცდილების შეჯამება და Ck-12 სკოლების ქსელის მუშაობის კარგი პრაქტიკების გაზიარება. კონფერენცია ჩატარდა განათლების კოალიციის ინიციატივით, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, CK-12-ის საერთაშორისო პლატფორმასთან თანამშრომლობით და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით. ქუთაისის N33 საჯარო სკოლა წარდგენილი იქნა, როგორც კარგი პრაქტიკის მქონე სკოლა და შევიდა სკოლების ხუთეულში. გამარჯვების ნიშნად სკოლას გადაეცა პროექტორი და სადემონსტრაციო დაფა, ჩართული პედაგოგები დაჯილდოვდნენ სამკერდე ნიშნებით და სერტიფიკატებით.

მათემატიკა

სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო კურიკულუმი 10-12 კლასის მათემატიკა, მოწოდებული თემატური მატრიცის სანიმუშო დოკუმენტიდა იკვეთება, რომ სასწავლო პროცესშ გათვალისწინებულია ინკლუზიური სასწავლო გარემოს პირობები უფრო კონკრეტულად: კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე წარმოდგენილი თემატური მატრიცა და კომპლექსური დავალება, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, კერძოდ, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას, რაც კათედრის შეხვედრის ოქმებში ინკლუზიური მიდგომის პროგრესის განსაზღვრის საჭიროებებში ამოიკითხება. სკოლა ასევე ზრუნა სსსმ მოსწავლეთა განვითარებისათვის შექმნას ხელშემწყობი გარემო, მოახდინოს მკვიდრი წარმოდგენების მოდიფიცირება კომპლექსური დავალების მოსწავლის საჭიროებისდა მიხედვით გამარტივება, ამ ღონისძიებების ერთობლიობამ მოსწავლე უნდა მიიყვანოს მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების; მათემატიკური მოდელი, კანონზომირერება, ლოგიკის შეძლებისდაგვარად დაძლევამდე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა დიფერენცირებულ ინკლუზიურ მიდგომას.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესი მეტნაკლებად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება. ასევე, ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, მსგავსი ტიპის გამოცდილება დოკუმენტის სახით დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებში მაგ; ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები.

უცხო ენა

საშუალო საფეხურის, უცხო ენების კურიკულუმებში, სასწავლო თემები მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით არის შერჩეული, რაც დიფერენცირების მაგალითს წარმოადგენს. ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, გარმოირკვა, რომ კურიკულუმებში კომპლექსური დავალების ის პირობები შეიტანეს, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და მოსწავლეთა ინტერესი გამოიწვია. ზოგადად, კომპლექსური დავალებებით სწავლება, მათი აზრით, თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; კომპლექსური დავალება მოსწავლეებს საშულებას აძლევს გააკეთონ არჩევანი რა უადვილდებათ და როგორ შეუძლიათ შეასრულონ. მასწავლებლები ამარტივებენ კომპლექსურ დავალებებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები, როგორც პირველი, ისე მეორე უცხო ენების მაგალითზე. ეს დოკუმენტები მიუთითებს, რომ სკოლა, საჭიროების მიხედვით, სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს და აღნიშნული ასევე წარმოადგენს დიფერენცირებული მიდგომის კიდევ ერთ ფაქტს.

უცხო ენის მასწავლებლებს განხორციელებული აქვთ საკუთარი სასწავლო პრაქტიკის კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავდა კლასის საჭიროებების დადგენასა და სწავლების მეთოდების დიფერენცირებას.

წარმოდგენილი მტკიცებულებები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ პირველი და მეორე უცხო ენების სწავლების პროცესში სკოლა იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს საჭირო მიმართულებით.

სპორტი

ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა, განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მთთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, პროექტი, ვიდეორგოლის შექმან. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. ასევე, 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.

შეესაბამება.

4. **ბუნებისმეტყველება**

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს.

წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობები ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას.

მოსწავლეთა ნაშრომების შეფასების ანალიზის,საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გათვალისწინებით, რომელიც უზიარდება პედაგოგიურ საბჭოს, ხდება კურიკულუმის ცვლილება და გადაიხედება მეთოდოლოგია აქტივობებისა და რესურსების ნაწილში. 2022 წლის პირველი სემესტრიდან დაინერგა კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების

თვითშეფასების კითხვარი, რომელიც ივსება კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ და მისი შევსებისას მასწავლებელი აანალიზებს სწავლების პროცესს, გამოკვეთს საჭიროებებს და მისი გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო კომპლექსურ დავალებას ,,ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში განხორციელებული სასკოლო პრიორიტეტული პროექტების მიგნებები ყოველთვის არის მომდევნო პროექტის ინიცირების და იდეების გენერირების საფუძველი. მაგალითად, 2020-2021 წელს განხორციელებულ იმ პროექტმა ,,განმავითარებელი შეფასება მოსწავლის კეთილღეობისათვის", გამოავლინა საჭიროება ახალი შეფასების სისტემის შედეგების ანალიზის ფორმების შემუშავებისა. ეს გახდა საფუძველი 2021-2022 სასწავლო წლის პრიორიტეტული სასწავლი პროექტის თემის ჩამოყალიბებისათვის ,,სასწავლო პროცესის ანალიზი მოსწავლის კეთილდღეობისათვის", ქოუჩინგის შედეგად საგნობრივმა კათედრებმა აირჩიეს მასწავლებლის პრაქტიკის და მოსწავლის მიღწევების მონიტორინგის სასურველი მოდელები და მომავალი სასწავლო წლიდან მონიტორინგი განხორციელდება ამ ფორმით.

მათემატიკა

წინარე ცოდნის გააქტიურება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი და არსებითია, რადგან ის ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში რათა აქტიური შემოქმედებითი მსვლელობას ჰქონდეს ადგილი ამისთვის სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებასა და მის ანალიზზე დაფუძნებით, არსებული გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, იგი თვლის, რომ კურიკულუმების დანერგვისას შექმნას 2023–2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. აქვე ავღნიშნავ, რომ გასაუბრებაზე გამოიკვეთა მოსაზრება, ახალ მასალაზე გადასასვლელად მათემატიკის მასწავლებელი იკვლევს მოსწავლის წინარე ცოდნას, სხვადასხვა საშუალებით ეს შეიძლება იყოს ქვიზი, ზეპირი გამოკითხვად და სხვა გასავითარებელი საკითხების დადგენის შემდეგ აქცენტი მის დაძლევაზე კეთდება რადგან გააზრებული აქვთ რაოდენ მნიშვნელოვანია მათემატიკაში ახალი ცოდნის კონსტუირებისათვის მოსწავლის ჩართულობა.

სახელმწიფო ენა

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ.

შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

უცხო ენა

მომავალი სასწავლო წლისთვის, უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში, სკოლას გაანალიზებული აქვს წინა წლის კურიკულუმები და ამის საფუძველზე არის შედგენილი ახალი კურიკულუმი. ვიზიტის დროს, სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას, გამოირკვა, რომ სანამ დაიგეგმება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები, მოსწავლეებს უტარდებათ სადიაგნოსტიკო წერა, იმის გამოსარკვევად თუ რომელი სასწავლო თემები დაძლიეს და რაში აქვთ გამოწვევები. ასევე, ხდება მოსწავლეების გამოკითხვა ონლიან ფორმით და მათი უკუკავშირი გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებლები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით, აანალიზებენ თუ როგორ გაართვეს თავი მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებს და საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით არჩევენ კომპლექსური დავალების პირობებს კურიკულუმში შესატანად.

სპორტი

კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცეში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს.2023-24 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაშიც და იგი მიჩნეულია მოსწავლის სწავლის პროცესის განვითარების ხელშემწყობ და მისი შედეგების გასაუმჯობესებელ მექანიზმად.

შეესაბამება.

ბუნებისმეტყველება

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს.
წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობები ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას.
მოსწავლეთა ნაშრომების შეფასების ანალიზის,საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გათვალისწინებით, რომელიც უზიარდება პედაგოგიურ საბჭოს, ხდება კურიკულუმის ცვლილება და გადაიხედება მეთოდოლოგია აქტივობებისა და რესურსების ნაწილში. 2022 წლის პირველი სემესტრიდან დაინერგა კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების თვითშეფასების კითხვარი, რომელიც ივსება კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ და მისი შევსებისას მასწავლებელი აანალიზებს სწავლების პროცესს, გამოკვეთს საჭიროებებს და მისი გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო

კომპლექსურ დავალებას ,,ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში განხორციელებული სასკოლო პრიორიტეტული პროექტების მიგნებები ყოველთვის არის მომდევნო პროექტის ინიცირების და იდეების გენერირების საფუძველი. მაგალითად, 2020-2021 წელს განხორციელებულ იმ პროექტმა ,,განმავითარებელი შეფასება მოსწავლის კეთილდღეობისათვის", გამოავლინა საჭიროება ახალი შეფასების სისტემის შედეგების ანალიზის ფორმების შემუშავებისა. ეს გახდა საფუძველი 2021-2022 სასწავლო წლის პრიორიტეტული სასწავლი პროექტის თემის ჩამოყალიბებისათვის ,,სასწავლო პროცესის ანალიზი მოსწავლის კეთილდღეობისათვის", ქოუჩინგის შედეგად საგნობრივმა კათედრებმა აირჩიეს მასწავლებლის პრაქტიკის და მოსწავლის მიღწევების მონიტორინგის სასურველი მოდელები და მომავალი სასწავლო წლიდან მონიტორინგი განხორციელდება ამ ფორმით.

მათემატიკა

წინარე ცოდნის გააქტიურება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი და არსებითია, რადგან ის ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში რათა აქტიური შემოქმედებითი მსვლელობას ჰქონდეს ადგილი ამისთვის სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებასა და მის ანალიზზე დაფუძნებით, არსებული გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, იგი თვლის, რომ კურიკულუმების დანერგვისას შექმნას 2023–2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. აქვე ავღნიშნავ, რომ გასაუბრებაზე გამოიკვეთა მოსაზრება, ახალ მასალაზე გადასასვლელად მათემატიკის მასწავლებელი იკვლევს მოსწავლის წინარე ცოდნას, სხვადასხვა საშუალებით ეს შეიძლება იყოს ქვიზი, ზეპირი გამოკითხვად და სხვა გასავითარებელი საკითხების დადგენის შემდეგ აქცენტი მის დაძლევაზე კეთდება რადგან გააზრებული აქვთ რაოდენ მნიშვნელოვანია მათემატიკაში ახალი ცოდნის კონსტუირებისათვის მოსწავლის ჩართულობა.

სახელმწიფო ენა

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

სპორტი

ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგი ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი. სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი

სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში მაფიქრებინებს, რომ სკოლკას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმები
3. კათედრების სხდომის ოქმები
4. შეფასების ფორმები
5. USAID საგაკეთილო დასწრების პროგრამა.
6. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მოსწავლეთა შეფასების სისტემა,
7. პროფ ორიენტაცია (მოსწავლეთა პროფესიული არჩევანის გაკეთების მიზნით)
8. მოსწავლეთა ნამუშევრები
9. კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
10. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
11. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
12. კათედრის ოქმი, გადაწყვეტილება
13. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
14. პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
15. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
16. სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
17. სკოლის სასკოლო პროექტები
18. სკოლის მასწავლებლთა პორტფოლიო;
19. განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები (ინგლისური, რუსული, გერმანული)
20. ადაპტირებული კომპლექსური დავალებები (ინგლისური, რუსული, გერმანული)
21. კონფესიასწავლო რესურსები საგანი - “ მე და საზოგადოება “

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში გრძელვადიან მიზნებად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები (საკითხთა კლასტერი), რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. გამოკვეთილია ქვეცნებები, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან.

კომპლექსური დავალებების ანალიზის შედეგად იკვეთება საგნობრივი საჭიროებები, რომლებიც პედაგოგებისთვის გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს მომდევნო სასწავლო წელს იმავე კომპლექსური დავალების განხორციელებისას. ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს რომელმა აქტივობამ იმუშავა მოსწავლეებისთვის კარგად კონკრეტული მკვიდრი წარმოდგენების გასათავისებლად და რომელმა - ნაკლებად.

2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმიც, სწორედ გასული წლის ანალიზის შედეგად დაიგეგმა და შეირჩა ისეთ საგნობრივი საკითხები და კომპლექსური დავალებები, რომლებიც მაქსიმალურად იძლევა შესაძლებლობას, დაფაროს საგნის ყველა სამიზნე ცნება.

მათემატიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები, მე-10, მე-11, მე-12 კლასში სადაც კომპლექსური დავალების იდეა იმ ფორმით არის ჩამოყალიბებული, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლა ზრუნავს მათემატიკის მიმართულებით ჰქონდეს ისეთი სასწავლო პროცესები სადაც მოსწავლე შეძლებს ახალი იდეების კვლევა ძიებით, მიგნებას, დასკვნების გაკეთებას სადაც იქნება წარმოდგენილი ის ორიგინალური ხედვა რაც მისი კვლევის პროცესში გამოიკვეთა , ხოლო პრეზენტაციის დროს გააკეთებს დავკვნებს და მის მიერ შექმნილ პროდუქტში წარმოადგენს იმ მათემატიკური საკითხების ცოდნას რისი გამოყენების საჭიროება იდგა პროდუქტის შექმნის დროს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესი დაგეგმილი აქტივობები, ისე რომ ეფუძვნება, სწავლა -სწავლების კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.

სახელმწიფო ენა

კათედრის მიერ საფეხურის დონეზე წარმოდგენილი კურიკულუმები ჩარჩოების გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას მასწავლებლები გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ავტორიზაციის თვითშევასების კითხვარში მიუთითებენ, რომ ამისთვის გეგმავენ პროექტული სწავლების გაძლიერებას.

უცხო ენა

საშუალო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, სასწავლო პროცესში გამოავლინოს ფიქრის, ძიების, მსჯელობის, აღმოჩენა-მიგნების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების უნარები. მოსწავლეს უვითარდება თანამშრომლობითი სწავლის კულტურა, თავადაც გასცემს და იღებს უკუკავშირს თანატოლებისთვის, ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას.

კომპლექსური დავალების შესრულების ფარგლებში, მოსწავლეებს მოეთხოვებათ მრავალი ტიპის პროდუქტის შექმნა, როგორიცაა, მაგალითად, სტატიის დაწერა, რეპორტაჟის მომზადება, პრეზენტაციის წარდგენა და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები ამაღლებს მოსწავლეების მოტივაციას და ხელს შეუწყობს მათი შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას.

როგორც ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეები დიდი ინტერესითა და ხალისით იღებდნენ მონაწილეობას კომპლექსური დავალების შესრულებაში. მათ შექმნილი აქვთ არაერთი საინტერესო პროდუქტი, რის დასტურადაც უცხო ენების კათედრამ წარმოადგინა მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც სკოლაში, ამ მიმართულებით, არსებულ პრაქტიკაზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმს.

ესთეტიკური აღზრდა :

კურიკულუმზე დაყრდნობით - საშუალო საფეხური ხელოვნება, ასევე მასწვლებელბთან გასაუბრების დროს გამოვლინდა რომ პროექტული სწავლება იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას და რადგან წარმოდგენილი კურიკულუმები კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს ეფუძნება, მოსწავლე გარანტირებულად არის შემოქედებით პროცესში ჩართული. იგი მიმართულია ისეთ აქტივობებზე, რომ მოსწავლემ კეთების პროცესში შეიძინოს ცოდნა და საბოლოოდ ისეთ პროდუქტს ქმნიან, რომელიც მოიაზრებს ინდივიდუალურ შემოქმედებითი აქტის შედეგს

შეესაბამება;

2. **ბუნებისმეტყველება**

კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას.
წინარე ცოდნის გამოსავლენად პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს და აქტივობებს. ამგვარად დაგეგმილი სასწავლო პროცესი მასწავლებლებს ეხმარება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გამოვლენაში, მიღებულ ინფორმაციას იყენებენ მომდევნო ნაბიჯების დასაგეგმად. ტარდება ინტეგრირებული სადიაგნოსტიკო ტესტები სამივე საბუნებისმეტყველო საგანში. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასების ანალიზის, საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გათვალისწინებით, რომელსაც უზიარებენ პედაგოგიურ საბჭოს, შეაქვთ ცვლილებები აქტივობებისა და რესურსების ნაწილში.

მათემატიკა

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის-საშუალო საფეხურის განხილვის შედეგად გამოიკვეთა რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილენას რიცთვისაც კარგი მაგალითია საკითხთა კლასტერი, სადაც საკითხები იმ თანმიმდევრობითაა დალაგებული, რომ მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილებას ამასთან უნდა აღინიშნოს მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ სწავლების დროს აუცილებელია მოხდეს წინარე ცოდნის გააქტიურება უპირველესად და მასზე დაფუძნებით მიეწოდოს ახალი მასალა, წიმარე ცოდნის გამოსავლენად გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტები მათ შორის შესასვლელი ბილეთები, მინი ქვიზი და ზეპირი გამოკითხვა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილ კურიკულუმებში. კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

სახელმწიფო ენა

მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სარეკომენდაციო თემების ფარგლებში. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით.

უცხო ენა



სკოლის მიერ შემუშავებულ, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, სასწავლო თემები მოსწავლეებისთვის ნაცნობ შინაარსებსა და კონტექსტებთან არის დაკავშირებული, რომელიც მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმებში, გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები.

სკოლა ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და მას განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები, რომლის დასტურადაც სკოლას გადმოგზავნილი აქვს მატრიცები. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს, იკვეთება, რომ საკვანძო შეკითხვები, მოსწავლეებს წინარე ცოდნის გააქტიურებაში ეხმარება. გასაუბრების დროს, აღინიშნა, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის წარმოდგენილი მეთოდი, საშუალო საფეხურზეც აქტიურად გამოიყენება.

ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა, არსებული პრაქტიკის დასტურად, წარმოდგინეს სხვადასხვა რესურსი, რომელსაც იყენებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნის გასააქტიურებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა პასუხობს მოცემულ კრიტერიუმს.

შეესაბამება;

3. ბუნებისმეტყველება

თემატურ მატრიცებში წარმოდგენილია კითხვები: რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან? ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარები. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობენ ხარვეზების გამოსწორების გზებზე.

მათემატიკა

გასაუბრებაზე კოლეგებმა გამოხატეს მზაობა იმისა რომ ისინი სასწავლო პროცესში ყურადღებას აქცევენს და მიაქცევენ, სწავლების ისეთ მეთოდოლოგიას რომელიც მოსწავლეებს უვითარებს საწავლის-საწავას უნარებს, ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა სახი აქტივობები სადაც მოსწავლე შემოქმედებით პროცესებში არის ჩართული და აკეთებს მაგალითად სხვადასხვა სახის გარფიკულ მაორგანიზებლებს სადაც ალაგებს საკითხებს და იაზრებს სიღრმისეულად , ასევე ახდენს საკუთარი ნამუშევრის თვითშეფაცებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო კურიკულუმებში ძირითადად აქცენტი კეთდება სწავლა-სწავლების მართებულ ხეხრხებზე და მიდგომებზე. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაზე.

სახელმწიფო ენა

მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.

უცხო ენა

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელთა საეტაპო აქტივობებიც და წარდგენის ეტაპიც გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

უცხო ენებში, განხორციელებულ მატრიცებში, კომპლექსური დავალების პრეზენტაციასთან დაკავშირებით, ჩამოთვლილია მთელი რიგი შეკითხვები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს მეტაკოგნიტური უნარების (სწავლის სწავლა) განვითარებაში, რადგან მას უწევს რეფლექსიის გაკეთება შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურზე, სწავლის სწავლის კოპტენეციის, განვითარება მსგავსი მეთოდოლოგიის გამოყენებით ხდება, როგორც ეს დაწყებითი და საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალების მატრიცებიდან იკითხება.

შეესაბამება

4. **ბუნებისმეტყველება**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი საზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს.

წინარე ცოდნის გააქტიურების დროს აქცენტი კეთდება დეკლარატიულ ცოდნაზე, ამისთვის უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა მაორგანიზებელ სქემას. პრაქტიკული სამუშაოები შეესაბამება პროცედურებს, რომლებიც მოქმედებების განხორციელების საშუალებას იძლევა. პროცედურული ცოდნა უპასუხებს შეკითხვას: როგორ განვახორციელო? დინამიკური ხასიათისაა და მოქმედებათა განხორციელების საშუალებას იძლევა. პირობისეული ცოდნა აერთიანებს დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნას და გულისხმობს ტრანსფერს ცხოვრებაში.

სწავლებისას გამოყენებულია პროექტებით სწავლებაც, რაც ასევე ხელს უწყობს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებას.

მათემატიკა

ცოდნათა სამ კატეგორიასთან მიმართებით საშუალო საფეხურის კურიკულუმში იკვეთება, რომ ზოგადად კომპლექსური დავალების შესრულების დროს ყურადღება მახვილდება როგორც თეორიულ ცოდნაზე ასევე მის პრაქტიკულ გამოყენებაზე უფრო კონკრეტულად, წარმოდგენილი კომპლექსური დავალება და მისი თანდევი განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ანალიზი იძლევა იმის აღნიშვნის საშუალებას რომ აქტივობები მასწავლებელს აქვს ცოდნის სამ კატეგორიაზე გათვლილი როგორიც არის თეორიული მასალის ათვისება და მასზე დაყრდნობით მათემატიკური პროცედურების განმტკიცება და გამოყენებით ცხოვრებისეულ კონტექსტში გადატანა. სკოლას აქვს მზაობა აღნიშნული მიმართულებით გააგრძელოს მუშაობა

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესისათვის დაგეგმილი კურიკულუმები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

სახელმწიფო ენა

წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) გასაუბრებისას წარმოადგინეს კომპლექსური დავალებები (პროდუქტები) ნათლად გამოკვეთს, რომ მსგავსი ტიპის დავალებების შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს სამივე ტიპის ცოდნას.

უცხო ენა

კომპლექსური ტიპის დავალებები არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები, საშუალო საფეხურზე, ითავლისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის გაპრაქტიკებას, უცხო ენების შესწავლის პროცესში. სკოლას, ამ მხრივ, გააჩნია გარკვეული გამოცდილება, რის დამადასტურებლადაც მას წარმოდგენილი აქვს უცხო ენებში განხორციელებული, კომპლექსური დავალებების მატრიცები, შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

ესთეტიკური აღზრდა

ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება იკვეთება საგნობრივ კურიკულუმში - საშუალო საფეხური ხელოვნება სადაც ჩანს რომ სასწავლო პროცესში პროქტული სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება კომპლექსური ტიპის დავალების განხორციელებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს შდეგად დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობასა და განვითარებას. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი პროქეტი ისეა შერჩეული, რომ მოსწავლემ შეძლოს როგორც თეორიული ცოდნის მიღება, ისე სხვადასხვა ქმედების შესრულება და მისი შემდგომი საჭიროებისამებრ გამოყენება.

შეესაბამება;

5. **ბუნებისმეტყველება**

კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე მნიშვნელოვანია, როდესაც მოსწავლე საუბრობს იმაზე თუ რა სტრატეგიები გამოიყენება ან რას შეცვლიდა. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ კომპლექსური დავალების ეტაპები, მოსწავლის საბოლოო პროდუქტის წარდგენა უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის ტრანსფერს. იგივე როლს ასრულებს პროექტული სწავლებაც. სკოლაში ტარდება ტრადიციად ქცეული მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება EDU PARK-ის დღეები, სადაც მოსწავლეები ერთი დღით ირგებენ მასწავლებლის როლს და ატარებენ გაკვეთილებს სხვადასხვა კლასებში. ღონისძიების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ თვითრეფლექსიას და საუკეთესო ნაშრომი გამოაქვთ სასკოლო კონფერენციაზე.

მათემატიკა

ცოდნათა ორგანიზებისთვის და ურთიერთდაკავშირებისათვის გამოიყენება სხვადასხვა აქტივობები მათ შორის გამოვყოფ კომპლექსურ დავალებას, რომლის შესრულება მოითხოვს თემის ფარგლებში მოხდეს ცოდნათა ურთიერთ დაკავშირება და მის საფუძველზე შეიქმნას შემოქმედებითი პროდუქტი, რაშიდაც მოსწავლე აჩვენებს გავლილი მასალის აქტუალიზების საფუძველზე ახალი ცოდნის აგების მზაობას, ასევე შუალედურად ხდება გაკვეთილზე დამოიუკიდებელი სამუშაოს შესრულების ხარჯზე შემოწმება როგორ ურთიერთდაკავშირებულად წარმოადგენს ცოდნებს მოსწავლე, რაც ხელისშემწყობია მისი აკადემიური შედეგების გაუმჯობესების.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებასა, ორგანიზებას და ცოდნის ფუნქციური უნარების გამოყენებას.

სახელმწიფო ენა

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

უცხო ენა

მოსწავლეების ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლო კურიკულუმები. საშუალო საფეხურის, უცხო ენების კურიკულუმებში, სასწავლო საკითხები ისე არის გაწერილი, რომ გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიეთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც განაპირობებს, რომ მოსწავლემ გარკვეული კავშირები დაამყაროს ცოდნასა და საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასათან, მას მოუწევს ფიქრი პრობლემასა თუ გამოწვევებზე და შესაბამისი ცოდნის თავმოყრა. კომპლექსური ბუნების დავალებები ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, შესაბამისად, მოსწავლე გააქტიურებს სხვადასხვა ცოდნას და ერთმანეთს დაუკავშირებს. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმს.

შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
2. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
3. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
4. კათედრის ოქმი, გადაწყვეტილება

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
6. პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.
7. სასკოლო სასწავლო გეგმა;
8. სასწავლო რესურსი
9. დაწყებითი, საბაზო და საშუალოსაფეხურის უცხო ენების კურიკულუმები
10. უცხო ენებში განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები
11. მოსწავლეების ნამუშევრები;
12. Power point-ის პრეზენტაციები (წინარე ცოდნის გასააქტიურებლად);
13. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები
14. ბლოგზე: http://33skola.blogspot.com/ განთავსებული პროექტები
15. კლუბები და წრეები
16. მოსწავლეთა ნამუშევრები
17. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მოსწავლეთა შეფასების სისტემა,
18. პროფ ორიენტაცია (მოსწავლეთა პროფესიული არჩევანის გაკეთების მიზნით)
19. შეფასების ფორმები,
20. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
21. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის სასკოლო პროექტები
22. სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის მასწავლებლთა პორტფოლიოები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში გრძელვადიან მიზნებად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები (საკითხთა კლასტერი), რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. გამოკვეთილია ქვეცნებები, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან.

კომპლექსური დავალებების ანალიზის შედეგად იკვეთება საგნობრივი საჭიროებები, რომლებიც პედაგოგებისთვის გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს მომდევნო სასწავლო წელს იმავე კომპლექსური დავალების განხორციელებისას. ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს რომელმა აქტივობამ იმუშავა მოსწავლეებისთვის კარგად კონკრეტული მკვიდრი წარმოდგენების გასათავისებლად და რომელმა - ნაკლებად.

2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმიც, სწორედ გასული წლის ანალიზის შედეგად დაიგეგმა და შეირჩა ისეთ საგნობრივი საკითხები და კომპლექსური დავალებები, რომლებიც მაქსიმალურად იძლევა შესაძლებლობას, დაფაროს საგნის ყველა სამიზნე ცნება.

მათემატიკა

საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესის მართვა დაფუძნებულია საგნის კურიკულუმზე, რომელსაც უზრუნველყოფს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზანი (შედეგი, სამიზნე ცნება)შუალედური მიზანი (კომპლექსური ბუნების დავალება) თითოეული ერთეული მიემართება სწავლა-სწავლების პროცესისაკენ და ხელს უწყობს კონსტრუქტივისტული სწავლების მიდგომებს,რაც აისახება საგნობრივ კურიკულუმში კომპლექსური ტიპის დავალებების სახით.

საშუალო საფეხურზე მათემატიკის კურიკულუმში წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს/ცოდნათა არეალ), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესში დაგეგმილი კურუკულუმები, განისაზღვრება საგნების სტანდარტის შინაარსის ფარგლებში, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებით.

სახეკმწიფო ენა

თვითშეფასების და გასაუბრების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ,რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ,რომ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. საშუალო საფეხურზე გასათვალისწინებელია სავალდებულო თემატური ბლოკისა და ნაწარმოებების საკითხი.

უცხო ენა

საშუალო საფეხურის უცხო ენების საგნობრივ კურიკულუმებში, სამიზნე ცნებები, ძირითადად სრულყოფილად არის წარმოდგენილი, ხოლო მასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრ წარმოდგენებთან ერთად, განვრცობოლია იმ თავებში, რომლებშიც მასწავლებელს მოაზრებული აქვს კომპლექსური დავალების განხორციელება. სასწავლო თემები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, უცხო ენებისთვის გათვალისწინებულ სარეკომენდაციო თემებს. სამიზნე ცნებებს, სასწავლო საკითხებს, დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებსა და განხორციელებისთვის აუცილებელ რესურსებს შორის კავშირი კარგად არის დანახული. სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ ინდიკატორს.

სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ მასწავლებელმა სასწავლო პროცესი, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, გაიაზროს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კონტექსტში და შესაბამისად განახორციელოს სასწავლო პროცესში ამას ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი

შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კურიკულუმებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ე.ს.გ შესაბამისად.

კურიკულუმების ჩარჩოებში ნათლად ჩანს ყველა თემის კავშირი სამიზნე ცნებასთან.

შეესაბამება

2. **ბუნებისმეტყველება**

სწავლის პროცესი ორიენტაცირებულია შემდეგ კომპეტენციებზე: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს მოუწევს შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს პატივისცემა სხვების აზრის მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა და აიღოს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე.

მათემატიკა

უნდა აღინიშნოს რომ საშუალო საფეხურის საშუალო საფეხურის, მე-10 და მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი, წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, კომპლექსური დავალების იდეები მე-10 კლასში ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შეჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც მოახდენს გავლენას. მატემატიკის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნისას მოუწევთ საკუთარი იდეების დაცვა, მსჯელობისას საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე ხაზ გასმა. მასწავლებელბმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ რაოდენ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების დანერგვა რომელიც ხელს შეუწყობს, თანამშრომლობას, სხვისი აზრის მოსმენა გაზიარების უნარებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.

სახელმწიფო ენა

-ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში იკითხება ზოგადი ხედვა, საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომაგენელების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის

პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელ ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადასხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მასწავლებლები იყენებენ პერსონაჟის სკამი,აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების კითხვას, ფილმების ჩვენებას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. გარდა ამისა, სკოლა იყენებს როლური თამაშებს, პრეზენტაციებს, სხვადასხვა პროდუქტის შექმნას, სიტუაციურ მაგალითებს. აღნიშნული ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში.

უცხო ენა

საშუალო საფეხურის, როგორც პირველი, ისე მეორე უცხო ენების საგნობრივ კურიკულმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად: პროფესიები, სასკოლო ცხოვრება, ქალაქი, მოგზაურობა, ჩაცმულობა-სტილი, ცნობილი ადამიანები სხვა). ასეთ თემებზე მუშაობა, მნიშვნელოვანია მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის. კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც კურიკულუმებშია ჩადებული, ხელს შეუწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მათ შესაძლებლობა მიეცემათ, სხვადასხვა დავალების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე.

სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს, რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მაგ: სასკოლო ფესტივალი, კედლის გაზეთი, ლაშქრობა მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ პარალელურ კლასელებთან.

ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. სპორტის საგანი სწორედ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

შეესაბამება;

3. ბუნებისმეტყველება

მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლაში დანერგილია კომპლექსური დავალების შეფასების მეორე მოდელი, რომელიც გულისხმობს განმავითარებელი შეფასების გაძლიერებას. მასწავლებელი მიმდინარე შეფასებებს ახორციელებს კომპლექსური დავალების მსვლელობის პროცესში, როდესაც ის სხვადასხვა ტიპის აქტივობებში (კითხვების დასმა, იდეების გენერირება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, პრობლემის დანახვა, როლური თამაში) რთავს მოსწავლეებს. ხოლო შემაჯამებელ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას მასწავლებელი იძლევა კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ. შემაჯამებელ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას მასწავლებლები გასცემენ იმდენჯერ, რამდენ კომპლექსურ დავალებასაც ახორციელებენ სასწავლო წლის მანძილზე. განმავითარებელ შეფასებას გასცემს როგორც ზეპირი, ასევე წერილობით ფორმით. სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეებს აძლევენ ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ჰოლისტურ შეფასებას წელიწადში 3-ჯერ, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მშობლებისთვის. ჰოლისტური შეფასება დაფუძნებულია მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების, ცოდნის ათვისების პროცესის და მისი ფუნქციურად გამოყენების უნარების შეფასებაზე. წერილობითი და ზეპირი განმავითარებელი შეფასებები მიმართულია მოსწავლის სხვადასხვა უნარის განვითარებაზე. ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრწმენის და შინაგანი მოტივაციის გაძლიერებას და მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობისას მოსწავლეები ეცნობიან შეფასების რუბრიკას, რითაც მათთვის ნათლადაა ფორმულირებული, თუ რის მიხედვით მოხდება მათ შეფასება, რა უნდა გაითვალისწინონ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ამ პროცესს სკოლა წარმართავს Teams-ის პლატფორმის საშუალებით, სადაც კომპლექსური დავალების პირობასთან ერთად იტვირთება შეფასების რუბრიკაც.

მათემატიკა

აქაც უნდა დავეყრდნოთ მოწოდებული შეფასების რუბრიკებს, რომლის განხილვის შემდეგ გამოიკვეთა რომ მათემატიკის მასწავლებლები შეფასების ინდიკატორებთან მიმაღტებაში მოსწავლის შეფასება მოახდინონ ჰოლისთური მეთოდოლოგიით სადაც იქნება გაწერილი დეტალურად განსახორციელებელი პროცესები და ბოლოს შესაბამისი კომენტარი რომელიც აზუსტებს მოსწავლესთან მიმართებით შეფასების ფორმას. (ვეყრდნობი კათედრის მიერ გამოგზავნილ ერთ განმასზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკას)

საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარების უნარებზე, სისტემური ცოდნის კონსტრუირებაზე.

სახელმწიფო ენა

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. საშუალო საფეხურის, კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; *ბუნდოვანი დარჩა* განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. *V-XII კლასების მოსწავლების მიღწევები* ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მკაფიოდ არ არის მითითებული, როგორ შეიმუშავებს კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნება იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშავონ.

უცხო ენა

კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას;

უცხო ენების კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იყენებენ უცხო ენებში (ინგლისური, რუსული და გერმანული ენები), ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო), კომპლექსური დავალების შესაფასებლად. როგორც განმავათარებელ, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, მოცემულია უცხო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებები, თავისი შედეგებით, აგრეთვე სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებსაც მოსწავლემ უნდა უპასუხოს.

პედაგოგებმა, გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ამ რუბრიკებს იყენებენ მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის. ინტერვიუს დროს, უცხო ენების მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ აკეთებენ მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებას ელექტრონულ ჟურნალში, რის დასტურადაც, ნიმუშის სახით, წარმოდგენილი აქვთ ჰოლისტური შეფასების ფოტო ასლები. მოცემული დოკუმენტაციის საფუძველზე, მთლიანობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

სპორტი

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცეში გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს შეფასების რუბრიკების შემუშავებაზე, რომელიც გაიწერება სამიზნე ცნებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მის კავშირს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებასთან.

შეესაბამება;

4. ბუნებისმეტყველება

წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ობიექტური, განჭვირვალე, ვალიდური და სანდოა. შეფასების რუბრიკებში ასახულია, რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების კრიტერიუმები. შეფასების სქემა მკაფიო და არაორაზროვანია შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს.

კომპლექსური დავალებების განხორციელების წინ მასწავლებელი მოსწავლეებს და მშობლებს (მშობლის ბარათების საშუალებით, იყენებს ელექტრონულ პლატფორმას Teams) აცნობს როგორც დავალების პირობას, ასევე შეფასების რუბრიკებსაც. აღნიშნული რუბრიკები იქმნება და იხვეწება კათედრის სამუშაო შეხვედრებზე. რუბრიკები საშუალებას აძლევს მოსწავლეს იცოდეს, რა კრიტერიუმებით შეფასდება ის. აღნიშნული პროცესით უზრუნველყოფენ, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური და გამჭვირვალე. სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასებას.

მათემატიკა

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკის ანალიზიდან გამოიკვეთა რომ შეფასება არის მიზნის შესაბამისი რადგან ასახავს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, თემასთან შესაბამისობას, ამასთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა მოსაზრება რომ შეფასები პროცესები არის გამჭვირვალე და სანდო რათა მეტი ობიექტურობა იყოს დაცული შეფასების პროცესში და აქცენტი გაკეთდეს მიზნობრივად შესაფასებელ პროცესებზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასების სისტემა არის ვალიდური

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციი თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.. მოსწავლემ წინასწარ იცის, თვითონაც მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. მოსწავლის წინსვლის საშუალებას ძირითადად ხდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. გასაუბრებისას მასწავლებლემა მეტნაკლებად გამოკვეთეს როგორ და რა მეთოდიკური ორიენტირებით მოახდენენ შეფასების კონცეფციისა და მიდგომის შემუშავებას.

უცხო ენა

ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას აფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებთან. სკოლის ავტორიზაციის პროცესში, ინტერვიუს დროს, უცხო ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებს ყველა საფეხურზე იყენებენ, როგორ პირველ, ისე მეორე უცხო ენაში. აღნიშნული რუბრიკების გამოყენება უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და ობიექტურობას უცხო ენების სწავლების პროცესში. შესაბამისად სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

სპორტი

რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ აფასებს მასწავლებელი. ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა.

შეესაბამება;

5. ბუნებისმეტყველება

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სხვადასხვა მექანიზმი. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე ადგენენ და განიხილავენ კომპლექსური დავალებების და აქტივობების შეფასების რუბრიკებს. კათედრების სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, რომლებიც თვითონ შეიმუშავეს და დანერგეს პრაქტიკაში. ამ პროცესში ჩართულია დირექცია და შეფასების ჯგუფი, რომლებიც გაკვეთილებზე დასწრებისას აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულ შეფასების ინსტრუმენტებს და კეთდება ანალიზი, თუ რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული შეფასების რუბრიკებით მოსწავლემ შეძლოს შედეგების გაუმჯობესება და გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმით გათვალისწინებულია ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დამტკიცებული სადიაგნოსტიკო ტესტები, რომელიც ხელს უწყობს დაადგინოს მოსწავლეებში, რამდენად ფლობენ ისინი გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს. წლის ბოლოს თავიანთ ანგარიშებს წარმოადგენენ კათედრები და მასწავლებლები ყველა ჩატარებული შემაჯამებლების შემდეგ სკოლის ბლოგზე ტვირთავენ ანალიზსა და მოსწავლეების ნამუშევრებს საგნების მიხედვით, რომელიც განთავსებული და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის გაზიარებულ სივრცეში არსებულ პორტფოლიოში. სკოლაში წლის ბოლოს ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელზეც მოწვეული არიან სასკოლო საზოგადოების ყველა წევრები და ეცნობიან მოსწავლეთა მიღწევებს მთელი წლის განმავლობაში.

მათემატიკა

ამ მიმართულებით საუბარია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, კოლეგებმაც ისაუბრეს გასაუბრების დროს და აღნიშნეს, რომ ფაქტის, მასალის (შეფასების დოკუმენტის), მოსწავლის შეფასებასთან ნამდვილობის შემოწმება/დადგენა ხდება კათედრაზე. იყენებენ ვალიდურ პროცესებს სადაც უნდა გამოიკვეთოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები რის დასკვნით ნაწილსაც, ამ განხილვებს მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ ყველა მონაცემებს, მტკიცებულებები სათანადოდ აღრიცხული აქვთ, რომელიც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებიდან.

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. მათ საფუძველზე მასწავლებელი მუშაობის პროცესში აკადემიური თავისუფლების და მოსწავლეებისთვის წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი ამ პრინციპებს იცავს, როგორც წესი, იშვიათია უთანხმოება თუმცა, მოსწავლეებსა და მათი მშობლებს აქვთ უფლება მიმართავენ სკოლის დირექციას სემესტრული თუ მიაჩნიათ, რომ მიღებული შეფასება არაადეკვატურია. გარდა ამისა, დირექციის ფუნქციებიდან ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, თვალყური ადევნონ და საქმის კურსში იყვნენ კონკრეტულ კლასებსა და საგნებში შეფასების დინამიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართონ პრევენციულ ღონისძიებებს.

შეესაბამება;

6. ბუნებისმეტყველება:

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობიდან გამომდინარე არანაკლებ 3 წლის ვადით. ამისთვის სკოლაში შექმნილია ბაზა, სადაც ინახება მოსწავლეთა პორტფოლიოები.

მათემატიკა;

სკოლას შერსწევს პოტენციალი დოკუმენტი შეინახოს სამი წლის ვადით

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ ყველა მონაცემებს, მტკიცებულებები სათანადოდ აღრიცხული აქვთ, რომელიც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებიდან.

სახელმწიფო ენა

სკოლაში აქვთ მცდელობა განმსაზღვრელი მეორე მოდელის შემოტანისა, განმსაზღვრელი შეფასებისას მეტნაკლებად ჩანს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის აღწერილობა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. სკოალა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული სკოლა უზრუნველყოფს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. კათედრაზე ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები დამრიგებლებთა დახმარებით ხდება აკადემიური მიღწევების აღრიცხვა დ შენახვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
3. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
4. სსსმ მოსწავლეების სამოქმედო გემე ინკლუზიური მიმართულებით
5. USAID.პროგრამა
6. მოსწავლეთა მხარდაჭერა
7. კათედრის ოქმები
8. ხარისხის უზრუნველყოფა
9. მოსწავლეთა ნამუშევრები (სურათები)
10. შეფასების ფორმები
11. არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია/ფოტომასალა;
12. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამა
13. საბაზო კლასების მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამა.
14. საშუალო კლასების მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამა.

15. უცხო ენებში განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები
16. კლუბები, წრეები- დანართი N10
17. Power point-ის პრეზენტაციები (წინარე ცოდნის გასააქტიურებლად);
18. კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
19. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
20. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
21. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
22. პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა:

1. **ბუნებისმეტყველება**

სასწავლო წლის დასაწყისში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება. სკოლისთვის პრიორიტეტია შექმნას მაღალი მიმღებლობის და მხარდამჭერი გარემო მოსწავლისათვის, რაც ჩანს სკოლის მისიაში. სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის შექმნილია მხარდაჭერასა და ურთიერთპატივისცემაზე ორიენტირებული გარემო. მოსწავლეები ინფორმირებულები არიან სკოლაში მოქმედი არაფორმალური სასწავლო-საგანმანათლებლო აქტივობების, წრეების, კლუბების შესახებ. შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მუშაობის გეგმები, ინდ. გეგმები. მოსწავლეებს აქვთ საშუალება ესგ

სტანდარტით გათვალისწინებული არჩევითი საგნებიდან აირჩიონ სასურველი საგანი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი ხელს უწყობს პოზიტიური და თანამშრომლობითი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებას.

სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა მხარდამჭერი ჯგუფები, სადაც მშობლის განცხადების საფუძველზე მოსწავლეებს მასწავლებლები უტარებენ დამატებით გაკვეთილებს მათი საჭიროებიდან გამომდინარე. თანამშრომლობითი კულტურის დანერგვის მიზნით, კათედრაზე აქტიურად აქვთ დანერგილი ურთიერთდასწრების გაკვეთილები. კათედრის წევრები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე. დამსწრე პედაგოგი ავსებენ კითხვარის ელექტრონულ ფორმას, გასცემენ და იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. აღნიშნულმა ხელი შეუწყო კოლეგებს შორის პოზიტიური და მხარდამჭერი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. სკოლაში შექმნილია მშობელთა კლუბი, რომელიც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სამუშაო ჯგუფები განიხილავენ თანამედროვე მიდგომებს სწავლებაში. უფრო ფართო საზოგადოებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით სკოლა ტრადიციულად/პერიოდულად მართავს, ფორუმებს, კონფერენციებს და ვორქშოპებს.

მათემატიკა

კათედრა ცდილობს შექმნას ისეთი მხარდამჭერი გარემო სადაც თითოეულ მასწავლებელს დაეხმარებიან და გაუწევენ მეგზურობას სასწავლო პროცესის უფრო ეფექტიანად წარსამართავად, ამაში ისინი იყენებენ კრიტიკული მეგობრის რჩევებს და სხვა

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სასკოლო გეგმიდან, საგნობრივი კურიკულუმებიდან, ატვირთული თვითშეფასების დოკუმენტიდან და ასევე ხარისხის განვითარების დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლაში იგრძნობა პოზიტიური გარემო, თანამშრომლობითი გავნვითარების მაღალო დონე და მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და სწავლა სწავლების ამაღლებაზე ზრუნვა და ინკლუზიური მიდგომა.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უნდა უზრუნველყოფდეს.

შეესაბამება

2. **ბუნებისმეტყველება**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. ამის საუკეთესო საშუალებაა კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და პრობლემებს, რომელიც არა მხოლოდ პირდაპირ საგაკვეთილო პროცესთან არის დაკავშირებული. ხორციელდება ისეთი სასწავლო პროექტები, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის და ინტერესის ზრდას უზრუნველყოფს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე.

სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები კურიკულუმების შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ეფექტურად დაგეგმილი გაკვეთილები, კომპლექსური დავალებები, პროექტები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებები, რომლებიც მოსწავლეთა დაახლოებას, თანამშრომლობას, პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეს არ ეზღუდება აზრის გამოთქმის, არჩევანის უფლებები.

მათემატიკა

როგორც მოწოდებული ჩარჩო დოკუმენტებიდან სჩანს სასწავლო პროცესეი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად რადგან საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები და მაგალითი შედარებისთვის ისე არის წარმოდგენილი რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლეზე მის განვითარების გზაზე რომელიც ინდივიდუალური პიროვნების.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რომელიც უვითარებს მოსწავლეებს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებით აზროვნებას და ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის მარტივი გზების მოძიების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. რომლის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენს სკოლის დოკუმენტებში ატვირთული სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტები.

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე.

შეესაბამება

3. **ბუნებისმეტყველება**

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. წლების განმავლობაში სასკოლო კულტურაში ჩამოყალიბდა თანამშრომლობითი კულტურის მაღალი დონე და ეფექტური კომუნიკაცია. საბაზო საფეხურის პედაგოგები უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას, ადგენენ კურიკულუმებს, მთელი წელი ერთობლივად მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე; ესწრებიან გაკვეთილებს ატარებენ სამოდელო გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს; სპეციალური ფოკუსირებული დაკვირვების ფორმის მეშვეობით ხდება ურთიერთდასწრება. სწავლის დონის ამაღლებისათვის და მოსწავლეების უნარის განვითარებისათვის სკოლის პედაგოგები ატარებენ საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევებს და მიღებულ გამოცდილებას იყენებენ საკლასო სივრცეში, უზიარებენ თანამშრომლებს. სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანი და ამოცანაა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფის გზით სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და სკოლის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის ჩამოყალიბებით მისი ავტონომიურობის გაძლიერების ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება.

სკოლა ყოველწლიურად აქტიურად არის ჩართული STEAM ფესტივალში, რომელიც ორიენტირებულია საგანთა

შორის კავშირებისა და კათედრებს შორის თანმშრომლობის გაძლიერებაზე. ფესტივალზე მოსწავლეები მოწვეული სტუმრების და სასკოლო საზოგადოების წინაშე წარსდგნენ შესრულებული კომპლექსური დავალებებით.

მათემატიკა

სკოლაში მიმდინარეობს სამუშაო შეხედულებების სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის მიღებული გამოცდილების გაზიარების კუღხით, ახალი რესურსის გაცნობა გამოყენების მხრივ, მოსწავლეთა შედეგების პროგრესისი მონიტორინგის ანგარიშის მიმართულებით, მუშავდება არაერთი მიდგომა ხდება მის სარგებლიანობის შეფასება და ანალიზი რაც კათედრის სხდომაზე განზოგზდდება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

აღნიშნული დოკუმენტებიდან და გასაუბრენის შედეგებიდან ჩანს რომ კათედრის წევრები თანამშრომლობენ და ერთად გეგმავენ სასკოლო აქტივობებს და კურიკულუმებს

სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; თვითმმართველობასთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მისი თვითგანვითარებაში გეგმავენ მოსწავლეების

მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება თემატურ მატრიცაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების გაანალიზების შედეგად.

შეესაბამება;

4. **ბუნებისმეტყველება.**

სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი. წახალისებულია თანამშრომლობა და თანასწავლება. სკოლაში სწავლა-სწავლება ინტერაქტიული ფორმით მიმდინარეობს. აქცენტი კეთდება მოსწავლეთა წარმატებებზე და არა მარცხზე, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას. სკოლისა და კლასის დონეზე უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო. მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობის მაღალი ხარისხის მისაღებად, საბაზო საფეხურის თითოეულ მასწავლებლის მიერ წახალისებულია სამოქალაქო აქტივობები და პროექტები, იმართება ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები, ადამიანის უფლებებისა და გენდერულ თანასწორობაზე მიმართული აქტივობები, რაც საერთო ჯამში ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ ზრდასა და ძირითადი ღირებულებების ჩამოყალიბებას.

მათემატიკა

სკოლაში კათედრის დონეზე სასწავლო კლიმატის გაუმჯობესების კუთხით მოსწავლეტა სინაგანი მოტივაციის გაზრდისათვლის ინერგება დიფ სწავლების მეთოდები, სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გეგმები. ასევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითრება, კათედრა მუსაობს გარკვეული პერიოდულობით რომელიც ხელს უწყობს შედეგების კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო და ინდივიდუალურად უდგებიან მოსწავლეთა საჭიროებებს.

სახელმწიფო ენა

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული

თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის კურიკულუმები
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
3. სკოლის შინაგანაწესი
4. სსმ მოსწავლეების სამოქმედო გემე ინკლუზიური მიმართულებით
5. USAID.პროგრამა
6. მოსწავლეთა მხარდაჭერა
7. კათედრის ოქმები
8. ხარისხის უზრუნველყოფა
9. სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
10. სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
11. სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც აღწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);

- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხდება კომპლექსური დავალებების ანალიზის საფუძველზე. ყველა კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ მასწავლებლები ახდენენ კომპლექსური დავალების ანალიზს და შედეგების გაზიარებას საგნობრივ კათედრებზე და. კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს ხარისხის ჯგუფი. მონიტორინგი და დაკვირვებათანმდევი პროცესია კურიკულუმზე მუშაობისთვის, სადაც დეტალურად და მოხდეს განხილვა შემუშავებული ცნებების, ქვეცნებების, საკვანძო შეკითხვების და დავალების პირობის. საბაზო საფეხურის პედაგოგები ყოველი გაკეთებული კომპლექსურის დავალების შემდეგ ბლოგზე ტვირთავენ კომპლექსური დავალების ანალიზს და მოსწავლეების ნამუშევრებს. სკოლაში მუშაობს მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია სსიპ ქ. ქუთაისის N33 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერი ჯგუფის მიერ სკოლის დირექტორის ხელმძღვნაელობით. ჯგუფი შედგება სკოლის წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისაგანრომლებიც ზრუნავენ სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. წევრებს შორის მოვალეობების გადანაწილება ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მტკიცდება ოქმით. მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული

მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით.

მათემატიკა

კათედრა სისტემატურად ახორციელებს სასწავლო წლის განმავლობაში დაკვირვებას კათერის წევრებს შორის მიღებული შედეგების ანალიზისათვის. ამისათვის გამოიყენება შემაჯამებელი დავალებელის ანალიზის ფორმა, რომელიც სემესტრის ფარგლებში იძლევა სრულ სურათს კლასის დონეზე დაძლეული გამოწვევების შესახებ და რა საჭიროება დგას საგნობრივი მიმართულებით რათა განვითარდეს და აკადემიური შედეგები გაუმჯობესდეს მოსწავლეებში. ხდება ურთუიერთ დასწრება გაკვეთილზე, გამოიყენება კრიტიკული მეგობრის დახმარება, ეს ყოველივე ხელის შემწყობია, შეფასების ეფექტური მექანიზმების არსებობის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და გასაუბრების შედეგებიდან, ჩაანს რომ სასწავლო წლის ბოლოს ხდება კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების მოდიფიცირება, სადაც გათვალისწინებულა მოსწაცლეთა საჭიროებები.

სახელმწიფო ენა

სკოლას ამ ეტაპზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგის დრაფ-ვერსია აქვს შემუშავებული, რომელიც ჯერჯეროვნად არ ამოქმედებულა. ამ ეტაპამდე მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიოტირნგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოცენილი ხარვეზების მითითეხა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება.ს. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას.

შეესაბამება;

2. **ბუნებისმეტყველება**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. ის არის საუკეთესო საშუალება პრობლემების იდენტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების მთავარი დანიშნულება არის სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა.

მათემატიკა

კათედრის წევრებს შორის გამოცდილების გაზიარების კუთხით, გაკვეთილზე დასწრების შედეგად მიღებული უკუკავშირების საფუძველზე გაიცემა კონსტრუქციული განმავითარებელი შეფასება დახმარების პროცესში ერთობლივად იგეგმება ქმედითი ნაბიჯები რომელიც გამოწვევის წინაშე მდგომ პედაგოგს საშუალებას აძლევს, რომ დაძლიოს გამოწვევები. ამისათვის შეიძლება გავლილი იქნას სავალდებულო ტრენინგები, ან სხვა კათედრის წევრთან კონსულტაცია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მონიტორინგი ხორციელდება ცალკეული საგნობრივი პედაგოგების, კათედრები და დირექციის მიერ.

სახელმწიფო ენა

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს.

შეესაბამება;

3. ბუნებისმეტყველება

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით. სასკოლო საზოგადოება შეიმუშავებს სხვადასხვა მეთოდს მოსწავლეთა განვითარებისათვის. დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებისთვის შეიქმნა მხარდამჭერი ჯგუფები, სადაც მოსწავლეებს დამატებითი გაკვეთილები უტარდებათ საჭიროებისამებრ, მშობელთა თანხმობით. სასკოლო საზოგადოებამ, უფროსმა და წამყვანმა მასწავლებლებმა იკვლიეს საკუთარი და პედაგოგიური სასკოლო საჭიროებები. კვლევის მიგნებები მიმართულია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისაკენ და ატვირთულია სკოლის ბლოგზე. სკოლამ შეიმუშავა და დანერგა განმავითარებელი შეფასების სისტემა, რომელიც იძლევა საშუალებას შეფასება გახდეს ყოვლისმომცველი/ჰოლისტური. მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის

გზებისა და საშუალებების განსაზღვრა ხდება, სწორედ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე. განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება ემსახურება პრობლემის გამოკვეთასა და შემდგომში გადაჭრის გზების ძიებას.

მათემატიკა

მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოკბვეთილი გამოწვევები სასწავლო პროცესში, განიხილება პრიორიტეტის მიხედვით, რისთვისაც შემუშავდება ქმედითი ნაბიჯები რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიან მიზანზე შედეგიან ორიენტირებას და საშუალებას მისცემს მასწავლებელს დაინახოს მკაფიოდ პრობლემების გადაჭრის გზა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმის მონიტორინგი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც დამატებით დოკუმენტების მასალებში არის წარმოდგენილი.

სახელმწიფო ენა

-კათედრებისა და დირექტორის მოადგილის, ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა. კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას.

შეესაბამება;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. ხარისხის მართვა
3. დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებში
4. ელექტრონული ჟურნალი

5. ხარისხის მართვა,
6. შეფასების სისტემა.
7. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
8. დაწყებითი კლასების კათედრის ოქმი;
9. კათედრის ანგარიში 2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ბუნებისმეტყველება**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. პრობლემების, გამოწვევების შესახებ ინფორმაციის წყაროდ სკოლა მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრს. ინფორმაციის მოგროვების მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძიება. ინფორმაციის მოპოვებას სკოლა გეგმავს სხვადასხვა წყაროს გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა.

სკოლაში არსებული შეფასების პრინციპები გათვლილია მოსწავლეთა სწავლების გრძელვადიან მიზნებზე და მათ ჰოლისტურ განვითარებაზე. შეფასების რუბრიკები შექმნილია მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით: საგნობრივი პროგრამები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ნამუშევრები, და სხვ. ინფორმაციის შეგროვებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი არიან საგნის პედაგოგები, კლასის დამრიგებლები, კათედრის ხელმძღვანელები, დირექცია. სკოლაში მოქმედებს შეფასების ჰოლისტური სისტემა, რომელიც გულისხმობს საგნის პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება მოხდეს სხვადასხვა კომპონენტების გათვალისწინებით. საბაზო საფეხურის პედაგოგები, გამომდინარე იქედან, რომ მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელთან ერთად განმსაზღვრელი შეფასებით, მაქსიმალურად ცდილობენ აღნიშნული შეფასება თავის თავში მოიცავდეს მოსწავლის მიღწევებს სხვადასხვა კომპონენტში.

მათემატიკა

სკოლაში გამოიყენება სხვადასხვა შეფასების რუბრიკები, მოწოდებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით შეიძლება ვთვათ რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს სხვადასხვა სახის შეფასების ინდიკატორები, მათ შორის შეიძლება იყოს ზეპირი შეფასება, სადიაგნოსტიკო შეფასება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და შევაფასებ დადებიტად, რადგან სკოლას აქვს გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმა რომელიც ორიენტირებულია კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო კონცეფციას, საშუალო საფეხურის კურიკულუმები წარმოდგენილია სრულყოფილად, რადგან სკოლას აქვს მრავალფეროვანი საკოლო, სასწავლო, სოციალური პროექტები, საგნობრივი კლუბები და წრეები.

სახელმწიფო ენა

-გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. ასევე მიუთითებდნენ, რომ ინფორმაციას ღებულობენ მშობლისგან, დამრიგებლისგან, მეტნაკლებად დაასაბუთეს ამ სახის მიღებულ ინფორმაციას, როგორ გამოიყენებენ შეფასებისას.

შეესაბამება

2. ბუნებისმეტყველება

ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს პედაგოგები მოსწავლის საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მიღებას გეგმავენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. მაგალითად მასწავლებელი საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გაითვალისწინებს ამავე დროს ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით: რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენადაა დაცული დიზაინი, რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით,

რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული, ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. იგეგმება შეფასების რუბრიკების გადახედვა, დახვეწა, საჭიროებებზე უკეთ მორგება.

მათემატიკა

როგორ გასაუბრებაზე გამოიკვეთა მოსაზრება შეფასება ეყრდნობა მრავალ კონტექსტს მათ შორის კომპლექსური დავალების განხორციელების მომენტში ყურადღება მახვილდება, გამჭოლ გლობალურ ფუნქციურ ექვს უნარზე, ასევე საგნობრივ საკითხებთან დაფუძნებით გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, რომელიც მკვიდრი წარმოდგენების ფარგლებში ყალიბდება, ასევე შემაჯამებელი სამუშაოს საფუძველზე იწერება განმსაზღვრელი ქულა რომელიც თემის ფარგლებში აფასებს მოსწავლეთა მიღწევის დონეს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესში საშუალო საფეხურზე შეფასება ხდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით. კურიკულუმებში განსახორციელებული და განხორციელებული აქტივობები მიემართება მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებისკენ.

სახელმწიფო ენა

მასწავლებელი საუბრობენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინი სპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას სამუშაო აქვს.

შეესაბამება;

3. ბუნებისმეტყველება

ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა. ეს მათ საშუალებას მისცემთ, მრავალმხრივ დაინახონ და შეაფასონ პრობლემა. საბაზო საფეხურზე სკოლის სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და სწორი შეფასება მისი ეფექტური

განხორციელების წინაპირობაა. სასკოლო საზოგადოების წინსვლა, სასწავლო დაწესებულების ავტორიტეტის ამაღლება მოითხოვს დირექციასა და პედაგოგებთან ერთად მშობელთა აქტიურ ჩართულობას. მონაცემთა შეგროვების მონიტორინგი გულისხმობს მონაცემთა შეგროვებას სხვადასხვა მეთოდით: (ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, ელფოსტის მეშვეობით ინტერვიუ, კითხვარები). (დანართი 23) მონიტორინგი ხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობისა და კომუნიკაციის საფუძველზე; პროცესში იხვეწება მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები; წესრიგდება დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
სასწავლო პროცესში მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგისთვის სკოლა რამდენიმე ინსტრუმენტს იყენებს. მაგალითად, Liveworksheets.com-ის ცოცხალი ფურცლები, რომლის საშუალებითაც შეიძლება შემოწმდეს რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი მასალა და რა კუთხით სჭირდებათ მეტი მუშაობა. მომავალშიც მონიტორინგი განხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობისა და კომუნიკაციის საფუძველზე; დაიხვეწება მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები; მოწესრიგდება დამადასტურებელი დოკუმენტები.

მათემატიკა

გასაუბრებაზე მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ შეფასების დაწერისათვის ისინი იყენებენ გაკვეთილზე დაკვირვებას, ქვიზებს, ასევე რიგ შემთხვევაში გამოიყენება სადიაგნოსტიკონ შეფასება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი მიმართლებები ,რომელსაც ვეცნობით სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტებში.

სახელმწიფო ენა

-კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. თუმცა, არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავეელათა შედეგების დიაგნოსტირებას „საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის.

შეესაბამება

4. **ბუნებისმეტყველება**

. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ მოახდინონ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. შეიმუშავონ მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი, მოახდინონ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებს, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ.

მათემატიკა

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გავლენას ახდენს ეფექტური განმავითარებელი შეფასება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

შეფასება ხდება საგნობრივი კათედრების და ხარისხის მართვის მიერ.

სახელმწიფო ენა

მასწავლებლების ხედვა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე.

შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
2. სსსმ მოსწავლეების სამოქმედო გეგმე
3. შეფასების ფორმები
4. მოსწავლეთა ნამუშევრები
5. სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
6. სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო პროექტიHE
7. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბუნებისმეტყველება

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, როგორ იქმნება კურიკულუმის განვითარების და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში: რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა/უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.

მოსწავლეთა შედეგები: რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას.

მშობელთა ჩართულობა: რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები) კათედრის მუშაობა: რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესწავლის მიმართულებით.

სკოლის დირექცია: რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს სკოლის დირექციის ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება.
თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და
შეფასების შედეგებს.

მათემატიკა
ის მიგნებები რომელიც გამოიკვეთა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს მნიშვნელოვანი არის რომ კიდევ ერთხელ გადამუშავდეს რაზედაც ინტერვიუში ისაუბრა მასწავლებლებმა და გაკეთდესანალიზი რა გამოცდილება მივიღე, როგორ გამოვიყენო ეს გამოცდილება მომდევნო სასწავლო წელს და სხვა

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მიმდინარე სასწავლო წლის 2023 – 2024 წწ. სკოლას აქვს დაგეგმილი საშუალო საფეხურზე 10 კლასის კურიკულუმებში სრულყოფილად დაგეგმილი რომელიც აკმაყოფილებს ესგ -თი გრძელვადიან მიზნებს, ემსახურება საგნობრივი სტანდარტების წლიურ პროგრამებს, გრძელვადიან მიზნებს, სკოლის ახალი ეტეპის დასწყებად ჩემი რეკომენდაციია რომ მე-10 კლასში განახორციელონ ის კურიკულუმში ჩაშლილი კომპლექსური დავალებები, ხოლო 11 კლასში კათედრის მიერ არჩეული გრიფირებულ სახელმძღვანელოზე მოარგონ რესურსები და ჩაშალონ სრულყოფილად როგორც მოცემულია ახალი სასწავლო წლის სტანდარტში, ასევე თუ სკოლას ყავს ამ კლასებში სპეხიალური საჭიროების მქონე მოსწავლეები შეადგინონ მათთის სსმ გეგმები

სახელმწიფო ენა
დოკუმენტის დრაფტ-ვერსიით არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორიზაციის თვიშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის გავითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. ითვალისწიბებენ მიღწევების თვითშეფასებას, SVOT-ანალიზს, წლიურ სამოქმედო გეგმას. თუმცა ამ ეტეპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია, საჭიროებების კვლევა. კათედრა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას.

შეესაბამება,

2. ბუნებისმეტყველება

სკოლაში შექმნილის სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა რომელიც გაწერილია სკოლის მისია, ხედვები, მიზნები, მათი განხორციელების გზები და ა.შ. სკოლის კურიკულუმები ყოველთვის განიცდის ცვლილებებს იმისდა მიხედვით თუ რა შედეგებს აჩვენებს წინა წლის კურიკულუმი, ამიტომაც სკოლის ყოველი შემდეგი კურიკულუმები ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ყოველი შემდეგი კურიკულუმი ეფუძნება სკოლის კურიკულუმების გაანალიზების შედეგებს, რომელითაც დგება SWOT ანალიზი (რომლის ფარგლებშიც გამოვლინდება ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და საშიშროებები) . ახალი სასწავლო კურიკულუმის შედგენისას წინა წლის შედეგად დანახული მიგნებები აისახება საგნობრივ კურიკულუმში, როგორც კლასის, ასევე საფეხური დონეზე შესაბამისი ცვლილებებით.

მათემატიკა

კათედრაზე ხდება მიმდინარე კურიკულუმის განხორციელების პერიოდში მიღწეული შედეგების ანალიზი, სადაც განიხილება რა იყო დაგეგმილი, დაგეგმის პროცესში როგორ განვითარდა მოვლენები რომელიც მასწავლებლის დაკვირფების ფორმასი აისახება, ამის შემდგომ გამომწვევ მიზეზებზე ხდება ანალიზი და დასკვის გამოტანა რომელიც საბოლოო ჯამში კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიაში აისახება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმენში დამუშავებული ვერსიები ეფუძნება წინარე გამოცდილებას, ამიტომ საშუალო საფეხურზე საჭიროებს მოდიფიცირება, მონიტორინგრ და შეფასებას მომავალში.

სახელმწიფო ენა

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის ბოლოს მოხდება აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ, მატრიცების შესრულებული კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შეფასების საფუძველზე მოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა კლასების გათვალისწინები. კათედრა 2023-2024 სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

შეესაბამება;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. .სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
3. 2018-2022 წ გეგმები
4. სასწავლო რესურსები
5. კონფერენციები
6. მოსწავლეთა ნამუშევრები
7. ხარისხის უზრუნველყოფა
8. სსსმ მოსწავლეები
9. შეფასების ფორმები
10. სასწავლო პროექტი
11. კათედრები
12. კლუბები დაწრეები
13. სოციალური პროექტი
14. USAID პროგრამა.
15. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
16. სასკოლო სასწავლო პროექტი;
17. კომპლექსური დავალებები(მასწავლებელთა პორტფოლიოები)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლევან ღურწკაია

27-09-2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნანა ღაჭავა

მარინა ჯალიაშვილი

თამილა თამაზაშვილი

ზურაბ ურიადმყოფელი

ნანა ჩხიკვაძე

მეგი კაპანაძე

ლელა კვირტია

შაქრო ჟღენტი

საბა დარსაველიძე

ნინო კოვზიაშვილი